სამეცნიერო ჟურნალი **„ხელისუფლება და საზოგადოება**
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

# Scientific magazine
# "AUTHORITY AND SOCIETY
(History, Theory, Practice)"

# Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)"

№ 1 (13) 2010

ღია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

**Scientific magazine of
The Open Diplomacy Association**

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**
ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**
ხ. 402

## სარედაქციო კოლეგია:

**შოთა დოღონაძე** მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე** მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბაღათურია** პასუხისმგებელი მდივანი

**რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი**

✡ ✡ ✡ ✡ ✡

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
VIII სართული, ტელ. 36-45-14,
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.
Tel. [+995 32] 364514;
e-mail: office@odageorgia.ge

*გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:
**http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi**
**http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/**
ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: **http://www.eLIBRARY.ru**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თეორია


**მაია ამირგულაშვილი**
ქართული ნაციონლიზმის კულტურული საფუძვლები
მოდერნისტული თეორიის ჭრილში ----- ----------------------------4

**თენგიზ გრიგოლია**
ანტიგლობალური მოძრაობის ძირითადი მიმდინარეობები--13

**ლია ნებიერიძე**
სახელმწიფო მართვის სტრუქტურები და ფუნქციები---------22

**ოთარ ქოჩორაძე**
ადამიანური რესურსების მართვა იაპონიაში
(კონცეპტუალური სქემა) ---------------------------------------------38

## ისტორია

**თამაზ ნუცუბიძე**

საქართველო - ძველ ტოტალიტარულ და ახალ
დემოკრატიულ სამყაროს გზაჯვარედინზე---------------------59

## პრაქტიკა

**სულხან წულუკიძე**
N.L.P (ნეირო - ლინგვისტური პროგრამირება)
მეცნიერება კომუნიკაციის შესახებ-----------------------------------66

## ეკონომიკა

**Shalva (Lasha) Gogidze**
The EU’s ambivalent pipeline politics
(Nabucco: a “win-set” or a sticking point?)-----------------82

**სალომე ჩხიკვაძე**
ბიუჯეტის მონიტორინგის და ფინანსური კონტროლის
გაუმართავი მექანიზმებით გამოწვეული პრობლემები
ადგილობრივ თვითმმართველობებში -----------------------------92

## საზოგადოება

**ე. ცხადაძე, ზ. ცხადაძე**
ჩინეთი და ჩინელები ქართულ ლინგვოკულტუროლოგიურ
განასერში (არეალში) ---------------------------------------------103

# თ ე ო რ ი ა

მაია ამირგულაშვილი

## ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები მოდერნისტული თეორიის ჭრილში

ნაციონალიზმი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიმართულებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი წარმოშობისა და განვითარების მკაფიო გააზრება. ნაშრომის მიზანია ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების გაანალიზება და მისი შედარება ევროპულ ნაციონალიზმთან.
საკითხს განვიხილავთ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეორიის, მოდერნიზმის გამოყენებით.

აღნიშნული პრობლემის კვლევა შეუძლებელია ერთი რომელიმე დისციპლინის ფარგლებში. იგი თავისი არსით ინტერდისციპლინარულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება და საკმაოდ ფართოა ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში კვლევისათვის. ნაციონალიზმის ფენომენის კომპლექსურობა, მისი შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო დისციპლინათა მრავალფეროვნებას განაპირობებს. ნაშრომში განვიხილავთ კონკრეტულად იმ ასპექტებს, რომლებიც ამ ფენომენის კულტურულ საფუძვლებს ეხება.

ნაციონალიზმის ფენომენის წარმოშობა და განვითარება ურთულესი პრობლემაა და მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებებიდან გამომდინარე სამი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა გამოიყოფა – **პრომორდიალიზმი,** რომლის მიხედვით ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობდა და მას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თავად კაცობრიობას. მათი აზრით, ეროვნულობა ადამიანთა არსებობის ბუნებრივი ფორმაა. **ეთნოსიმბოლოზმი,** რომელიც თვლის, რომ თანამედროვე ერები მათი შორეული „ორეულებისაგან" – ეთნოსებისაგან ჩამოყალიბდნენ და მესამე – **მოდერნიზმი.** ნაციონალიზმის განმარტებისას სწორედ მოდერნისტულ თეორიას დავეყრდნობით.

ნაციონალიზმის თეორიულ მიმდინარეობებს შორის მოდერნიზმი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიაა. იგი თავისი კლასიკური სახით XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. მისი ძირითადი არსი გამოიხატება თეზისით, რომ ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მისი ისტორია უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. იგი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება და ამ ეპოქის ისეთივე პროდუქტია როგორც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია და ა.შ.

ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი მიიჩნევს, რომ „ნაციონალიზმი წინ უსწრებს ერებს, ერები კი არ ქმნიან სახელმწიფოსა და ნაციონალიზმს, არამედ პირიქით".{1.გვ.100] ეს სიტყვები კარგად გამოხატავს მოდერნისტული თეორიის არსს. ამ თეორიის ქვემიმდინარეობები იყოფა სამი ნიშნის მიხედვით: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ის ფაქტორები, რომლებიც განმსაზღვრელად მიიჩნევა ნაციონალიზმის ფორმირებაში. ჩვენი ინტერესის საგანს უკანასკნელის (სოციალურ-კულტურული) მიმდინარეობა წარმოადგენს.

მოდერნისტული თეორია საინტერესო ინსტრუმენტია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენების გააზრებისა და მათი შედარებისათვის იმავე ეპოქის დასავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები. შესაბამისად ტერმინი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას არის კულტურა.

ამ ცნებას ჩვეულებრივ კრებითი მნიშვნელობით იყენებენ. ფართო აზრით, ეს ცნება ხაზს უსვამს ადამიანის არსებობის განსხვავებულობას სიცოცხლის სხვა ბიოლოგიური ფორმებისაგან. სწორედ კულტურა განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა არსებისაგან. ამ ცნების უნივერსალურობა და მრავლისმომცველობა საშუალებას გვაძლევს განვიXილოთ იგი მრავალ ასპექტში: როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, პიროვნების განვითარების დონის მახასიათებელი და ა.შ. [2. გვ.22]

სტატიაში კულტურის ცნება გამოყენებულია, როგორც თვითიდენტიფიკაციის კრიტერიუმი. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია

საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ახლებური გააზრება. XIX საუკუნის ეროვნულ მოძრაობასთან მიმართებაში ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულებების თანახმად, თერგდალეულთა პერიოდის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები რუსი განმანათლებლების (ბელინსკი, ჩერნიშევსკი) და სხვათა იდეებით იკვებებოდნენ. [3. გვ.90-91]

ვეთანხმებით, რა ბატონ აკაკი ბაქრაძეს, მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება მცდარია. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ნ. ნიკოლაძის მოსაზრება, სადაც ის რუს განმანათლებლებს უტოპიურ მოაზროვნეებად მიიჩნევდა. მისი აზრით, მისაბაძი საზოგადოებრივი მოწყობის დასავლეთ ევროპული სისტემა იყო, რისი დასტურიცაა მისი შეხედულება ბიზანტიურ-რუსული და ევროპული მმართველობის სისტემის განსხვავებულობის შესახებ.[4. გვ. 79]

მოდერნისტული თეორიის მიხედვით, ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ენა მიიჩნევა. როდესაც სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ ენად იქცევა, ერის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, როდესაც იგი თავს კულტურულ ერთობად აცნობიერებს, ფაქტიურად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი პროცესები დასავლეთ ევროპაში რეფორმაციის ეპოქიდან იღებს სათავეს და საბოლოო სახით XIX საუკუნეში წარმოგვიდგება. ამ პერიოდში მკვეთრად შეირყა ლათინური ენის ავტორიტეტი, წინა პლანზე კი გამოვიდნენ ადგილობრივი ენები, რის საფუძველზეც მკვეთრად გამოვლინდა ლინგვისტური ნაციონალიზმი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენები, აღნიშნულ პროცესებთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ. 1861 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც იგი გმობდა მწერლობას, რომელიც საეკლესიო, ხელოვნურ ენას ემყარებოდა. მისივე მეთაურობით განხორციელდა ენის ცნობილი რეფორმა. ილია გახდა სალიტერატურო ენის შემომტანი და

დამნერგავი. ნტონ კათალიკოსის „ანბანთ თეორეტიკაზე“ დამყარებული საეკლესიო ენა, შეიძლება ითქვას (ლათინურის მსგავსად ევროპაში) „თხელი საბნის“ სახით ჰქონდა გადაფარებული ქართულ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ელიტარული ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ჩვენის აზრით, ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში, ევროპულის მსგავსად, უმნიშვნელოვანესი როლი ლინგვისტურმა მომენტმა ითამაშა. „ენის კანონმდებელი არის არა „ანბანთ თეორეტიკა“, არამედ ხალხი“. [5. გვ.281] ერნესტ გელნერის მტკიცებით, ნაციონალიზმი წარმოიშობა მაშინ, როცა ზოგადი სოციალური პირობები აყალიბებს სტანდარტიზებულ, ჰომოგენურ კულტურას, რომელიც მოიცავს არა მარტო ელიტარულ უმცირესობას, არამედ მთელ მოსახლეობას. [6. გვ. 119] ჰომოგენური კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა ერთიანი სალიტერატურო ენა.

როგორც მეცნიერი უ. კონორი აღნიშნავს, ნაციონალიზმი მასობრივი მოვლენაა. ის ფაქტი, რომ ელიტის ნაციონალიზმი მასობრივი მოვლენაა. ის ფაქტი, რომ ელიტის წარმომადგენლები ავლენენ ნაციონალურ გრძნობებს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ეროვნული თვითშეგნება მომხდარ ფაქტად მივიჩნიოთ და მასების ღირებულებით სისტემად ჩავთვალოთ, მათი გაუნათლებლობის და წერა-კითხვის უცოდინარობის პირობებში.

XIX საუკუნის დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგს „ღრმა ძილიდან გამოღვიძების“ ლოზუნგი წარმოადგენდა, რომელსაც ნაციონალისტები ქადაგებდნენ. ამის გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები: „ოჰ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.[7. გვ. 11] ასევე საინტერესოა ილიას კიდევ ერთი ფრაზა ცნობილი ლექსიდან „ქართლის დედა“. „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. [8. გვ. 7]

მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულება სოციალურ-კულტურული ტრანსფორმციის შესახებ კარგად ესადაგება ამ ფრაზას. სწორედ სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციისაკენ სვლას ქადაგებს ავტორი. ამავე

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა მაქს ვებერის მოსაზრებები. იგი განასხვავებს „ტრადიციულ“ და „მოდერნისტულ“ საზოგადოებებს. მან წარმოაჩინა ურღვევი კავშირი რელიგიურსა და მატერიალურს შორის. ადამიანი, საერო ცხოვრებაში, სრულად ახდენს თვითრეალიზაციას. ასევე საინტერესოა ქართული ლიტერატურული ნიმუშების კვლევა ამ კუთხით. ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდეგილი“ სწორედ განდეგილობა და ამქვეყნიური ცხოვრების ურყოფა არის დაგმობილი. ავტორი საზოგადოებას საერო ცხოვრებაში თვითრეალიზაციისაკენ მოუწოდებს. [9. გვ. 40]

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მიროსლავ ჰორში აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმის ფორმირებისათვის აუცილებელია პოლიტიკური თვითადმინისტრირების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა, ასევე მწარმოებელთა და ვაჭართა კლასის ფორმირება და ეროვნული კულტურის განვითარება და აღორძინება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ ენაზე.

ნიკო ნიკოლაძე 1871 წელს „კრებულში“ გამოაქვეყნა წერილი – „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“, სადაც იგი ერობას განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას თვითმმართველობის უფლების გამო ანიჭებდა. „ერობა ქვეყნის განვითარების გარდაუვალი პირველი ნაბიჯია, ხალხს ასწავლის დისციპლინას, თანდათან აჩვევს თვიტმმართველობას, დამოუკიდებლობას“. [10. გვ. 113] ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრებები მიროსლავ ჰორშის თეორიის ნათელი ილუსტრაციაა და მას სწორედ ნაციონალური მისწრაფებები უდევს საფუძვლად. ასევე საინტერესოა ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. მისი განცხადებით რუსეთს არ ჰქონდა დადგენილი, თუ სად თავდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უფლება და სად იწყებოდა განაპირა ერებისა. ილიას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს ბსოლუტურ-მონარქიული წყობილების დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია.

ერნესტ გელნერი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი უმთავრესად პოლიტიკური პრინციპია და მისი მიზანი პოლიტიკურიდამოუკიდებლობის მოპოვებაა. თუმცა,

რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ქართული ეროვნულ განმათავისუფლებელი მიძრაობის ლიდერებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა საშიში და უაზრო ავანტურა იქნებოდა. რომ ჯერ აუცილებელი იყო ენის რეფორმირება, წერა-კითხვის მაქსიმალურად გავრცელება და ა.შ. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ადრეული ქართული ნაციონალიზმი. მაშასადამე, ფორმით ქართული ნაციონალიზმი წარმოადგენდა კულტურულ ნაციონალიზმს.

ინგლისელი მეცნიერი ჯონ ბროილი თვლის, რომ ნაციონალიზმის ყოველი შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. თუმცა ეს არ გამორიცხავს ნაციონალიზმის გარკვეული ტიპოლოგიის შესაძლებლობას. პირიქით, აუცილებელია ნაციონალიზმის კონკრეტული შემთხვევების დაჯგუფება გარკვეული, საერთო ნიშნების მიხედვით და შემდეგ მათი ცალ-ცალკე შესწავლა. რასაკვირველია ქართული ნაციონალიზმი ინდივიდუალური ხასიათისაა, თუმცა ცალკეული ნიშნების მიხედვით იგი ევროპულ ნაციონალიზმთან მკვეთრ მსგავსებას ამჟღავნებს.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ჰარი ტრიანდირი ნაციონალიზმის ერთ-ერთ წყაროდ სახელმწიფოებრივ სივრცეში კულტურულ არაინტეგრირებულობას მიიჩნევს, რის მაგალითადაც მას ბასკური ნაციონალიზმი მოჰყავს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი წყარო იმპერიულ სივრცეში კულტურული არაინტეგრირებულობაა. ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები სწორედ ამ ეპოქაში უნდა ვეძებოთ. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია მათი მოძიებისა და სისტემატიზაციისათვის საინტერესო ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს თეორია ჩამოყალიბდა დასავლეთში და მისი გამოყენება ქართული სინამდვილის გასააზრებლად არასოდეს არ მომხდარა, თუმცა ინტერესი ამ საკითხისადმი შესამჩნევია, რომლის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ზაზა შათირიშვილის შეხედულებები, რომლის აზრითაც „ნაციონალური კულტურა საქრთველოში“ ტერგდალეულებიდან იწყება და მისი ძირითადი სუბიექტი კი ქართველი ერია. დაახლოებით ასეთივე მოსაზრებები აქვს ზურაბ დავითაშვილს, თუმცა საკითხის სიღრმისეული კვლევა არ მომხდარა.

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნისტული თეორიის ავტორები განიხილავენ არადასავლურ საზოგადოებებს, მათ არაფერი აქვთ ნათქვამი საქართველოს შესახებ, რასაც აქვს თავისი მიზეზები. იმ პერიოდისათვის, როდესაც მიმდინარეობდა ნაციონალიზმის თეორიული მიმდინარეობების ჩამოყალიბება, საქართველოს შესახებ ღირებული ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო. თანამედროვე პერიოდში კი, როდესაც ნაციონალიზმის შესწავლა აქტუალური გახდა, ამ ნაკლის გამოსწორება აუცილებელია. ჩვენს მიერ განხილული მასალა არაა მდიდარი, მაგრამ მაინც იკვეთება სურათი ქართული სინამდვილის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის არსის ასახსნელად, სწორედ ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის გამოყენება შეიძლება.

**ლიტერატურა:**
**References**


1. z. daviTaSvili, nacionalizmi da globalizacia, Tb., 2003
2. g. lorTqifaniZe, kulturologia, naw.I, Tb., 2001
3. a. surgulaZe, narkvevebi qarTuli inteligenciis istoriidan, Tb., 1980
4. a. baqraZe, niko nikolaZe, Tb., 1989
5. a. kikviZe, saqarTvelos istoria 1801-1890ww., Tb., 1977
6. e. gelneri, erebi da nacionalizmi, Tb., 2003
7. i. WavWavaZe, leqsebi, poemebi, moTxrobebi, Tb., 1959


**Maya Amirgulashvili**
**Cultural basis of the Georgian Nationalism in the aspect of the Modern Theory**

**Summary**

Nationalism is the main direction in modern scientific research sector. The aim of the research is to analyze the basis of the culture of the Georgian Nationalism and its comparison to national Nationalism. The issue is discussed based on one of the most well known theory, Modernism.

Modernism is the most widely spread and popular theory between the Nationalism theories. It, with its classical view, has been formed in 60th of the XX century and is subdivided into three subdivisions. The point of our interest is one subdivision, more commonly social-cultural.

According to the Modernism theory, language is considered as the main body for creating self-understanding and strengthened nations. When the speaking language becomes the standardized language then the nation's first step towards formation might be considered as concluded. Such type of processes has begun in Western Europe after reformation and has attained its final results in the XIX century. From the beginning of 60th of XIX century Georgian phenomena is expressing link to above mentioned period.

In my opinion, in the formation of Georgian Nationalism like European, main role played the linguistic issues. As Ernest Gillnet stated, Nationalism is arising when basic social problems are forming standardized homogenous culture. And he continues that Nationalism is the political principle and it aims to obtain political independence. But coming out from the real situation, leaders for the Georgian national movement had good imagination that requesting for the political independence might would have a bad turn, first of all was needed the formation of the language. It was the path which was followed by the Nationalism in Georgia in earlier years. Georgian form of Nationalism was representing the cultural Nationalism.

**Keywords:** Nationalism, Modernism, Ethno symbol, Nation, Culture, Self-Identification, Transformation, Industrialism, Self-realization, Self-administration.

**Reviewer** – Professor Ketevan Jijeishvili, Georgian Technical University

**Амиргулашвили Майя Ушангиевна**

**Культурные основы Грузинского национализма в разрезе теории модернизма**

## Резюме

Национализм один из самых актуальных направлении современного научного исследования. Целью работы является анализ культурного основания Грузинского национализма и его

сравнение с народным национализмом. Вопрос рассмотрен на основании одного из самых известных теории национализма – модернизации.

Среди направлении теории национализма, модернизм является самой распрастранненой и популярной теорией, которая своей классическим обликом основалась в 60-ых годах XX века и делится на три направления. Мы заинтересованы в одном из направлении, в частности социально-культурным.

По модернистической теории, одним из самых главных факторов национального самопроизводства и утверждения является язык. Когда разговорный язык превращается в стандартизированный язык, первый этап формирования нации, когда она осознаёт себя культурным единством, фактический считается заверщенным. Все это начилось в эпоху реформации в Западной Европе и в XIX веке предстает в завершенном виде. В 60-ые годы XIX века действия развиваюшиеся в Грузии выявляют схожость с вышеупомянутым периодом.

По нашему мнению, в формировании Грузинского национализма, как и Европейского, важную роль сыграл лингвистический момент. По мнению Эрнеста Гелнера национализм зарождается тогда, когда общие социальные условия формируют стандартную гомогенную культуру. Он также считает, что национализм это политический принцип и его целью является политическая независимость. Хотья, исходя из реальности, лидеры грузинского националнo-освободительного движения ясно осознавали, что требовать политическую независимость было опасно, что в первую очередь необходимо было формирование языка. Именно по этому руслу был направлен ранный грузинский национализм. Значит, формой грузинский национализм представлял ссобой культурный национализм.

**Ключевые слава:** Национализм, модернизм, этносимволизм, нация, культура, самоидентификация, трансформация, индустриализация, самореализация, самоадминистрация.

**Рецензент –** Профессор Джиджеишвили Кетеван Мамиевна, Грузинский технический университет.

თენგიზ გრიგოლია

# ანტიგლობალური მოძრაობის ძირითადი მიმდინარეობები

„ანტიგლობალური მოძრაობის" აღმოცენების რამდენიმე ათვლის წერტილი არსებობს. ანტიგლობალიზმი წარმოიქმნა როგორც საერთაშორისო საზოგადო საპროტესტო მოძრაობა, რომლის არსიც გამოიხატება ანტიგლობალური გლობალიზაციის ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ ალტერნატივაში.

ანტიგლობალური მოძრაობის ძირითადი მიმდინარეობებია: რადიკალური და რეფორმისტული. თითოეული მათგანი თავის გარშემო აერთიანებს სხვადასხვა ძალას, ამიტომ აღნიშნული დაყოფა ზოგიერთ შემთხვევაში ატარებს პირობით ხასიათს. ამავე დროს ის ასახავს რეალურ პროცესებს, რომელიც ხდება ანტიგლობალური მოძრაობის შიგნით, და გვეხმარება განვსაჯოთ დასახული შეთანხმებები თუ განხეთქილებები მათ რიგებში.

რეფორმისტები გამოირჩევიან რადიკალებისაგან პირველ რიგში პროტესტის მეთოდით. მაგალითად, თუ რეფორმისტები იყენებენ მოქმედების ზომიერ ტაქტიკას და მიისწრაფიან პროტესტის მშვიდობიანი ფორმისაკენ, ანუ მონაწილეობენ საზოგადოებრივ კომპანიებში და სამეცნიერო-საზოგადოებრივ კონფერენციებში, აწარმოებენ გამოკვლევებს, სადაც შეაქვთ თავიანთი წვლილი როგორც სწავლულებს და საზოგადო მოღვაწეებს, რადიკალური ორგანიზაციების აქციები ძირითადად ატარებენ ძალმომრეობით ხასიათს.

ანტიგლობალური მოძრაობის რადიკალური ფრთის წევრები გამოდიან რათა ნეოლიბერალური გლობალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენონ ძალმომრეობითი მეთოდი, ისინი გადახრილები არიან მოსახლეობის ქონების დარბევისაკენ, მიდიან ძალისმიერი კონფრონტაციით პოლიციასთან და ა.შ. მათ სოციალურ ბაზას პირველ რიგში წარმოადგენს უმუშევარი ახალგაზრდობა, რომლებიც ვერ ხედავენ თავის თავისთვის მისაღებ პრსპექტივას თანამედროვე, დასავლეთ საზოგადოებაში და გრძნობენ გამოსავალს ავტონომიურ თვითორგანიზაციაში და არა სოციალურად მისაღებ დადგენილებაში. ცხადია, რომ რიცხობრიობა რადიკალური დაჯგუფებების

ნეოლიბერალური გლობალიზაციის პირობებში უფრო გაიზრდება. [2. 115]

„ანტიგლობალური მოძრაობის“ რეფორმისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები თავის ამოცანად სახავენ შეასწორონ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციები (თუმცა ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერს რევოლუციურ მეთოდებს). ისინი თვლიან, რომ თანამედროვე კაპიტალიზმს რეფორმირება შეიძლება გაუკეთდეს შიგნიდან, თუ მაგალითად შეიცვლება მატად საჭირო საფინანსო ორგანიზაციის ორგანიზების პრინციპი, გაკეთდება დიდი რვიანის მოღვაწეობა უფრო გამჭირვალე და სხვა.

„ანატიგლობალური მოძრაობის“ რეფორმისტული ფრთა გამოდის ტრანსნაციონალური კორპორაციის გავლენის შეზღუდვისაკენ, კაპიტალიზმის იდეოლოგიის და რიგი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათი მთავარი სამიზნეა მსოფლიო ბანკი, დიდი რვიანი, ზოგიერთი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ატარებენ ცხოვრებაში „ნეოლიბერალიზმის“ იდეოლოგიას (მაგალითად, თავისუფალ ვაჭრობაზე ჩრდილო ამერიკული შეთანხმება), საერთაშორისო ბიზნეს ალიანსები (მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი), ასევე მთავრობა, ორგანიზაციები და კომპანიები, რომლებიც ითვლებიან „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სიმბოლოდ.

დემოკრატიული საზოგადოება, რეფორმისტების აზრით, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ცხოვრების ყველა სფეროში - პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური, ორიენტირებული უნდა იყოს სოციალური განვითარების თანასწორობაზე, სოციალური სიკეთის განაწილება თითოეული ადამიანის საჭიროების შესაბამისად. ამავე დროს, რეფორმისტები გამოყოფენ დემოკრატიული სახელმწიფოს როლს სოციალური განვითარების პრიორიტეტების უზრუნველყოფაში - განათლების საკითხების გადაჭრა, საცხოვრებელი ბინა, ჯანმრთელობის დაცვა, კვება და შრომა, ასევე გარემოს შენარჩუნება.

რეფორმისტული ორგანიზაციის ცენტრში არის საკითხები საერთაშორისო, რეგიონალური და სუბრეგიონალური ინტეგრაციის, თავისუფალი ვაჭრობის ზონებზე სხვადასხავანაირი თანხმობები. და სხვა მსგავი

აქტები, რომელიც მიღებულია როგორც განუყრელი ნაწილი უნივერსალური პროცესების, საზოგადოებრივი გაერთიანება ამავე დროს მიისწრაფის იმისკენ, რომ ასეთი გაერთიანება მაქსიმალური ხარისხით პასუხობდეს ცალკეული ქვეყნების და რეგიონების განვითარების ინტერესს, საპირისპიროდ ემსახურებოდეს გლობალიზაციის უარყოფით ზემოქმედებას. ამასთან ისინი მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ პროგრესისა და ჰუმანიზმის ძალებმა აუცილებელია შეიმუშაოს თავისი სტრატეგია და მოდელი ინტეგრაციული პროცესების მთელი ხალხის და თითოეული ადამიანის ინტერესებისათვის. [3. 85]

რეფორმისტულ მოძრაობას თავისებური ავანგარდით წარმოადგენს **ATTAK** უძლიერესი ბირთვული ანტიგლობალური მოძრაობა, თანამედროვე ვითარებაში გაერთიანება წარმოადგენს ადგილობრივი კომიტეტების ქსელს, რომლებიც გამოდიან ფინანსური სპეკულაციის წინააღმდეგ. მის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 50 000 ადამიანამდე.

რეფორმისტები გამოდიან საფინანსო ბაზარზე (სავალუტო, საკრედიტო, საფონდო) საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებაზე, რომლებმაც გლობალიზაციის პირობებში შეიძინეს დამოუკიდებლობისა და თვითკმარის მნიშვნელობა, უფრო მეტად საკუთარი წარმოებისა და მოთხოვნილების სფეროდან.

ძირითად მოთხოვნილებად რეფორმისტული მიმდინარეობის შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი დებულებები:

1. ჩამოეწეროთ ვალი განვითარებად და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს;
2. გამომუშავდეს ახალი წესები საერთაშორისო კრედიტის აღებისა, რომელიც კრძალავს პირობების წამოყენებას მიმართულს სუვერენიტეტის შეზღუდვისაკენ;
3. შეიცვალოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი რეგიონალური ბანკის სისტემით, რომელიც მოწყობილი იქნება დემოკრატიულ საფუძვლებზე;
4. გადასახადით დაბეგვრა ფინანსური სპეკულიანტების;
5. მოსახლეობის დაბალხელფასიან ფენებს აუმაღლდეთ ხელფასები, ძირითადად განვითარებად ქვეყნებში.

„ანტიგლობალური მოძრაობის“ რეფორმისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები გამოდიან იმ სიტუაციის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ნაციონალური მთავრობა აღმოჩნდა დამოკიდებული მსოფლიო საფინანსო ბაზარზე

და იძულებული გახდნენ ერთმანეთისათვის გაეწიათ კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სამუშაო ძალის მუდმივი კლებით, სოციალური გარანტიების უარყოფით, მასობრივი დათხოვნებით, ადამიანის უფლებების დარღვევით. [4. 50]

ბოლო წლებში აღინიშნება აქცენტების შერევა ანტიგლობალისტური მოღვაწეობის დესტრუქციულ აქციებთან მსოფლიოში პოლიტიკური დამოკიდებულების ჰარმონიზაციის სცენარების დამუშავებასთან. ამავე დროს, ანტიგლობალისტური მოძრაობა პრინციპით პირისპირ დგომა საერთო მტერთან საკმაოდ არამყარია გრძელვადიან პერსპექტივაში. ანტიგლობალიზმს არა აქვს საერთო ერთიან იდეოლოგიასა და ერთიან მმართველ ორგანოსთან, რაც არ აძლევს მას უფლებას გახდეს სერიოზული პოლიტიკური ძალა (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი თვლის ასეთი მდგომარეობა არის მოძრაობის პლიუსი). მსოფლიო სოციალურ ფორუმს და მის საშემსრულებლო სტრუქტურებს ჯერ არ აქვთ არცერთი იდეოლოგია, არც ერთი პოლიტიკური ცენტრი, რაც უშლის ანტიგლობალისტებს სერიოზულად გაუწიოს წინააღმდეგობა ნეოლიბერალურ გლობალიზაციას და შექმნას ერთიანი მოდელი ალტერნატიული განვითარების.

არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც აბრკოლებენ მოძრაობის განვითარებას. ასე რომ, ანტიგლობალური საპროტესტო აქციები ძალიან ბევრად არის დაკავშირებული ინფორმაციის ასპექტით და ამ თვალსაზრისით არსებობს მოძრაობისათვის რამდენიმე საშიშროება. პირველ რიგში, ყურადღება ანტიგლობალიზმს შეიძლება მიექცეს მხოლოდ „ანტიგლობალური მოძრაობის" რიგითი მონაწილისათვის მსხვილი საერთაშორისო სამიტების მიწვდომის შემთხვევაში. მაგრამ მაინც საკმარისია სამიტების ადგილი გახდეს ძნელად მისაღწევი და ანტიგლობალისტები კარგავენ პროტესტის ტერიტორიას, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასობრიობას.

შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე სცენარი ანტიგლობალური მოძრაობის შემდგომი განვითარების. პირველი პერსპექტივა მდგომარეობს იმაში, რომ ანტიგლობალიზმი ვითარდება ახლანდელი მიმართულებით, თავისი პოტენციალის მთლიანად გაშლით ისე, როგორც ალტერნატიული მიმართულება და მაშინ ადრე თუ გვიან ის

გადაიქცევა მთავარ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოწინააღმდეგედ არსებული წეს-წყობილებისა უკიდურეს შემთხვევაში დასავლეთში. მეორე პერსპექტივა: ანტიგლობალიზმი ინარჩუნებს რა თავის ახლანდელ ჩარჩოებს, რჩება მასობრივ ორგანიზაციად გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიულობის გარეშე და ამ თვალსაზრისით ის ხდება ძალა, რომელსაც შეუძლია მოიპოვოს მაქსიმუმი კონტროლისა პოლიტიკურ საზოგადოებაზე. [5. 190]

ანტიგლობალისტური მოძრაობის განვითარების საერთო ტენდენცია უკვე აღინიშნა და ის რაც მთავარია, შესაძლებელია, აღადგენს დამახასიათებელ ნიშან-თვისებას მასობრივი საპროტესტო მოძრაობის. თანდათანობით ანტიგლობალიზმი ხდება უფრო მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოძრაობა და მიმართავს ძალას იმაზე, რომ გამოვიდეს თავისი დღევანდელი მეამბოხური სახიდან.

შემდეგი პროგრესი ამ მოძრაობის იქნება განსაზღვრული იმით, შეძლებს თუ არა ის გავიდეს თავისი განვითარების თანამედროვე ვარიანტის ჩარჩოს გარეთ. მხოლოდ პოლიტიკური და იდეოლოგიური ჩამოყალიბების გზაზე ანტიგლობალიზმი შეძლებს გადაიქცეს წამყვან ძალად, რომელსაც ექნება უნარი დემოკრატიული იდეების განვითარების, წაყვანით საგნობრივი დიალოგისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაკენ, ნაციონალური მმართველებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებით, ფართო ფენით მოქალაქეთა საზოგადოების სამართლიანი და ჰუმანური მსოფლიო წყობილების შექმნის მიზნით.

ანტიგლობალისტების დამსახურება სწორედ იმაშია, რომ ერთ-ერთმა პირველებმა მიუთითეს მსოფლიო პროგრესის შეუძლებლობაზე მთელ კაცობრიობაზე დასავლური ინსტიტუციონალური ფორმის გავრცელების გზით, რამდენადაც ასეთი მდგომარეობა ობიექტურად ხელსაყრელია დასავლეთისათვის და ფაქტობრივად წინააღმდეგი ხდება მსოფლიო ქვეყნების გაერთიანების დიდი უმრავლესობის ინტერესებისა.

განსხვავებით სხვა პოლიტიკური მოძრაობისაგან „ანტიგლობალური მოძრაობა“ თავის მიზნად არ ისახავს დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება. ანტიგლობალისტები თავის თავს უწოდებენ, როგორც გლობალურ-

საზოგადოებრივ საპროტესტო მოძრაობას. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს ეკონომიკის, საინფორმაციო, კულტურულ თანამედროვე დონეს ჯერ არ არსებობს. „ანტიგლობალური მოძრაობის" მთავარი შუალედური მიზანი – ეს არის რეფორმირება გლობალური სამოქალაქო საზოგადოების და არა შექმნა ახალი პოლიტიკური ხელისუფლების. ამიტომ ანტიგლობალისტებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს ნაციონალური სახელმწიფოს ხელისუფლების დაპყრობა და არა აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც მას ქონდა მსგავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის წარსულში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ თავის მხრივ, დასავლეთის სამყაროშიც საკმაოდ ძლიერი ანტიგლობალისტური განწყობაა. აქ განსაკუთრებულ გაღიზიანებას არალეგალური იმიგრაცია იწვევს, რაც გლობალიზაციის შედეგად აღიქმება. განვითარებადი სამყაროდან მოძალებული მიგრანტების რაოდენობამ დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში და აშშ-ში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი შეადგინა მოსახლეობის რაოდენობაში, რაც მათი მაღალი ბუნებრივი მატების გათვალისწინებით საკმაოდ სერიოზული საფრთხეა. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში თავი იჩინა თითქოს და უკვე დიდი ხნის მივიწყებულმა ნაციონალისტურმა განწყობამ, ქსენოფობიამ და დაპირისპირებამ ადგილობრივ და ჩამოსულ მოსახლეობას შორის. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს 2002 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსის ჟან-მარი დე პენის წამატება, რომელიც ნაციონალისტური ლოზუნგებითა და იმიგრაციის უმკაცრესი შეზღუდვის მოთხოვნებით გამოდის. მსგავს სურათს ქონდა ადგილი 2000 წელს ავსტრიის პარლამენტის არჩევნებში.

ანტიგლობალისტური განწყობა და მოძრაობა ძირითადად არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია ვესტერნიზაციად, ანუ დასავლეთის გავლენის უპრეცენდენტო გაძლიერებად აღიქმება. მკვიდრდება აზრი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც რეალურად დასავლური კომპანიებია, უმოწყალოდ ძარცვავენ ქვეყანას, აჩანაგებენ მის რესურსებს, ანგრევენ ნაციონალურ ეკონომიკას და ფაქტობრივად

მონებად აქცევენ ადგილობრივ მოსახლეობას. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება დასავლური მასობრივი კულტურის მოძალება, რომელიც ანგრევს ადგილობრივ კულტურას, მენტალიტეტს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნულ იდენტურობას. სწორედ, ამ შიშის მიზეზია ნაციონალიზმის აღორძინება მთელ რიგ ქვეყნებში.

**ლიტერატურა:**
**References**

1. z. daviTaSvili, globalizacia da nacionalizmi, Tb., 2003w.
2. P.A. Cigankov. Mezdunarodnie otnosenia. Teorii, konflikti, dvizenia, organizacii. M., 2008.
3. Antiglobalizm. Novie povoroti. Sost. E.D. Gromova, E.G. Sirokova. M., 2005.
4. F.Babkov. Sovremenni globalni kapitalizm. M., 2003.
5. Global Civil Society, Oxford, 2001.
6. http: /ww. wsfindia org

**Tengiz Grigolia**
**Anti-Globalization movement basic course**

**Sammary**

The anti-globalization movement is critical of the globalization. The movements is also commonly referred to as the global justice movement, after – globalization movement, ant corporate globalization movement, or movement against neo liberal globalization.

The aim of the ant global movement is opposing to international financial institutions and transnational corporations, to conduct opposition to neo liberalism. Anti-war movement, Appropriateness of the term. Influences of the anti-globalization movement.

Corresponding terms in anther languages are movement antimondialiste (French), globalisierungskritische Bewegung (German), movement no-global (Italian).

Many Anti-globalization activists generally call for forms of global integration that better provide democratic representation, advancement of human right and move egalitarian states.

The activist are especially opposed to “globalization abuse” and the international institutions that promote neo liberalism without regard to ethical standards

Common targets include the world bank (WB),International Monetary fund (IMF), the organization for Economic cooperation and development (OECD) an the world trade organization (WTO) and free tirade treaties like the north American free Trade Agreement (IVAFTA). Free trade area of the Americas (FTAA), the Multilateral Agreement on investment (MAL) and the General Agreement on Trade in services (GATS). In light of the economic gap between rich and poor countries, movements claim "free trade" without measures in place to protect the environment and the health and well being of workers will contribute only to the strengthening the power of industrialized nations (often termed the "North" in opposition to the developing world's "south").

**Keywords:** Anti-globalization, Neo liberal, Multi- national, Market, Movement, ATTAC, WTO, Forum, Disintegration, "The Third Position"

**Reviewer**: Professor Zurab Kbetenadze, Georgian Technical University

**Григолия Теигиз Бондоевич**

**Антиглобалистское движение и его особенности**

## Резюме

Аитиглобализм – политическое движение, направленное против определённых аспектов процеса глобализации в её современной форме, в частности против доминирования глобальных транснациональных корпораций и торгово-правителственных организаций таких как Всемирная торговая организация (WTO). Антиглобализм возник как международное общественное движение протеста, сушность которого выражается в в следующем: это интелектуальная и организационная альтернатива неолиберальной глобализации.

За период своего существования АГД претерпело достаточно большую эволюцию, пройдя путь от разрозренных и спонтанных выступлений против Макдоналдса, до попыток создания организации – своего рода Антиглобалистического интернационала.

Конец 90-х годов XX века и начало XXI века, на фоне глобализационных изменений, ознаменовался воплеском активности общественных обьединении, получивших название антиглобалистских. Эти организации отстаивают интересы

разлтчных, широких слоев населения. Антиглобалистическое движение, по сути, отличаются от социалных движений.

2003 году в мире начитивалось более 2500 Антиглобалистических организаций.

**Ключевые слова:** Антиглобализм, Неолиберальной, Мультинациональое, Ринок, Движение, АТТАК, ВТО, Форум, Дезинтеграция, „Третья позиция“.

**Рецензент –** Профессор Кветенадзе Зураб Жутаевич, Грузинский технический университет.

ლია ნებიერიძე

# სახელმწიფო მართვის სტრუქტურები და ფუნქციები

სახელმწიფო მართვის სტრუქტურული მოდელები უნიტარულ, კონფედერაციულ და ფედერაციულ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახისაა: უნიტარული ტიპის სახელმწიფოებში მართვა უშუალოდ დედაქალაქიდან ხორციელდება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები საფრანგეთში, იტალიასა და შვეციაში, ძირითადად მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. ფედერაციული მართვის სისტემა შედგება ადმინისტრაციული ერთეულებისგან, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობენ. ცენტრალურ ხელისუფლებას ამ ერთეულების თვითნებურად გაუქმების უფლება არა აქვთ; კონფედერაციული სახელმწიფოების შემადგენლობაში შემავალ ერთეულებს შეუძლიათ წარმატებით შეეწინააღმდეგონ ცენტრალურ ხელისუფლებას. კონფედერაციები, ჩვეულებრივ ხანგრძლივად არ არსებობენ. ისინი შეიძლება ცალკეულ ნაწილებად დაიშალონ ან ფედერაციად გარდაიქმნან. ამის ნათელი ილუსტრაციაა შვეიცარია. ეს ქვეყანა დღესაც კონფედერაციად იწოდება, მაგრამ ფაქტობრივად ის ფედერაციული პრინციპით იმართება. ამჟამად მხოლოდ ევროპის საერთო ბაზარია კონფედერაციული ტიპისა, რომელიც ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისაგან ადვილად იმართება.

სახელმწიფო მართვის ფედერაციული ტიპის სახელმწიფოებს განსაკუთრებით ხელეწიფებათ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ფედერაციის წევრი ქვეყნების რესურსების კონსოლიდაციით, მას ძალუძს ძლიერი სახელმწიფოებისაგან აგრესია მოიგერიოს და ამავე დროს, აქტიური ექსპანსიონისტური პოლიტიკაც განახორციელოს. მცირე სახელმწიფო ერთეულების დიპლომატიური და სამხედრო რესურსების კონსოლიდირებით, ბისმარკისეული გერმანია, XIX საუკუნის დასასრულს ევროპის მოწინავე ქვეყანა გახდა; ზოგიერთ ქვეყანაში სოციალურად დაწინაურებული საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მართვის ფედერალურ სისტემას ირჩევს. დაბოლოს, მართვის ფედერალური ტიპი ნაციონალურ კონსოლიდაციასაც

უზრუნველყოფს. ბრიტანეთის მფლობელობისაგან განთავისუფლებულ ინდოეთში შეიქმნა მართვის ფედერალური სისტემა, რამაც შესაძლებლობა მისცა ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა პენჯაბი, მარატხასტანი, რაჯასტანი შეენარჩუნებინათ კულტურული თვითმყოფადობა და ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებულიყვნენ. აღნიშნული ქვეყნები არასოდეს არ შევიდოდნენ ფედერაციაში, თუ მათი ავტონომია გარანტირებული არ იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ფედერალიზმი, საკმაოდ ეფექტურად იცავს ადგილობრივი ავტონომიების უფლებებს. რიგ ქვეყნებში არსებობს მართვის სამი საფეხური: ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი. ეს ერთეულები სტრუქტურულად პირამიდისებურია:

მართვის უნიტარული სისტემის ქვეყნებიც, თითქმის ანალოგიურადაა ორგანიზებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მართვის ქვედა საფეხური უმნიშვნელო ძალაუფლებას ფლობს; ფედერალურად ორგანიზებულ ქვეყნებში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციები იურიდიულად და ფაქტობრივად ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორისაა განაწილებული. ხელისუფლების ამგვარ გადანაწილებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება: ჯერ ერთი, ფედერაციის თითოეულ სუბიექტს უფლება აქვს, თავის შეხედულებისამებრ შეარჩიოს ადმინისტრაციული დაწესებულებების სტუქტურული მოდელი. მაგალითად, აშშ-ში შტატების მართვის ტიპიური ორგანიზაცი არ არსებობს. მეორე, ფედერალური სისტემა ორსაფეხურიან ადმინისტრაციას ქმნის, რომელთა შორის ორგანული კავშირი არ არსებობს. თუ ამგვარმა დუალიზმმა რაიმე დაბრკოლება არ გამოიწვია იმ სფეროში, რომელსაც მთლიანად ფედერალური ადმინისტრაცია განკარგავს, მაშინ ფედერაციისა და სუბიექტების საერთო კომპეტენციის საკითხები სხვაგვარად წყდება. აშშ-ში, სადაც განათლების სფეროს შტატები და ადგილობრივი ორგანოები მართავენ, პრეზიდენტი გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება თუ რაიმე ცვლილებებს მოინდომებს განათლების სტრუქტურაში. ასეთ შემთხვევაში, იგი იძულებულია დოტაციას მიმართოს. მესამე, ფედერალიზმი სპეციფიურ პრობლემებს წარმოშობს საჯარო სამსახურში, განსაკუთრებით კი მართვის სხვადასხვა ორგანოში მოსამსახურეთა მიღებისას. ფედერალურ სახელმწიფოებში საკმაოდ ხშირია მართვის

ცენტრალურ აპარატში ფედერაციის ამა თუ იმ რეგიონიდან ადამიანების მონოპოლიზირება. ამიტომაც, ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეთა შერჩევისას, ნაციონალური რეგიონების წარმომადგენლებს უჭერენ მხარს.

უნიტარული სისტემის ქვეყნების მართვას, ასევე თავისებურებები გააჩნია. აქ მთავრობა და ცენტრალური ადმინისტრაცია ადგილობრივ ხელისუფლებას აკონტროლებს. მაგალითად, საფრანგეთში დაწყებითი სკოლების სასწავლო პროგრამები ცენტრალური სამინისტროს მიერ პარიზში გამოიცემა, ვინაიდან რეგიონული განსხვავება შემცირდეს; მთელ რიგ უნიტარულ სახელმწიფოებში, ცენტრალური ეროვნული საპოლიციო ძალები ადგილობრივ პოლიციურ შენაერთებს აკონტროლებენ. ერთიანი სასამართლო სისტემის მოსამსახურეებს კი ნაციონალური მთავრობა ირჩევს. მართვის უნიტარული ტიპის სახელმწიფოებში ერთგვაროვანი საჯარო სამსახურის სისტემა ფუნქციონირებს. მართვის უნიტარული ტიპის სახელმწიფოში, ცენტრალურ ხელისუფლებას ყველა ადგილობრივი საკითხის გადაწყვეტა როდი შეუძლია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი მართვის ერთეულები არსებით ძალაუფლებას ფლობენ. საგრაფოები და ქალაქის ბიუროები ირჩევენ თავიანთ საბჭოებს, სადაც მუდმივი კომიტეტები იქმნება. თითოეულ მათგანს მართვის კონკრეტულ სფეროებში შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. საბჭოები განათლების, ჯანდაცვის, სოციალურ პოლიტიკასა და წესრიგის დაცვას განაგებენ. ცენტრალურ მთავრობას ნებისმიერ დროს შეუძლია მათ სფეროში ჩაერიოს და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კორექტივები შეიტანოს. თუმცა, ასეთი ჩარევები პრაქტიკულად საგანგებო შემთხვევების დროს ხდება, რადგანაც ბრიტანელები ავტონომიურ ერთეულებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სახელმწიფო მართვის ფედერალურ და უნიტარულ სისტემებს თავისი ღირსებები და ნაკლი აქვთ. უნიტარულ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული ხელისუფლების კონცენტრაცია გარკვეულწილად აქვეითებს მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტივობას რეგიონებში, რამეთუ ყოველგვარ გადაწყვეტილებას ცენტრალური ხელისუფლება იღებს. მეტიც, ასეთ დროს გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის

განხორციელება პრობლემური შეიძლება გახდეს. შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფო მართვისადმი მიძღვნილ გაეროს ექსპერტთა რიგით მეორე თათბირზე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ნაციონალურმა მთავრობებმა უნდა ეძიონ დეცენტრალიზაციისა და მთავრობის ფუნქციების გადანაწილების ოპტიმალური გზები.“ ფედერალური სისტემის სახელმწიფო მართვის უპირატესობა მგდომარეობს იმაში, რომ ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება, ქვედა საფეხურზე ხდება. მოქალაქეები ყველაზე უფრო ახლოს დგანან რეგიონულ ადმინისტრაციასთან. ახალი სოციალური პროგრამების განხორციელება უფრო ადვილია რეგიონულ ადმინისტრაციაში, ვიდრე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში. ამავდროულად, ადგილობრივ ადმინისტრირებას სუსტი მხარეც აქვს. რეგიონულ ადმინისტრირებას, ზოგჯერ არ ყოფნის სახსრები სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის; ადგილობრივი მართვის აპარატის თანამდებობის პირები მაღალი პროფესიონალური კვალიფიკაციით არ გამოირჩევიან და ზოგიერთი მათგანი კორუმპირებულიცაა. ამიტომ უნიტარულ სახელმწიფოებში ხელისუფლების ცენტრალიზაცია თანამედროვე საზოგადოების რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის მომგებიანი და ეფექტურია. უნიტარული მართვის სისტემის ქვეყნებში ცენტრალური მთავრობა და ადმინისტრაცია ოპტიმალურად განკარგავენ ეკონომიკურ რესურსებს, გეგმის კოორდინირება და სოციალური პროგრამების დაფინანსებაც მარტივდება. სწორედ, ასეთი გარემოებების გამო, ზოგიერთი ფედერალური სახელმწიფო, ამ უკანასაკნელ ხანებში, ცენტრალიზებული ხდება. გერმანიისა და აშშ–ის მთავრობა და ცენტრალური ადმინისტრაცია სოციალურ პროგრამებს აფინანსებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ეპოქაში მიმდინარეობს უნიტარული სისტემების ფედერაციულ სისტემებად გარდაქმნის ევოლუციური პროცესი და პირიქით, ფედერაციული სისტემების უნიტარული მიმართულებისკენ სწრაფვის ტენდენციაც აშკარაა.

როგორც აღინიშნა, დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო მართვის სტრუქტურა სამსაფეხურიანია: ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი. ისინი პრინციპში დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ. თითოეულ მათგანს

კომპეტენციის საკუთარი, ავტონომიური სფერო აქვს; თითოეული პოლიტიკურად პარლამენტს, მთავრობას და სხვა ორგანოებს ექვემდებარება. დასავლეთის რიგი ქვეყნების მართვის ნაციონალურ, ფედერალური დონის სტრუქტურაში პრეზიდენტის აპარატი, მთავრობის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს აპარატია ჩართული. მართვის ცენტრალური ორგანოების სტუქტურა მთავრობის შეცვლისას ხშირად ტრანსფორმირდება. მთავრობის წევრთა რაოდენობა, სამინისტროების ფუნქციები და სახელწოდებაც იცვლება. ახალი სამინისტროები ფორმირდება გარკვეული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის: პირველი, მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. მეორე, განსაკუთრებული ამოცანების შესრულებისათვის. მესამე, ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესების გათვალისწინებისა და მათი სურვილების დაკმაყოფილებისათვის.

დასავლეთის ქვეყნებში, უწყებათა შორის ფუნქციების გამიჯვნა და განაწილება, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების დონეზე კომპეტენტურობის კოლიზიებს იწვევს. ფედერალურ სახელმწიფოებში, ადმინისტრირების მრავალრიცხოვანი ამოცანები მართვის რეგიონულ სტრუქტურაშია თავმოყრილი. აქ, ფედერალური კანონების ძირითადი ნაწილის რეალიზება ხდება. ფედერალური კანონები ორსაფეხურიანი პრინციპით ხორციელდება. პირველ საფეხურზე მართვა ფედერაციის მითითებით სრულდება. ამ შემთხვევაში, რეგიონის ადმინისტრაციული ორგანოები სამართლებრივი და სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან და ფედერალურ მთავრობას ექვემდებარებიან; მეორე ეტაპზე, ფედერაციის იურიდიული ნორმები სრულდება. რეგიონის ადმინისტრაციული ორგანოები ფედერალური მთავრობის მხოლოდ სამართლებრივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ფედერალური მთავრობა რეგიონის ადმინისტრაციული ორგანოებისათვის განკარგულებებს, მათივე წარმომადგენლობითი ორგანოების თანხმობის შემდეგ გასცემს. მართვის ფედერალური ტიპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, უნიტარულ სახელმწიფოებში კანონები მთელი ტერიტორიის მასშტაბით სრულდება. აღსანიშნავია, რომ უნიტარული სისტემის დროს, ადმინისტრაციული ორგანიზაციების სტატუსი ყველა

რეგიონში ერთიდაიგივე კანონის სახით განისაზღვრება. მართვის ფედერაციული სისტემისას, ყველა შტატში, პროვინციაში რეგიონული მართვის ორგანოები, რეგიონების კანონების შესაბამისად იქმნება. ადგილობრივი (ქალაქების, საგრაფოების) მართვის სტრუქტურები ფედერალურ და უნიტარულ სახელმწიფოებში ექვს ფუნქციას ახორციელებენ. ეს ფუნქციებია: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ხანდაზმულთა, ინვალიდებისა და ბავშვების დახმარების პროგრამები, მარეგულირებელი ფუნქციები, საზოგადოებრივი მშენებლობების დაგეგმვა, საზოგადოებრივი მომსახურება და სახელმწიფო საწარმოების განკარგვა. მართვის ფედერალური სისტემის ქვეყნებში ადგილობრივი მართვის ძირითადი ერთეულები – საგრაფოებისა და ქალაქების სტრუქტურები შტატებისა თუ პროვინციების ხელისუფალთაგან იქმნება. მათი ქმედებანი შემოიფარგლება შტატების კანონმდებელთა მიერ შემუშავებული ქარტიით, სადაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპებია მოცემული. ამ ქარტიაში ცვლილებების შეტანა, მხოლოდ შტატის კანონმდებლებს შეუძლიათ. მაგალითად, შტატის ხელისუფალთ უფლება აქვთ აიძულონ ქალაქის ხელმძღვანელობა ასენიზაციის ახალი სისტემა ააგოს ან პოლიციელებს ჯამაგირი გაუზარდოს. უნიტარულ სახელმწიფოებში ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანიზაციების სტატუსი ყველგან ერთიანი კანონით განისაზღვრება. სამეცნიერო ლიტერატურაში ადმინისტრაციული ორგანოების კლასიციფიკაციის არაერთი მოდელია წარმოდგენილი. მათ შორის, მკვლევართა უმრავლესობის მიერ ერთხმადაა აღიარებული ამერიკელი მეცნიერის ლ. უაიტის მოდელი. ლ. უაიტის მიხედვით, ადმინისტრირების სისტემაში ორგანიზაციები თუ სამსახურები სამი კატეგორიისაგან შედგება:

1. **ოპერატიული სამსახურები** – ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურებიან.
2. **დამხმარე სამსახურები** – ადმინისტრაციული წარმონაქმნები, რომლებსაც საბოლოო მიზნები არა აქვთ. მათი საქმიანობა სხვა სამსახურისათვის, უწინარეს ყოვლისა კი ოპერატიული სამსახურისათვის დახმარების გაწევით შემოიფარგლება. დამხმარე მოსამსახურეები მათ

სხვადასხვა სახის დახმარებას სთავაზობენ, დაწყებული კადრების მომარაგებისა და საბუღალტრო მომსახურებით დამთავრებული.

3. **საშტატო სამსახურები** – ამ ტიპის სამსახურში დასაქმებული პირი, როგორც წესი, პერმანენტულ მართვას არ ახორციელებს. მათ ეკისრებათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემური საკითხების დამუშავება. საშტატო სამსახურის მოხელეთა საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება: მოცემული ორგანიზაციისათვის კვლევების ჩატარებითა და დაწესებულების ხელმძღვანელის კონსულტირებით; პროგრამების პროექტების შემუშავებით, გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველობით.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანიზაციების კლასიფიკაციის მკაფიო გრადაცია პრაქტიკაში, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ზოგიერთი განყოფილება ერთდროულად ორმაგ და ზოგჯერ, სამმაგი სახის ამოცანებს ახორციელებს. მაგალითად, პერსონალის მართვა დამხმარე სამსახურის პრეროგატივას წარმოადგენს, მაგრამ კადრების საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ უკავშირდება დაწესებულების საერთო საქმიანობას, რომელსაც საშტაბო სამსახური ამუშავებს. სწორედ ამ მიზეზის გამო, ზოგიერთი სპეციალისტი, ერთნაირი ტიპის ადმინისტრაციულ ორგანიზაციებს საშტაბო სამსახურის კატეგორიას განაკუთვნებეს, ზოგი კი, დამხმარე სამსახურს. ძირითადად, ეს ეხება საქმის წარმოებას, სტატისტიკის მართვას, იურიდიული პირების საქმიანობას და სხვ. ამ დაბრკოლებათა დაძლევისათვის, ზოგიერთი მკვლევარი, ადმინისტრირების სამი კატეგორიის ორ კატეგორიად შეცვლის მომხრეა. სხვა სიტყვებით, ოპერატიული და დამხმარე სამსახურები ერთ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ. ამ გაერთიანებას კი ჰორიზონტალური სამსახურები უნდა ეწოდოს. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: აღნიშნულ სფეროში მარტივი გადაწყვეტილებები არ არსებობს და სტრუქტურულ უწყებათა ურთიერთობათა პროცესში ჩნდება მრავალი კავშირები, რომლებიც ძნელად გასამიჯნია.

სახელმწიფო მართვის თეორიაში „ფუნქციი“ ცნების სინონიმებია: „ამოცანები,“ „პრეროგატივები,“ „საქმის

წარმოების წრე.“ თითოეული მათგანი გამოიყენება ნებისმიერი ადმინისტრაციული დაწესებულების საქმიანობის აღსანიშნავად. სახელმწიფო მართვის ფუნქციების ანალიზს არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის განსაზღვრისთვის. ის მიუთითებს, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი, რთული და მრავალგვარია ამოცანები, რომლებსაც თანამედროვე ადმინისტრაცია ახორციელებს. მკვლევართა აზრით, შეუძლებელია მართვის ფუნქციების სრულყოფილი კლასიფიკაციის დადგენა, ვინაიდანის მეთოდის ანალიზის თავისებურებაზეა დამოკიდებული: თითოეული ფუნქცია დეტალურად გაანალიზების დროს, შეიძლება რამდენიმე ქვეფუნქციად დაიყოს, ხოლო ეს თავის მხრივ კონკრეტულ ამოცანებად. ამიტომ სახელმწიფო მართვის თეორეტიკოსები სახელმწიფო მართვის ძირითად, საერთო ფუნქციებს გამოყოფენ. ამერიკელი პოლიტოლოგები – მ. როსკინი, რ. კორდი და უ. ჯონსი სახელმწიფო ადმინისტრირების საქმიანობის ექვს მიმართულებას ასახელებენ: გადაწყვეტილებების შესრულება, მომსახურება, რეგულირება, ლიცენზირება, ინფორმაციის შეგროვება და კომუნალური მომსახურეობა. სამთავრობო ბიუროების პირველადი ფუნქციაა კანონების შესრულება და ცხოვრებაში გატარება. სწორედ ესაა საკუთრივ ადმინისტრირება. მაგალითად, აშშ-ში ფედერალური ფონდების შტატებში „გადაქაჩვა“ ხდება, რათა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ასეთ პოლიტიკას ახორციელებს ჯანდაცვის დეპარტამენტი, რომელიც წყვეტს თუ რა სახსრები ჭირდება თითოეულ შტატს ჯანდაცვის სფეროს მომსახურეობისათვის; დიდ ბრიტანეთში მოქალაქეთა თავისუფალი სამედიცინო უზრუნველყოფის პოლიტიკა ტარდება. ბრიტანეთის ნაციონალური სამსახური აკონტროლებს მედიცინის მუშაკთა მომზადებას, ჰოსპიტალებს, ის ასევე პატენტებს გასცემს.

ადმინისტრაცია საზოგადოებრივ პოლიტიკას განასახიერებს. რამდენადაც ის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ახორციელებს, მის ფუნქციას მართვის პრინციპების შემუშავებაც შეადგენს. დეპარტამენტები თავიანთი მოვალეობების შესრულებასთან ერთად, ხშირად ქმნიან კომპანიებს თავიანთი პროგრამების რეკლამირებისათვის. მთელ რიგ ქვეყნებში, მუდმივად

ფუნქციონირებენ პროგრამები ისეთ სფეროში, როგორიცაა განათლება, სახანძრო პროფილაქტიკა, მოძრაობის უსაფრთხოება და ბუნებრივი რესურსების დაცვა. დიდ ბრიტანეთში აღმასრულებელი ხელისუფლება და ადმინისტრატორები თავიანთი დეპარტამენტების ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებენ; ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები მინისტრები კანონპროექტების შემუშავებაში ეხმარებიან. ისინი, ასევე დახმარებას უწევენ თავიანთ მინისტრებს პარლამენტის წევრთა კითხვებზე პასუხის გაცემის მომზადებაში. რამდენადაც, დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც საფრანგეთში, სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში ნაწილობრივ შენარჩუნებულია, ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა ფოლადჩამომსხმელი ქარხნები, მაღაროები, რკინიგზა, ტელეგრაფი სამთავრობო კორპორაციებისგან იმართება და ისინი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ახორციელებენ. რაც შეეხება სამთავრობო ინსტიტუტის მეორე ფუნქციას – მომსახურებას, მისთვის მრავალი სამთავრობო სააგენტო სპეციალურად იქმნება. ამ მხრივ, ამინდის ბიუროს სამსახური საუკეთესო მაგალითია. თითქოსდა ეს სამსახური მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისთვის უმნიშვნელოა, მაგრამ ფერმერებისა და მეთევზეებისათვის, მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს; აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი აკონტროლებს მიწათმოწყობის, პროდუქციის რაოდენობისა თუ მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგების საკითხებს. დიდ ბრიტანეთსა და რუსეთში ჯანდაცვას ნაწილობრივ მთავრობა აფინანსებს. შვეციასა და გერმანიაში, მთავრობა მოქალაქეებს დასაქმებაში ეხმარება. რუსეთში განათლებას მთლიანად მთავრობა აფინანსებს. მთავრობის მარეგულირებელი ფუნქციები მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაა განკუთვნილი. აშშ-ის საბირჟო საქმიანობის უსაფრთხოების კომისია მეანაბრეთა ინტერესებს იცავს, ახალი ემისიების რეგისტრაციისათვის გარკვეულ წესებს ადგენს. აშშ-ის შრომის დეპარტამენტი კი, პროფკავშირების არჩევნებზე მონიტორინგს ატარებს, რათა ის სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდეს; გერმანიაში მიწათმოწყობას ბუნდესრატი აკონტროლებს, ხოლო ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოებს უფლება აქვთ აიძულოს მთავრობა მიწის განკარგვის შესახებ

ნაციონალურ კანონებს დაემორჩილოს. მარეგულირებელ ფუნქციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ადმინისტრაციის სალიცენზიო საქმიანობა. ის მთავრობას საშუალებას აძლევს განსაზღვრულ სფეროებში სტანდარტები და მინიმალური შეზღუდვები დააწესოს. მაგალითად, თუ სურს კერძო საქმიანობით დაკავდეს, მართვის მოწმობა მიიღოს, უძრავი ქონება გაყიდოს ან საჯარო სკოლებში მასწავლებელი გახდეს, მაშინ ის განსაზღვრულ სახელმწიფო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. აშშ-ში და დანარჩენ ფედერალურ ქვეყნებში სტანდარტები თითოეული შტატისა და ფედერალური ერთეულებისათვის წესდება. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სტანდარტებსა და კრიტერიუმებს თვითონვე ადგენენ. აშშ-შიც კი, ზოგიერთ ლიცენზიას ფედერალური მთავრობა გასცემს. მაგალითად, სახელმწიფო ლიცენზია გაიცემა რადიო და ტელემაუწყებლობაზე.

ადმინისტრაციის კიდევ ერთ არსებით ფუნქციას ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენს. ინფორმაცია ორმაგი მიზნის განხორციელებისათვის არის აუცილებელი: კანონის დარღვევის დადგენისათვის და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგალითად, თუ აშშ-ის მოქალაქის უფლებები დაირღვა, მაშინ ამ საკითხის შესახებ ძიებას იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების დაცვის განყოფილება ატარებს, რის შემდეგაც გარკვეულ ქმედებებს მიმართავენ. გარემოს დაცვის სააგენტომ უნდა იცოდეს ჰაერისა და წყლის დაბინძურების ვითარების შესახებ, მანამ სანამ კანონებს გამოსცემენ. ასეთი მოკვლევები ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში ტარდება. საფრანგეთში მას ახორციელებს გარემოს დაცვის სააგენტო, რუსეთში კი ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

ზოგიერთი სააგენტო მოქალაქეთა საჩივრებსაც ითვალისწინებს, სხვა სააგენტოები კი, როგორიცაა, მაგალითად, აშშ-ის კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების მართვის უწყება მოკვლევებს საკუთარი ინიციატივით ატარებს. ზოგჯერ პიროვნების უსაფრთხოების დაცვის პრობლემაც ჩნდება. ასეთ შემთხვევაში, ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ეჭვმიტანილი პირის საქმიანობის შესახებ მოკვლევას ატარებს მის მეზობლებში, მეგობრებსა

თუ ოჯახის წევრთა შორის. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმე საკმაოდ ფაქიზია და ძნელია ითქვას, სად იწყება ერთი და სად მეორე მთავრდება.

მართვის საბაზისო ფუნქციების რიცხვს განეკუთვნება, ასევე ექსპერტიზა. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი პ. ვული მიანიშნებს, რომ თანამედროვე ცხოვრების სირთულემ განაპირობა ის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ადმინისტრატორთა ტექნიკურ ექსპერტიზას ეყრდნობა. ადმინისტრატორები არ ცდილობენ დაარწმუნონ კანონმდებლები თავიანთი რჩევები გაიზიარონ: პარლამენტის წევრები, როგორც წესი, სპეციალისტთა ტექნიკურ დახმარებას სიამოვნებით იღებენ. ეს ამჟამად საზოგადოებრივ პოლიტიკაზე ბიუროკრატიის ზეგავლენის უმთავრესი არხია. ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციაც წარმოიქმნება. ამის მკაფიო ილუსტრაციაა ჯ. კენედის ადმინისტრაციის თავდაცვის მინისტრის – რ. მაკნამარას გაჭიანურებული კონფლიქტი სამხედრო ექსპერტებთან შეიარაღებისთვის დაფინანსების გაზრდის შესახებ; პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი კი ისრაელის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტთა მხრიდან ზეწოლას განიცდიდა. ადმინისტრაციის სათათბირო როლი თვალსაჩინოა არა მარტო აშშ-ში, არამედ თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებში. მაგალითად, საფრანგეთში ადმინისტრაციის დახმარებით, კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები მუშავდება და გამოიცემა. ასე რომ, პროფესიონალი ადმინისტრატორები პოლიტიკის ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობენ. გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურაში ადმინისტრატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ექსპერტები და კონსულტანტები თავიანთ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს არწმუნებენ, რომ ამა თუ იმ საკითხზე მათი მოსაზრებები გაიზიარონ. თანამედროვე სახელმწიფო ადმინისტრაციის კიდევ ერთ არსებით ფუნქციას დისკრეციული საქმიანობა წარმოადგენს. თუ კანონი მიიღეს, მაშინ ადმინისტრაცია ვალდებულია, ის შეასრულოს. იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი ზუსტი და ოპტიმალურია, მისი განხორციელება საკმაოდ იოლია, მაგრამ ზოგჯერ ეს ასე არ ხდება. მაგალითად, აშშ-ში კონგრესის მიერ მიღებული კანონი ტელეფონით სარგებლობისათვის გადასახადის

მომატების შესახებ, საზოგადოებრივი მომსახურეობის კომისიამ უნდა მოიწონოს.

ამრიგად, XXI საუკუნის დასაწყისში ადმინისტრაცია სახელისუფლებო პოლიტიკური ძალა ხდება. ამ მხრივ, ის მ. ვებერისეული „იდეალური მოდელისაგან“ საკმაოდ შორს დგას. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანია თანამედროვე სახელმწიფო მართვის ფუნქციების სირთულე და მრავალსახეობა. მართლაც, აღნიშნულ საუკუნეში სახელმწიფო მართვამ სპეციალიზაციის მაღალ დონეს მიაღწია. ამიტომ ადმინისტრაციის მოხელეების ქმედებები მართვის ვიწრო სფეროთია შემოფარგლული. პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებს ადმინისტრატორები სახელმწიფო ადმინისტრირების, მათივე სფეროს ისეთი დეტალური ცოდნის საფუძველზე ასრულებენ, რომელსაც პოლიტიკური ლიდერები არ ფლობენ. თანამედროვე სახელმწიფო ადმინისტრირებაში უმთავრესია ექსპერტიზა და დისკრეციული ფუნქციები, სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას საკონსულტაციო როლის შესრულება.

**ლიტერატურა:**
**References**


1. Todua T. saxelmwifo marTva. Historia Teoria praqtika. T.b; 2008
2. Pikulkin A. Sistema gosudarstvennogo upravlenia. M., 2001
3. Cirkin.N. Gosuradstvennoe upravlenie. M., 2003
4. Heady F.; Public Adminisration. A Comparative Perspective. New - York, 1991


**Lia Nebieridze**

**Structures and Functions of the State Governance**

**Summary**

Structural models of the state governance in unitarian, confiderate, federative states are different: in the unitarian states governing is implemented directly from the capital. Administrative-territorial units in France, Italy and Sweden perform mainly the secondary role. The system with federative governance consists of administrative units, which live with own political life. The central power has no competence

to abolish wilfully such units; the units involved in the confiderative states are able to resist succesfully the central power. Confederations usually can't exist the long time. They may be desintegrated into separate parts or may be transformed into federation.

Federative and unitarian systems of the state governance have their merits and setbacks. In the unitarian states concentration of the administrative power certainly reduces the citizens' political activity in the regions, since any decisions are made by the central power. Furthermore in such situation the reasonable implementation of the state policy may become problematic. It is not casual that at the second ordinary UN sessión of the experts dedicated to the state governance was emphasized that "the national governments should search optimal ways of redistribution of functions of decentralization and government". Priority of the state governance of the federal system is proved by the fact that making the urgent decisions are carried out on the lower stage. The citizens are more adjusted to the regional administration. Implementation of new social programs take place in easier way in regional administration tan in the framework of big administration units. At the same time, the local administrating has weak side. Regional administration, sometimes has no recourses to finance the social programs; the officials of the local governance are not distinguished by high profession al qualification and some of them are even corrupted. Therefore in the unitarian states the power centralization is profitable and efficient for taking decisions on the problems of the modern society. In the states of unitarian governance system the central government and the administration dispose in optimal way the economic recourses, coordination of planning and financing of social programs are simplified. Exactly for such situation, some federal states for the last period are getting centralized. Government of Germany and the USA and the central administration are financing the social programs. Each of above mentioned indicate that in modern epoch is going on the evolution process of transformation of unitarian systems into federal systems and vice-versa , the tendency of striving of federal systems towards unitarian is vividly seen.

Structure of the state governance of Western states is three stage : national, regional and local. In principle they function independently. Each of them has own autonomous sphere of competence; each of them is subordinated to the Parliament, Government and other authorities.. In the national, federal level structure of governance of the Western states, the President Office is involved into the Office of Government, Parliament and Supreme Court. While changes in the government the

structure of governance of the central bodies are often transformed. Number of government members, functions of Ministries and even titles change. New Ministries are under formation in order to implement the certain aims and tasks: first, to provide efficiency of governance, the second to accomplish special targets, the third to take into account interests of one or several political alignment and meet their desires.

At the beginning of XXI century, adfministration had become the political forcé of the authorities. At this part it is rather far from M. Veber "Ideal model" One of the reasons of all these is complication and variability of the state governance functions. Indeed in the mentioned century the state governance achieved high level of specialization. Therefore actions of administration officials are limited by narrow sphere of governance. The decisions made by the President and the Parliament are implemented by administrators on the grounds of such detailed knowledge which is not known by the political leaders. In the modern state administration the first and the foremost is expertize and discrete functions, elaboration of the state programs and implementation of consulting while taking political decisions.

**Keywords:** Structures, functions of the state board, Federal and unitary systems of the state board, a reasonable state policy, administration, examination, diskretsitonnye functions, acceptance of political decisions.

**Reviewer** – Professor Temur Todua, Georgian Technical University

**Небиеридзе Лия Геннадиевна**
**Структуры и функции государственного правления**

## Резюме

Структурные модели государственного правления в унитарных, конфидеративных и федеративных государствах разнообразны: в государствах унитарного типа управление осуществляется непосредственно из столицы. Административно–территориальные единицы во Франции, Италии и Швеции в основном исполняют второстепенную роль. Система федеративного управления состоит из администартивных единиц. которые живут своей политической жизнью. Центральная власть не имеет право своевольно упразднить эти единицы, входящие в состав конфидеративного государства могут успешно противостоять центральной власти. Период

существования конфидераций обычно недолгий. Они могут подвергнуться распаду или же преобразоваться в федерацию.

Федеративные и унитарные системы государственного правления обладают достоинствами и недостатками. В унитарных государствах концентрация административной власти снижает политическую активность граждан и любые решения принимаются центральной властью. Более того, в такое время осуществление разумной государственной политики может иметь проблемный характер. Не случайно, что на втором очередном заседании экспертов ООН, посвященном государственному правлению было подчеркнуто, что «национальные правительства должны искать оптимальные пути децентрализации и перераспределения правительственных функций». Преимущество государственного управления федеральной системы состоит в том, что принятие оперативных решений происходит на нижней ступени. Граждане стоят ближе всех к региональной администрации. Осуществление новых социальных программ более легко в региональной администрации, чем в пределах крупных административных единиц. В то же время у местного администрирования имеется слабая сторона. У регионального администрирования иногда не хватает средств для финансирования социальных программ; должностные лица аппарата местного управления не выделяются высоким профессионализмом, а некоторые из них коррумпированы. Поэтому в унитарных государствах централизация власти является рентабельной и эффективной для решения проблем. В странах с системой унитарного правления центральное правительство и администрация оптимально располагают экономическими ресурсами, упрощается финансирование социальных программ и координирование плана. Исходя из этих обстоятельств некоторые федеральные государства за последнее время становятся централизованными. Правительство Германии и США и центральная администрация финансируют социальные программы. Вышеизложенное указывает на то, что в современной эпохе происходит эволюционный процесс преобразования унитарных систем в федеративные системы и наоборот, имеется явная тенденция стремления федеративных систем в унитарные.

Структура государственного правления Западных стран трехступенчатая: национальная, региональная и местная. Они в принципе функционируют независимо, каждая из них имеет собственную автономную сферу компетенции, каждая из них

подчиняется парламенту, правительству и другим органам. В структуре управления ряда западных стран национального и федеративного уровня аппарат Президента включен в аппарат правительства, парламента и верховного суда. В период замены правительства структура органов центрального управления часто трансформируется. Меняется количество членов правительства, функции Министерств и названия. Новые Министерства формируются для осуществления определенных целей и задач: первое, обеспечение эффективности управления, второе, для выполнения особых задач, третье, для удовлетворения интересов одной или нескольких политических группировок, а также их желаний.

В начале XX1 века администрация становится политичекой силой. С этой стороны она стоит далеко от «идеальной модели» М. Вебера. Одной из причин является сложность и разнообразность функций современного госудаственного управления. Действительно, в указанном веке государственное управление достигнуто на высоком уровне специализации. Поэтому, действия чиновников администрации ограничены узкой сферой управления. Решения принятые Президентом и Парламентом администраторы выполняют на основании подробного знания дела, чего нельзя сказать про политических лидеров. В администрировании современного государства главным является экспертиза и дискрецитонные функции, разработка государственных программ, а также исполнение консультационной роли при принятии политических решений.

**Ключевые слова:** Структуры, функции государственного правления, Федеративные и унитарные системы государственного правления, разумная государственная политика, администрация, экспертиза, дискрецитонные функции, принятие политических решений.

**Рецензент –** Профессор Тодуа Тимур Тариелович, Грузинский технический университет.

**ოთარ ქოჩორაძე**

# ადამიანური რესურსების მართვა იაპონიაში (კონცეპტუალური სქემა)

***"იაპონია არ უნდა აღიქვათ, როგორც მოდელი, რომლის კოპირებაც შეიძლება. იგი გამოყენებული უნდა იყოს, როგორც სარკე, რომელშიც უნდა განვიხილოთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები".***

**ჟან-პიერ ლემანი,**
სტერლინგის უნივერსიტეტის იაპონიის შესწავლის ცენტრის დირექტორი

იაპონელებს მიაჩნიათ, რომ იაპონიაში არის მხოლოდ ერთი სიმდიდრე და ერთადერთი ულევი რესურსი – ადამიანები. აქედან გამომდინარე, იაპონური მენეჯმენტის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს წვრილმანებამდე გათვლილი, მკაფიოდ ორგანიზებული, მოქნილი და ადაპტირებადი ადამიანური რესურსების მართვის სისტემა.

მენეჯმენტის იაპონელი სპეციალისტის ხიდეკი იოსიხარას აზრით არსებობს იაპონური მართვის ექვსი დამახასიათებელი ნიშანი:

– **დასაქმების გარანტია და სანდოობის მდგომარეობის შექმნა**. მსგავს გარანტიებს მივყავართ შრომითი რესურსების სტაბილურობისაკენ და ამცირებს კადრების დენადობას. სტაბილურობა წარმოადგენს სტიმულს მუშაკებისათვის, იგი ამტკიცებს კორპორატიული ერთობის გრძნობას, ჰარმონიაში მოჰყავს რიგითი თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის ურთიერთობები. სამსახურიდან დათხოვის დამთრგუნველი საფრთხისაგან განთავისუფლებული მუშაკები, რომლებსაც აქვთ ვერტიკალური წინსვლის რეალური შესაძლებლობა, იღებენ კომპანიასთან ერთობის გრძნობის განმტკიცების მოტივაციას. სტაბილურობა ასევე ხელს უწყობს მართვის აპარატისა და რიგითი მუშაკების ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც იაპონელების აზრით, აუცილებელია კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. სტაბილურობა საშუალებას იძლევა ერთის მხრივ რაოდენობრივად გაიზარდოს მმართველობითი რესურსები და მეორეს მხრივ, მათი აქტივობის ვექტორის გაცნობიერებული მიმართვა უფრო არსებით მიზნებზე და არა მარტო დისციპლინის უზრუნველყოფაზე. დასაქმების გარანტიას იაპონიაში უზრუნველყოფს სამუდამო

დაქირავების სისტემა – უნიკალური მოვლენა, რომელიც თითქმის გაუგებარია დასავლური მენტალობისათვის.

– **კორპორაციის ფასეულობები და საჯაროობა**. როდესაც მართვის ყველა დონის წარმომადგენლები და მუშაკები სარგებლობენ ინფორმაციის საერთო ბაზით ფირმის მოღვაწეობასა და საქმიანობაზე, ვითარდება მონაწილეობისა და საერთო პასუხისმგებლობის ატმოსფერო, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს ურთიერთქმედებას და ზრდის მწარმოებლურობას. შეხვედრები და თათბირები, რომლებშიც მონაწილეობენ ინჟინრები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები იძლევა საგრძნობ ეფექტიან შედეგებს. მართვის იაპონური სისტემა ასევე ცდილობს შექმნას ფირმის ყველა თანამშრომლისათვის საერთო ბაზა კორპორატიული ფასეულობების გაგებისათვის, ისეთების როგორიცაა მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურების პრიორიტეტი, მუშაკთა თანამშრომლობა ადმინისტრაციასთან, განყოფილებების თანამშრომლობა და ურთიერთქმედება.

– **ინფორმაციაზე დაფუძნებული მართვა**. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონაცემების შეგროვებას და მათ სისტემატურ გამოყენებას წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის და პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების ასამაღლებლად. მონაცემების სრული პაკეტის გაცნობა საშუალებას იძლევა დადგინდეს არა მარტო წუნდებული პროდუქციის მწარმოებელი, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, დეფექტის მიზეზი, მიღებული იყოს სათანადო ღონისძიებები რათა მომავალში იგივე არ განმეორდეს. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად ამოწმებს საშემოსავლო სტატიებს, წარმოების მოცულობას და ხარისხს, საერთო მოგებას, რათა ნახონ მიაღწიეს თუ არა დასახულ მაჩვენებლებს და წინასწარ განჭვრიტონ სამომავლო სიძნელეები მათი წარმოქმნის საწყის ეტაპზე.

– **ხარისხზე ორიენტირებული მართვა**. ფირმის პრეზიდენტებისა და კომპანიების მმართველების მთავარ სალაპარაკო თემას წარმოადგენს ხარისხის კონტროლი. საწარმოო პროცესების მართვის დროს მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს – ხარისხზე ზუსტი მონაცემების მიღება. ხელმძღვანელის პიროვნული სიამაყის საგანს წარმოადგენს – უმაღლესი ხარისხის პროდუქცია მისდამი დაქვემდებარებულ უბანზე.

– **ხელმძღვანელობის მუდმივი ყოფნა წარმოებაში**. წარმოქმნილ სირთულეებთან სწრაფად თავის გასართმელად და პრობლების გადაჭრაში ხელშეწყობის მიზნით, იაპონელები, ხშირ შემთხვევაში მმართველობით პერსონალს განათავსებენ ხოლმე უშუალოდ საწარმოო შენობებში. ყოველი პრობლემის გადაჭრასთან ერთად შემოაქვთ პატარა სიახლე, რაც იწვევს დამატებითი ინოვაციების დაგროვებას. იაპონიაში დამატებითი სიახლებიის მხარდასაჭერად ფართოდ გამოიყენება ნოვატორული წინადადებების სისტემა და ხარისხის წრეები.

– **სისუფთავისა და წესრიგის მხარდაჭერა**. იაპონური ნაწარმის მაღალი ხარისხის გარანტიის ერთ-ერთ არსებით ფაქტორს წარმოადგენს საწარმოში გამეფებული სისუფთავე და წესრიგი.

"მაცუშიტა დენკი"-ს პერსონალის აღზრდისა და სწავლების სამსახურის წამყვანი სპეციალისტის ტაკესი ასოძუ-ს აზრით, მთავარია ადამიანებთან ურთიერთობის შემდეგი სტილი:

– მთელი სიმწვავით უნდა გრძნობდე ადამიანის წარმოების მოთხოვნილებას. მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საკუთარი მუშაკების აღზრდა.

– პატივი ეცი ადამიანებს. უპატივცემულობა ნეგატიურად აისახება პერსონალის აღზრდაზე და მიუღებელია კომპანიის გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე.

– ნათლად ჩამოყალიბეთ წარმოების საქმიანი იდეოლოგია და მისია. კომპანიის პერსონალი, რომელიც აცნობიერებს, რომ მუშაობს არა მარტო ლუკმა პურისათვის, არამედ აგრეთვე მაღალი მიზნების მისაღწევად, იღებს უფრო დიდ სტიმულს დაძაბული შრომითი საქმიანობისათვის.

– გააცნობიერებინე კომპანიის თანამშრომლების მოგებისაკენ სწრაფვის აუცილებლობა. ნებისმიერმა ქვეგანყოფილებამ უნდა მოიტანოს მოგება. მოგებისაკენ სწრაფვის წახალისება ხდება რაციონალიზაციით, კონტროლით, ახალი საქონლის შემუშავებით. ადამიანის წარმოება მდგომარეობს იმაში, რომ ვაწარმოოთ ეკონომიკურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ მოგების მოტანის რეალური უნარი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით.

– მუდმივად ისწრაფე შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და კომპანიის თანამშრომლების კეთილდღეობის ასამაღლებლად. არანაირი კეთილშობილი სამეწარმეო იდეები ვერ აიყოლიებენ ადამიანებს, თუ შესაბამის დონეზე არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მატერიალური მოთხოვნილებები.

– აავსე ადამიანთა გულები იმედით. ადამიანი მაშინ იზრდება, როდესაც მას აქვს ოცნება. შემდგარ მენეჯერად ვერ ჩაითვლება ადამიანი, რომელიც არ ჩასახავს ადამიანების სულში ოცნებას. ყველაზე შედეგიანი არის ის შრომა, რომელსაც მოაქვს სიხარული.

– სწორი შეხედულება ადამიანზე – ყველაფრის თავია. ადამიანის წარმოება – ეს არის სხვა დონე ნივთების წარმოებასა და ფულის მოპოვებისაგან განსხვავებით. მხოლოდ საერთო ინტელექტის აქტივიზაციის მეოხებით არის შესაძლებელი განვითარება, აყვავება, პროგრესი და ადამიანის ცხოვრება მშვიდობასა და კეთილდღეობაში.**[1]**

ორგანიზაციის და მენეჯმენტის იაპონური მოდელში შედის:

- მუშაკთა სამუდამო დაქირავება;
- გადაწყვეტილებების კოლექტიური მიღება;
- კოლექტიური პასუხისმგებლობა;
- ნელი განვითარება და წინსვლა;
- ირიბი კონტროლის მექანიზმები;
- (დივერსიფიცირებული მიდგომა) მუშაკთა არასპეციალიზირებული კარიერის ხელშეწყობა
- მუშაკისადმი, როგორც პიროვნებისადმი ჰოლისტური (მთლიანობაში) მიდგომა.

ორგანიზაციის და მენეჯმენტის იაპონური მოდელის არსი მდგომარეობს შემდეგში. იგი არის სპეციფიკური კულტურისა და ეკონომიკური სისტემის შედეგი. სპეციალისტების მიერ იგი შეფასებულია, როგორც თანამედროვე დინამიურ სამყაროში ორგანიზაციისათვის ყველაზე მეტი ჰარმონიულობისა და მობილურობის უზრუნველმყოფელი მოდელი. იაპონური სისტემის თავისებურებები ვლინდება პერსონალისა და შრომითი რესურსების, წარმოების, გასაღების, ფინანსების მართვაში. მართვის ამ მოდელის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ: მუშაკთა სამუდამო დაქირავება და წინსვლა

ასაკისა და შრომითი სტაჟის, რაციონალიზაციისა და ხარისხის პროცესში წვლილის მიხედვით, მუდმივი სწავლების სისტემა უპირატესად წარმოებაში. წარმოების მართვის ორგანიზაციაში განმსაზღვრელად ითვლება საწარმოო სისტემის, როგორც ერთიანი მთელის, მუშაობის ოპტიმიზაციის პროცესი. იაპონურ ფირმებში ორგანიზაცია ეგუება ადამიანს. **[2]**

## დაგეგმარება იაპონურ კომპანიებში

იაპონურ კომპანიებში გეგმა არის მოღვაწეობის რაციონალიზაციის საშუალება და იმავდროულად წარმოადგენს კონტროლის ინსტრუმენტს დასახული მიზნების მისაღწევად. გეგმის მიღებით ფირმა იღებს კრიტერიუმს, რომლის მეოხებითაც შეიძლება შეფასდეს თითოეული მუშაკის საქმიანობა – კომპანიის ხელმძღვანელობიდან დაწყებული და ახლად მიღებული მუშაკით დამთავრებული. მსგავსი მიდგომა გამორიცხავს სიტუაციას, როდესაც წარუმატებლობა ხელმძღვანელობის მიერ წარმოჩინდება წარმატებად, ხოლო ფაქტიური ჩავარდნა კი, უკანდახევად წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე.

ფირმის საქმიანობის საფუძველს წამოადგენს გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტაცია და სტრატეგიის წარმმართველი როლი ფირმის ფუნქციონირებაში. გრძელვადიანი გეგმები წარმოადგენენ ფირმის სტრატეგიის გამოხატულებას, მოკლევადიანები კი უპირატესად რაოდენობრივი არიან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეგმების შედგენას არა დამგეგმარებელ ორგანოში ან სპეციალისტთა კრებაზე, არამედ უშუალოდ იქ, სადაც იგი უნდა განხორციელდეს. მის შემუშავებაში აუცილებლად არის გათვალისწინებული სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ადამიანთა კოლექტიური გონი.

იაპონური კომპანიების დაგეგმარების მოდელი შედგება 4 სტადიისაგან: წინაპირობების ფრომირება, პრობლემის დაყენება, გრძელვადაინი სტრატეგია, საშუალო ხანგრძლივობის გეგმები. პირველხარისხოვალი მნიშვნელობა ენიჭება სამომავლო პროგნოზებს.

გრძელვადიანი სტრატეგიის სტადიაზე გამოიკვლევა ახალი წარმოებების განვითარების შესაძლებლობები 3 ელემენტის მიხედვით: გრძელვადიანი მიზნები, გრძელვადიანი

სტრატეგიული პროექტები, გრძელვადიანი პოლიტიკა ძირითად სფსეროებში.

კომპანიის გრძელვადიანი გეგმები შეიცავენ სამ განყოფილებას:

- წარმოების მასშტაბები (5 წელი) – ახალი შეკვეთები, გასაღება, სუფთა მოგება, დასაქმებულთა რაოდენობა, ინვესტიციები მოწყობილობაში და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები.

საქმიანი აქტივობის გრძელვადიანი სტრატეგიები (5 წელი) – გარემოცვა, ნომენკლატურის ანალიზი, ახალი ბაზრები, ახალი პროდუქტები, მოძველებული პროდუქტები, გასაღების შესაძლებლობების გაზრდის მეთოდები, "საზღვარგარეთ აქტივობის სტრატეგია და ტაქტიკა".

- სიტუაციური გეგმა (3 წელი)
- დასკვნები და დანერგვის გეგმა.

საშუალო ხანგრძლივობის გეგმები მუშავდებიან გრძელვადიანი დაგეგმარების ფარგლებში. ისინი შედგებიან 3 ნაწილისაგან: რესურსების განაწილება, გეგმების შედგენა პროდუქციის ნომენკლატურაზე და ფუნქციონალური სამსახურები. აქ შედიან სამრეწველო სიმძლავრეების გარზდის, შრომისა და მოგების გეგმები.

## მმართველობითი კონტროლის სისტემა

მმართველობითი კონტროლი – მმართველობითი დაგეგმარება და უკუკავშირი, რომელიც წარმოადგენს საორგანიზაციო მიზნების მიღწევის ინსტრუმენტს მენეჯერებისათვის. ადამიანის მართვის უნარს გააჩნია გარკვეული ზღვარი, ამიტომაც აუცილებელია მოძიებული იყოს ეფექტიანი მართვისათვის საჭირო საქმიანობის ოპტიმალური მასშტაბი.

განვიხილოთ ეს პროცესი "მაცუშიტა"-ს ფირმის მაგალითზე. ფირმის ორგანიზაციაას საფუძვლად უდევს ფილიალების სისტემა. მისი კლასიფიკაცია შემდეგნაირია:

– კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ფილიალების მმართველების კონტროლის მიზნით – დაგეგმარების სისტემა ფილიალებში, ფილიალების შიდა კაპიტალის სისტემა, ყოველთვიური საბუღალტრო ანგარიშების სისტემა.

– ფილიალების მმართველებისათვის განყოფილებების უფროსების კონტროლის მიზნით – განყოფილებების ბიუჯეტები, ყოველთვიური საბუღალტრო ანგარიშების სისტემა. ფილიალების დაგეგმარების სისტემა გულისხმობს, რომ თითოეული დამოუკიდებელი განყოფილება, ხოლო შემდეგ ფილიალი თვითონ ამუშავებს თავის გეგმას. მათ საფუძველზე მზადდება მთელი კომპანიის საერთო გეგმა.

**ზოგადად დაგეგმარების მეთოდი გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:**

– კომპანიის სტრატეგიის გამოცხადება. კომპანიის სტრატეგია წარმოადგენს რაღაცნაირად აბსტრაქტულს და გამოიხატება ზეპირად, მაგრამ იგი ხაზს უსვამს ფირმის საქმეების შეფასებას და სწრაფვას გადალახული იქნას კონკურენტული სიძნელეები პოლიტიკისა და მიზნების სრულყოფის გზით. ეს არის თავისებური ლოზუნგი პერსონალისათვის.

– დირექტივები დაგეგმარებისათვის ფილიალებში. ვინაიდან კომპანიის სტრატეგია აბსტრაქტულია, ორიენტირები დაგეგმარებისათვის ფილიალებში გაიცემა კომპანიის პრეზიდენტის მიერ დირექტივის სახით.

– დაგეგმარების პოლიტიკის განსაზღვრა ფილიალში. ამ ეტაპზე ფილიალის ხელმძღვანელი განსაზღვრავს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების საკუთარ პოლიტიკას და ინსტრუქციებს აძლევს განყოფილებების გამგეებს.

– თითოეული განყოფილების გეგმის მომზადება;

– განყოფილების ბიუჯეტის პროექტის მომზადება;

– გეგმის პროქტის მომზადება ფილიალისათვის;

– ფილიალისათვის გეგმების შემოწმება და დამტკიცება;

– ფილიალის გეგმის დამტკიცებული პროექტის გადაცემა.

ამ ხარჯთაღრიხვას უწოდებენ “სამეფო ბეჭდიან დოკუმენტს”. ამ დოკუმენტის გადაცემის ცერემონია წმინდა იაპონური თავისებურება არის, იმიტომ რომ “სამეფო ბეჭდიან დოკუმენტი” განიხილება, როგორც კონტრაქტი კომპანიის პრეზიდენტსა და ფილიალის მმართველებს შორის. გეგმის შესრულება სავალდებულოა მმართველისათვის. თითოეული მმართველი პასუხისმგებელია მხოლოდ “სამეფო ბეჭდიან

დოკუმენტში" დაფიქსირებული პუნქტების შესრულებაზე. ამ შეთანხმების შესრულების მეთოდის არჩევანის უფლება მინიჭებული აქვს ფილიალის მმართველს. მართვისადმი ამგვარი მიდგომა მმართველისაგან მოითხოვს პასუხისმგებლობისა და თვითკონტროლის მაღალ შეგნებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მმართველობითი კონტროლი დასახული ამოცანების შესრულებაზე ხორციელდება არა გარკვეული დირექტივების მიღების გზით, როგორც ეს არის მიღებული ტრადიციულ მენეჯმენტში, არამედ დახმარებისა და საწარმოო პროცესში სუსტი რგოლების გამოვლინების მეოხებით (აქ სიტყვა "კონტროლი" დაკავშირებულია არა "გამოვლენა-დასჯა"-ს მოდელთან, არამედ "შემოწმება-დახმარება"-სთან).

სუბიექტივიზმის თავიდან ასაცილებლად იაპონელი მენეჯერები ტოტალურად იყენებენ სტატისტიკის მეთოდებს მიმდინარე სიტუაციის განსაზღვრისათვის. იაპონელებს სჯერათ ციფრების. ისინი ცდილობენ რაოდენობრივად აღწერონ ბიზნესის ყველა ასპექტი. ზომავენ ყველაფერს. უაზროდ არ ფლანგავენ ძალასა და ენერგიას. შედეგი: უნაკლოდ მოწყობილი სისტემა – კარგი მენეჯმენტის არსი.

დისციპლინის შესანარჩუნებლად და სამუშაოს ხარისხის ასამაღლებლად იაპონელი მენეჯერები აქცენტს აკეთებენ დაჯილდოვებაზე და არა დასჯაზე. აჯილდოვებენ სასარგებლო წინადადებისათვის, ავარიული სიტუაციის დროს სიცოცხლის გადარჩენისათვის, სასწავლო კურსებზე უმაღლესი მაჩვენებლებისათვის, კარგად შესრულებული ვალდებულებისათვის, საკუთარი საქმისადმი ერთგულებისათვის. ჯილდოები არის სხვადსხვა ტიპის: სიგელები, საჩუქრები, თახა ან დამატებითი შვებულება. რაც შეეხება დასჯას, ეს არის: საყვედური, ჯარიმა და სამსახურიდან განთავისუფლება. სამსახურიდან განთავისუფლება დასაშვებია შემდეგ შემთხვევაში: ქურდობა, ქრთამის აღება, უფროსების ინსტრუქციების შეგნებული დაუმორჩილებლობა, სისასტიკე, საბოტაჟი.

დასავლური გაგებით იაპონია არის პარადოქსების ქვეყანა. აქ უარყოფილია პიროვნება, როგორც ცალკეული ინდივიდი, მაგრამ უდიდეს ყურადღებას იჩენენ თითოეულის აზრისადმი. ა. ათოსი და რ. პასკალი წიგნში "იაპონური მართვის ხელოვნება" აღნიშნავენ, რომ: "იაპონელები თითოეულ ადამიანს განიხილავენ, როგორც ეკონომიკური,

სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მოთხოვნილებების მქონეს ისევე, როგორც ამას აკეთებენ ამერიკელი ხელმძღვანელები, როდესაც სპეციალურად დაფიქრდებიან ამაზე. მაგრამ იაპონელ ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს რაც შეიძლება უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სწორედ ადამიანის პიროვნებას, და არა სხვა ინსტიტუტებს (ისეთები როგორიცაა მთავრობა, ოჯახი ან რელიგია)".

ამავდროულად ოჯახი იაპონელებისათვის წარმოადგენს არსებობის ფორმას. საკმაოდ ხისტი ვერტიკალური იერარქიის პირობებში აქ არა აქვს ადგილი ხელმძღვანელის "გაღმერთებას", იგი "ხელმისაწვდომია". იაპონელები პატივს სცემენ არა ადამიანის მიერ დაკავებულ ამა თუ იმ ადგილს, არამედ იმას, თუ რა გააკეთა მან კონკრეტულად, მის გამოცდილებას.

იაპონელი დისციპლინირებულია, აზროვნებს ჯგუფური ინტერესებით და შეუძლია გამოავლინოს ექსტრაორდინარული ძალისხმევა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად. იაპონელები არიან მიზანსწრაფული ადამიანები. მათ სურთ უსასრულობამდე სრულყონ თავიანთი თავი. ამ მიზნის მისაღწევად მზად არიან იშრომონ თავდაუზოგავად. სწორედ რომ სრულყოფილებისადმი სწრაფვის ეს ჟინი დაეხმარა იაპონურ მენეჯმენტს მოეხდინა მართვის დასავლური გამოცდილების ინტეგრირება ტრადიციულ იაპონურ კულტურაში. ტოკიოს უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის სუსუმა ტაკამიას აზრით: "იაპონურმა მენეჯმენტმა შეისწავლა და შეითვისა მართვის თანამედროვე პრინციპები და მეთოდები სიხარბის ტოლფასი ენერგიით. მან წარმატებით მოჰკიდა ხელი ოთხ ძირითად პრობლემას – ტექნოლოგიურ ინოვაციას, ინდუსტრიალიზაციას, დემოკრატიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას. ყოველივე ამან არ ავნო ისეთ კულტურულ ფასეულობებს, როგორიცაა ჯგუფური ცნობიერება და უფროსებისადმი პატივისცემა". **[3]**

## იაპონური მენეჯმენტის ფსიქოლოგია

თამანედროვე იაპონიაში "მართვა"-**"კეიეი"** გაგებული არის როგორც ამერიკული კლასიკური მენეჯერიზმისა და იაპონური ტრადიციონალიზმის შენადნობი.

ტიპიური იაპონური ფირმა ორგანიზებული არის სამ დონიანი პირამიდის სახით. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ეს სამ ტერასიანი სტრუქტურა არის ყველაზე მობილური და ნაკლებად დაექვემდებარება გაბიუროკრატების ტენდენციას.

I – **კეიეი** (უმაღლესი ადმინისტრაცია. მართვის უმაღლესი სტრატეგიული დონე, სადაც განისაზღვრება კომპანიის სტრატეგიული მიზნები და პოლიტიკა. მას მიეკუთვნება შემდეგი თანამდებობები: თავმჯდომარე, დირექტორთა საბჭოს წევრები, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, ცენტრალური სამსახურების უფროსები. კეიეი-ს წევრები ხდებიან 50 წელს გადაცილებული კანრი-დან დაწინაურებული თანამშრომლები);

II – **კანრი** (ადმინისტრაცია, საშუალო ტაქტიკური მმართველობითი დონე. მას მიეკუთვნება ფირმის განყოფილებების ხელმძღვანელების და განყოფილების უფროსების თანამდებობები). [ბუტე – გაყოფილების გამგეები. კატე – სექტორის (სექციის) გამგეები];

III – **იპან** (რიგითი მუშაკები. მართვის ოპერატიული დონე. ამ დონეს მიკუთვნება სახაზო მმართველების თანამდებობები: ჯგუფის ხელმძღვანელები, ცვლებისა და უბნების უფროსები, ოსტატები და ბრიგადირები).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი. ძნელია ვუწოდოთ “კეიეი”-ს, “კანრი”-ს, “იპან”-ს მართვის დონეები საზოგადოდ მიღებული გაგებით, ანუ როდესაც თითოეული მათგანი ხასიათდება გარკვეული ძალაუფლებითა და პასუხისმგებლობით. მართვის იაპონური ორგანიზაციის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის რომ, როგორც წესი, არ არსებობს ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის დონეების საკმარისი მკაფიო გამიჯვნა. **[4]**

## ფირმის კორპორატიული სული

იაპონური მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტების – მუშაკთა სამუდამო დაქირავება, შრომის ანაზღაურება და თანამდებობრივი წინსვლა ასაკობრივი ცენზის მიხედვით, ჯგუფური ფსიქოლოგიის კულტივირება – შემადუღებელ ძალას წარმოადგენს ფირმის **კორპორატიული სული**. სამეცნიერო ლიტერატურაში მას უწოდებენ: ლოიალურობას, მიმდევრობას, მომხრეობას, იდენტიფიცირებას და სხვა. ყველა შემთხვევაში საუბარი არის ფენომენზე, რომელიც

შეინიშნება იმ ადამიანთა ქცევაში, რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის იდეალებს და გამსჭვალულნი არიან მისდამი კუთვნილების გრძნობით. ეს ფენომენი სამეცნიერო ხმარებაში შემოტანილი იყო კარლ ფონ კლაუზევიცის მიერ "კორპორაციული სულის" სახელით XIX საუკუნის დასაწყისში.

ნაშრომში "ომის შესახებ" მან "კორპორაციული სული" (ფრანგ., esprit de corps) უწოდა საშუალებას, რომელიც აყალიბებს არმიის საბრძოლო სულს, მის მხედრულ სიჩაუქეს. "იმაში, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სიჩაუქეს, კორპორატიული სული გარკვეულ წილად წარმოადგენს იმ შემაკავშირებელ საშუალებას, რომელიც ადუღაბებს მის წარმომქმნელ ბუნებრივ ძალებს".**[5]** კორპორატიული სულის დამახასიათებელ ნიშნად კლაუზევიცს მიაჩნდა იმ საქმიანობის "პროფესიონალური თავისებურება", რომესაც ასრულებენ ადამიანები. "და თუ ეს ესეა, მაშინ ისინი, რომლებიც დაკავებული არიან სამხედრო საქმით და ვიდრე მას ასრულებენ, განიხილავენ თავის თავს როგორც ერთდაგვარ კორპორაციას"**[5.იქვე]**. დღეისათვის "კორპორაციული სული" აღიქმება, როგორც ორგანიზაციის იდეალებისადმი ერთგულებისა და მისი მიმდევრობის გრძნობის ერთობა.

ფირმის იდეალებისადმი ერთგულება იაპონურ სინამდვილეში ვლინდება სხვადასხვა საფეხურებზე. უპირველეს ყოვლისა ეს არის – ჯგუფისადმი ერთგულება, შემდეგ, ერთგულება სექციისადმი, განყოფილებისადმი, წარმოებისადმი, ფირმისადმი. ყოველივე ამის საფუძველს წარმოადგენს საკუთარი სამუშაო ჯგუფისადმი მიმდევრობა, რომელიც თავის თავში ახდენს ორგანიზაციის ძირითადი იდეალების აკუმულირებას. ჯგუფი – არის სისტემის ელემენტი. მართალია ჯგუფური იდეალებით აღზრდილი მუშაკი განმსჭვალულია აგრეთვე ფირმის იდეალებითაც, მაგრამ ამ უკანასკნელისადმი ერთგულების ფორმირება მასში ხდება უფრო ფართო სოციალურ გარემოში, კერძოდ კი ერთიანი საფირმო ორგანიზაციის ატმოსფეროში. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ფირმის იდეალებისადმი ერთგულების აღზრდის ერთად ერთ გზას წარმოადგენს ფირმისადმი მიმდევრობის აღზრდა.

ამგვარად ფირმის კორპორატიული სულის, რომლის მთავარ შემადგენელს წარმოადგენს იდეალებისადმი

ერთგულება, აღზრდა ხდება ფირმის საქმეებისადმი, მისი ატმოსფეროსადმი, ამოცანებისადმი, მისიისადმი მუშაკის თანაზიარებით. იაპონიაში ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდება მრავალფეროვანი მეთოდებისა და საშუალებების მეოხებით. კერძოდ კი, გონივრულად გამოიყენება ადამიანთა ორგანიზებული ერთობებისადმი კუთვნილების გამწვავებული შეგრძნება იაპონელებში. იაპონური ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარის, თ. ლებრას აზრით ეს გრძნობა "მიმართულია სხვადასხვა სახის ჯგუფებთან – მცირე, დიდი, ფორმალური, არაფორმალური, კონკრეტული, იდეალური – იდენტიფიკაციაზე. ასეთები შეიძლება იყოს ოჯახის კერია, საცხოვრებელი ადგილი, სოფელი, ქალაქი, ფირმა და სხვა". [6]

იაპონიაში კორპორაციული სული წარმოადგენს მენეჯმენტის მიზანს და საშუალებას. ისინი არ ზოგავენ დროს, სახსრებსა და ძალისხმევას ამ სულისკვეთების სათანადო დონეზე შენარჩუნებისათვის.

## გადაწყვეტილების მიღება

ნებისმიერი ხელმძღვანელის საქმინობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ნებისმიერი მიზანმიმართული, გაცნობიერებული და ორგანიზებული საქმიანობის ხელმძღვანელობა საბოლოო ჯამში დადის გადაწყვეტილებების მომზადების, შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესამდე.

კერძო შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაცია ხორციელდება, როგრც წარმმართველი, მაკორექტირებელი ზემოქმედება, რომელთა მეოხებითაც ხდება მართვის რეალიზაცია ამ ტერმინის ვიწრო გაგებით. მაგარამ თუ განვიხილავთ ორგანიზაციების, ფირმების ხელმძღვანელობას უფრო ფართო ასპექტში, მაშინ დავინახავთ, რომ გადაწყვეტილების მიღება – არის მართვის ნებისმიერი ცალკეული ფუნქციის განხორციელების განუყოფელი და დომინანტური პროცესი.

ნებისმიერი მართვა გულისხმობს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებას. მმართველობითი გადაწყვეტილებები წარმოადგენენ დაგეგმარების, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის არსებით ელემენტებს. ეროვნულ ტრადიცებზე დაფუძნებული

გადაწყვეტილების მიღების იაპონური სისტემა ასახავს იაპონელების ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებებს და ორიენტირებულია მათ სოციალურ ფასეულობებზე. გდაწყვეტილების მიღების არსებით თავისებურებას იაპონიაში წარმოადგენს "კონსენსუსის" (შეთანხმების) პრინციპი.

ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების ევროპული მეთოდისაგან განსხვავებით იაპონელები უპირატესობას ანიჭებენ წინასწარ შეთახმებებს, თათბირებს და არაფორმალურ მოლაპარაკებებს. მათი აზრით, მსგავს პროცედურას მივყავართ ერთსულოვნებისაკენ, რაც შემდგომში შეთანხმებულ ქმედებებში გადადის.

[ეს უნდა იცოდეთ: *ძველ ბერძენი ფილოსოფოსი ანტისთენე ათენელი (ძ.წ. 435-360) ათენელებს ურჩევდა მიეღოთ სპეციალური დადგენილება რათა ვირები ჩაეთვალათ ცხენებად. მათ ეს უაზრობად მიიჩნიეს. კი მაგრამ, – შეეპასუხა ანტისთენე, – თქვენთან ხომ შეიძლება, არაფერი არ ისწავლო და სტრატეგოსიც კი გახდე, საკმარისია მხოლოდ უმრავლესობამ ასწიოს ხელი".* **[7]**

იაპონური საზოგადოება ძველთაგანვეა გაჯერებული შეთანხმების პრინციპით. შეთანხმებული ქმედებებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს იაპონური ოჯახის **"იე"**-ს ფსიქოლოგიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს.

იაპონურ სიტყვა **"იე"**-ს გააჩნია სხვადასხვა ტარდიციული მნიშვნელობა:1. შენობა, რომელიც გამოიყენებს საცხოვრებლად; 2. ოჯახი, ოჯახის წევრები ან საოჯახო მეურნეობა; 3. ოჯახის წევრებისაგან შემდგარი ჯგუფი, განსაზღვრული იაპონიის უძველესი სამოქალაქო კოდექსით; 4. საოჯახო ხაზი (გვარი) რომელიც სათავეს იღებს ვიღაცის წინაპრებისაგან და გრძელდება მომავალშიც. ანუ, ეს არის "პატრიარქალური კლანი, ოჯახის წევრებისა და საერთო წინაპრებით განპირობებული სანათესაო ოჯახების ქსელი; "იე" შეიცავს ძირითად (საცხოვრებელ) და დამხმარე (სამეურნეო) ნაგებობებს, რომლებიც გადაიცემა თაობიდან თაობაზე." **[8]**

**"იე"**-ს ნორმების თანახმად მისი წევრები ვალდებულნი არიან იფუნქციონირონ, როგორც ერთიანი მექანიზმის, ერთმანეთთან საგულდაგულოდ მორგებულმა ნაწილებმა. ვინაიდან ყველა ოჯახი შედის უფრო მსხვილ სოციალურ წარმონაქმნებში (კლანი, სათვისტომო და სხვა)

თითოეული იაპონელი თავის ქცევას აგებს ოჯახში ქცევის მსგავსად: იგი ცდილობს შეუსაბამოს საკუთარი ქცევა თავისსავე მსგავსების ქცევას და არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც მიაყენებს რაიმე ზიანს ზემოთ ხსენებულ წარმონაქმნებს. იაპონელთა უმრავლესობისათვის მთელი ერი წარმოადგენს ერთ დიდ ოჯახს და მათ აქვთ უფლება გამოვიდნენ მისი სახელით. მსგავსი ინდივიდები სუბიექტურად აცნობიერებენ მათში არსებულ პიროვნულ-კონფორმულ "მე"-ს, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი შეხედულებებით, აზრებით, პოზიციებით და სჯერათ, რომ მათ ითვალისწინებენ მართვის სისტემაში ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების დროს. აქედან გამომდინარე, მოცემულ პროცესში უნდა მონაწილეობდეს უკლებლივ ყველა დაინტერესებული პირი.

გადაწყვეტილების მიღების იაპონური მოდელისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთი ფენომენი, როგორიცაა **"ჰემავასი",** ანუ გასხვლა. ფაქტიურად ეს არის უთანხმოებების, წინააღმდეგობების შესუსტება, საპირისპირო შეხედულებების აღკვეთა.

დაინტერესებული პირების მრავალრიცხოვანი შეკრებების **("კონდაპკაი")** და მათთან არსებულ პრობლემებზე **("კაიგი")** საჭირო რეაქციის ყოველმხრივი შეთანხმების შემდეგ მიიღება საერთო, ჯგუფური გადაწყვეტილება, რომელზეც პასუხს აგებს არა კონკრეტული პიროვნება, არამედ მთელი ჯგუფი. ეკონომიკის მართვის ძირითად იაპონურ კონცეფციებში "ჯგუფურობის" პრინციპი იმყოფება საპატიო პირველ ადგილზე. **[9]**

საკუთარი "მე"-ს გამოვლინება იაპონელებში არ ხდება ისე, როგორც ევროპელებში. იაპონური "მე"-ს პიროვნულ-კონფორმული ხასიათი (ჯგუფური იდეალებისადმი შეთანხმებულობა) თვალნათლივ ვლინდება ურთიერთობის პროცესში. ნაცვალსახელ "მე"-ს იაპონურ ენაში აქვს რამოდენიმე ნაირსახეობა, რომელთა გამოყენებაც დამოკიდებული არის სიტუაციაზე, ურთიერთობის მონაწილეთ სქესზე, ასაკზე, სოციალურ სტატუსზე. იაპონელი საუბარში ძირითადად იყენებს უპირო ან პიროვნულად განუსაზღვრელ შტამპებს და არ აკეთებს საკუთარ პიროვნულ "მე"-ზე აქცენტირებას. იგი ძირითადად ამბობს: **"დო:სე"** (ზოგადად, ბოლოს და ბოლოს), **"სიოსენ"** (საბოლოო ჯამში), **"იაპარი"** (სულ ერთია, მაინც), **"სასუგა"**

(მართლაც და) და არასოდეს არ ამბობს "მე ასე ვფიქრობ". ხოლო თუ იძულებულია მაინც თქვას, მას ურჩევნია თქვას **"სო:ომოვარერუ"** (აზრად მომდის).

გადაწყვეტილების მიღების პროცედურას იაპონიაში ეწოდება **"რინგი"**, რომელიც წარმოადგენს იაპონური მენეჯმენტის ფილოსოფიას. ტერმინი "რინგი" შედგება ორი ჩინური იეროგლიფისაგან – **"რინ"** (ქვემდგომისაგან პასუხის მოთხოვა) და **"გი"** (მოთათბირება, განსჯა, მოფიქრება). მართვის იაპონურ პრაქტიკაში ეს ტერმინი პირველად გამოყენებული იყო მეძის რესტავრაციის პერიოდის დასაწყისში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი "რინგი"-ს სისტემით ვითარდება შემდეგი სქემით. ფირმის ხელმძღვალენობა ზოგადად განსაზღვრავს პრობლემას და დეტალური ანალიზისათვის გადასცემს მას სექტორში ან სექციაში. აქ, სპეციალურად გამოყოფილი ჩინოვნიკი ამზადებს წინადადებებისა და დასკვნების დოკუმენტს **("რინგისიო").** მომზადებული "რინგისიო" გადაეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც გაცნობისა და ვიზირების (პირადი ბეჭდის დასმა) შემდეგ უბრუნებენ შემსრულებელს. ეს უკანასკნელი დამუშავებულ და ვიზირებულ დოკუმენტს წარუდგენს ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც დოკუმენტი შედის ძალაში. დოკუმენტზე არსებული მრავალრიცხოვანი ვიზები იმაზე მეტყველებენ, რომ ყველა დაინტერესებული პირი გაეცნო პრობლემას და გამოხატა თავისი აზრი, რაც ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ არის საჭირო საშემსრულებლო არხებით, როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური, მისი პოპულარიზაცია და წინ წაწევა.

პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებაზე არ არის პერსონიფიცირეებული. მიღებულ გადაწყვეტილებაზე, პასუხს აგებს მთელი გუნდი. არავის არ გააჩნია უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. სისტემა მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყოს ყველას მიერ. თუ ვინმე წინააღმდეგი არის, წინადადება უბრუნდება მის ინიციატორს. ყოველი წინადადება განიხილება არაოფიციალურ, არაფორმალურ ჯგუფებში. გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოცხადებამდე იგი ჯერ არაფორმალურად უნდა იყოს განხილული.

"რინგის" სისტემის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მართვის ირიბი მეთოდების შეგნებული გამოყენება. გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილე ადამიანთა დიდი რაოდენობის აზრის გარკვევა აფართოვებს პრობლემის გაგებას მთლიანობაში და საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი მნიშვნელობა და ზეგავლენა ფირმის საქმინობაზე. ეს მეთოდი ამაღლებს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხს, რამეთუ იგი არის მათი შესრულების და ჯგუფური მოტივაციის განვითარების გარკვეული სტიმულიატორი. მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს, ჯგუფის შიგნით შემუშავებული, კოლექტიური აზრის გამოხატულებას, არ არის მექანიკურად გარედან შემოტანილი და თავს მოხვეული, რაც, თავის მხრივ, უზარმაზარ დადებით მნიშვნელობას იძენს რეალიზაციის ეტაპზე. **[10]**

## დასკვნა

დასკვნის სახით გვინდა მოვიყვანოთ კაორუ იშიკავას რჩევა საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისათვის [კაორუ იშიკავა (იაპონ., 石川馨) (1915-1990) თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთ მამა დამაარსებელი, ხარისხის მართვის სახელგანთქმული იაპონელი სპეციალისტი]:

– თანამშრომლის სარგებლიანობა განისაზღვრება არა მისი მუდმივი ფიზიკური ყოფნით, არამედ ფირმის მოთხოვნილებით ამ თანამშრომელში. ღონისძიებების მკაფიო ორგანიზაციის პირობებში არ არის სავალდებულო ხელმძღვანელის ფიზიკური ყოფნა ფირმაში.

ეს ეხება ორგანიზაციებს, სადაც ხელქვეითებისადმი ნდობა წარმოადგენს უცილობელ კანონს. ფირმის მოთხოვნილება თანამშრომლით განისაზღვრება მისი ისეთი თვისებებით, როგორიცაა სწრაფი რეაქცია, საზრიანობა და ინიციატივა. გაუთვალისწინებელი სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ესეთ თამშრომელს სთხოვენ დაბრუნდეს ფირმაში და მონაწილეობა მიიღოს პრობლემის გადაწყვეტაში.

– ის ვინც მართავს ხელქვეითებს – სანახევროდ არის ხელმძღვანელი. შემდგარ ხელმძღვანელად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვისაც შეუძლია მართოს ზემდგომი თანამდებობის პირები.

– ხელქვეითებისათვის უფლებების მინიჭება სტიმულირებას უწევს მათი უნარის ყოველმხრივ განვითარებას და ააქტიურებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობეს. ხელმძღვანელი თავისი ხელქვეითების აღმზრდელს წარმოადგენს. იგი მათ უნდა უზიარებდეს ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებას სამუშაო ადგილებზე. კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს ხელქვეითებისათვის საჭირო უფლებების მინიჭება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ გადაწყვიტონ საკითხები საკუთარი მოსაზრების შესაბამისად. ამავ დროულად ხელქვეითებს კარგად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი ფირმის საერთო სტრატეგია.

– ნუ ცდილობთ მუდმივად თვალყური ადევნოთ ზემდგომი ხელმძღვანელობის რეაქციას შრომის შედეგებზე.

– საშუალო რგოლის ხელმძღვანელები და მათი ხელქვეითები პასუხს აგებენ ინფორმაციის სანდოობაზე საკუთარი შრომის შედეგების შესახებ.

– საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ხარისხის წრეების საქმიანობაზე.

– სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობა და კავშირი – ეს არის ფუნქციების მიხედვით მართვა.

– პერსპექტივაზე ორიენტაცია – ფირმის წარმატებული საქმიანობის საწინდარია. ფირმის ხელმძღვანელის ორიენტაცია უნდა იყოს 10 წლით წინმსწრები, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელის – 5 წლით, განყოფილების უფროსის – 3 წლით, ქვეგანყოფილების – 1 წლით.

და ბოლოს ვურჩევ საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს, რომლებსაც თავიანთ ფირმებში უკავიათ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობები, გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები ინიციატივიანად, ღირსებითა და რწმენით საკუთარი შესაძლებლობებისადმი. **[11]**

ლიტერატურა:

**References**


1. Psennikov S.S. Iaponskii menejment. 27 urokov dlia nas. M. 1997.

2.http://de.ifmo.ru/bk_netra/page.php?dir=2&tutindex=3&index=11&layer=2

3.http://images.google.ge/imgres?imgurl=http://business.rin.ru/img/341550.jpg&imgrefurl=http://business.rin.ru/cgibin/search.pl%3Faction%3Dview%26num%3D341579%26razdel%3D8%26w%3D0&usg=__8ChWgFMXSUAh5nWYDwFmgYscrY4=&h=120&w=150&sz=5&hl=ka&start=10&tbnid=FHIeoV7ceV8sUM:&tbnh=77&tbnw=96&prev=/images%3Fq%3D%25D0%25A5%25D0%25B8%25D0%25B4%25D0%25B5%25D0%25BA%25D0%25B8%2B%25D0%2599%25D0%25BE%25D1%2581%25D0%25B8%25D1%2585%25D0%25B0%25D1%2580%25D0%25B0%26gbv%3D2%26hl%3Dka%26sa%3DG

4. Yoshino M. Y. Japan's Managerial System. Cambridge, 1968.

5. Klauzevic K. O voine, T.1,M., 1941, st.171

6. Lebra T. S. Japanese Patterns of Behavior. Honolulu, 1982 p. 22.

7. Celovek. Misliteli proslogo I nastoiasego o ego jizni,smerti I bessmertii. Drevnii mir – epoxa Prosbiasenia. M.,1991, st.7.

8. Hall J., Beardsley R. Twelve doors to Japan. New York: Mcgraw-Hill Book Company, 1965, p.78.

9. Vogel E. F. (Ed.). Modern Japanese Organization and Decision-Making. Tokyo, 1979.

10. http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000006/st028.shtml

11. http://www.ichiban.narod.ru/manager/Osobennosti.htm

12. V.A. Pronnikov, I.D. Ladanov. Iaponci (etnopsixologiceskie ocerki. M., 1985.

**Otar Kochoradze**

**Management of human resources in Japan**
**(The conceptual scheme)**


## Summary

The Japanese system of management is a synthesis of traditional, ethnocultural traditions and the imported and adapted western ideas. It reflects its historical features, cultural-ethnic psychology. The basic subject of the Japanese system of management are people; mobilization and uses of the human factor; the attitude to people, the personnel - it a word the human person. A secret of the Japanese success it « manufactures in manufacture ».

In 1981 in Japan there was book Takeshi Asuzu « Manufacture of the person on Konosuke Matsushita » which long time was engaged in training and education of the personnel in " Matsusita Denki ". In opinion of the author an essence « manufactures in manufacture » in the following:

- It is necessary to feel necessity for manufacture of the person sharply. Education of workers for itself - here the major problem of management.

- Respect for the person. Disrespect negatively affects education of the personnel and is inadmissible from the point of view of long-term interests of the company.

- Clearly to formulate business ideology and mission of the enterprises. The personnel of the company realizing that works not only for a daily bread, but also for the sake of achievement of high aim, receives the big stimulus to more intense work.

-Necessity of aspiration to profit should be realized by employees of the company. Any division should make a profit. In aspiration to profit rationalization, the control, costs, development of the new goods is encouraged. Manufacture of the person consists in making economically conceiving people possessing real ability to make a profit, using knowledge in practice.

- Constantly to aspire to improvement of working conditions and increase of well-being of employees of the company. No noble enterprise ideas will carry away people if their material needs properly will not be satisfied.

- To fill hearts of people with hope. The person grows when it has a dream. The manager who is not installing in showers people dream - is insolvent. That work which brings pleasure is most productive.

- The correct sight at the person - in a basis only. Manufacture of the person is other level in comparison with manufacture of things and getting of money. Only through activization of the general intelligence are possible both development, and prosperity, both progress, and human life in the world and prosperity.

**Keywords:** System of management, ethnocultural traditions, historical features, cultural-ethnic psychology, the human factor, the personnel, “ manufacture of the person”, “manufactures in manufacture”, respect for the person, business ideology, mission of the enterprise, necessity of aspiration for profit, improvement of working conditions, increase of well-being of employees of the company, activization of the general intelligence.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

**Кочорадзе Отар Георгиевич**

**Управление человеческими ресурсами в Японии (Концептуальная схема)**

**Резюме**

Японская система менеджмента - это синтез традиционных, этнокультурных традиций и импортированных и адаптированных западных идей. Она отражает ее исторические особенности, культурно-этническую психологию. Основным предметом японской системы менеджмента являются люди; мобилизация и использование человеческого фактора; отношение к людям, персоналу – одним словом человеческая личность. Секрет японского успеха это «производства в производстве».

В 1981 г. в Японии вышла книга Такэси Асодзу «Производство человека по Коносуке Мацушита», который длительное время занимался обучением и воспитанием персонала в "Мацушита Дэнки". По мнению автора суть «производства в производстве» в следующем:

- Нужно остро чувствовать необходимость в производстве человека. Воспитание работников для себя - вот важнейшая задача менеджмента.

- Уважение к человеку. Неуважение негативно сказывается на воспитании персонала и недопустимо с точки зрения долгосрочных интересов компании.

- Ясно сформулировать деловую идеологию и миссию предприятий. Персонал компании, осознающий, что работает не только за хлеб насущный, но и ради достижения высокой цели, получает большой стимул к более напряженному труду.

- Необходимость стремления к прибыли должна быть осознана служащими компании. Любое подразделение должно приносить прибыль. В стремлении к прибыли поощряется рационализация, контроль, издержки, разработка новых товаров. Производство человека заключается в том, чтобы производить экономически мыслящих людей, обладающих реальной способностью приносить прибыль, используя знания на практике.

- Постоянно стремиться к улучшению условий труда и повышению благосостояния служащих компании. Никакие благородные предпринимательские идеи не увлекут людей, если должным образом не будут удовлетворены их материальные потребности.

- Наполнить сердца людей надеждой. Человек растет тогда, когда у него есть мечта. Менеджер, не вселяющий в души людей мечту - несостоятелен. Наиболее результативен тот труд, который приносит радость.

- Правильный взгляд на человека - в основе всего. Производство человека - это другой уровень по сравнению с производством вещей и добыванием денег. Только через активизацию общего интеллекта возможны и развитие, и процветание, и прогресс, и жизнь человека в мире и процветании.

**Ключевые слава:** Система менеджмента, этнокультурные традиции, исторические особенности, культурно-этническая психология, человеческий фактор, персонал, «производство человека», «производства в производстве», уважение к человеку, деловая идеология, миссия предприятия, необходимость стремления к прибыли, улучшение условий труда, повышение благосостояния служащих компании, активизация общего интеллекта.

**Рецензент:** Профессор Багатурия Геогрий Шотаевич, Грузинский технический университет.

# ი ს ტ ო რ ი ა

**თამაზ ნუცუბიძე**

## საქართველო - ძველ ტოტალიტარულ და ახალ დემოკრატიულ სამყაროს გზაჯვარედინზე

დღეს საქართველო თავისი ბედკრული ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში იმყოფება. ერთი მხრივ განხორციელდა ქართველი ერის სანუკვარი ოცნება - აღსდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, ვერ მოხერხდა ამ ფაქტის რეალური განხორციელება. რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ დროებით დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. მდგმოარეობას კიდევ უფრო ამძიმებს იძულებით გადაადგილებულთა სიმრავლე.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველო მდებარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიულად - დედამიწის ოთხივე მხრის გზაჯვარედინზე - არამედ, გზაჯვარედინზე ქრონოლოგიური თვალთახედვითაც - ძველ ტოტალიტარულ და ახალ დემოკრატიულ სამყაროს შორის.

ორივე ეს გზაჯვარედინი ამავე დროს ერთმანეთთან არის გადახლართული: ამიერკავკასიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, ჯერ ისევ არიან ტოტალიტარული ქვეყნები, ხოლო დასავლეთით დემოკრატიულ გარდაქმნების გზაზე მდგომნი. სწორედ საქართველოს ოდინდელი მდგმოარეობა იყო ძირითადი მიზეზი მასზე ბარბაროსული საზოგადოებიდან მომდინარე მუდმივი თავდასხმები.

პრორუსული გადახრა ფაქტიურად ნიშნავს საქართველოს ძველ ტოტალიტარულ სამყაროში უკან გამობრუნებას სახელმწიფოებრიობის შენების გზიდან აცდენას და რუსეთის მადაა აღძრული „ხახის“ მიერ საბოლოო შთანთქმას, რაც რუსეთის პოლიტიკური წრეების საუკუნოვანი ზმანებაა.

რაც შეეხება გლობალიზაციის პროცესს, მასთან დაპირისპირება ქარის წისქვილთან ბრძოლას თუ შეედრება, რომელთა სასიკეთო დანიშნულებისამებრ გამოყენება აჯობებდა.

როგორც პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: „გლობალიზაციური“ სახის პროცესმა - ელინიზმმა განაპირობა ამჟამად არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დაჩქარება, ხოლო

უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენის - ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლამ, ჩამოაყალიბა ქართული კულტურა, მენტალიტეტი და მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის ისტორიული ბედი და მომავალი. ამავე დროს მრავალი ქვეყანა ვინც ვერ შესძლო შეგუება დროის მოთხოვნებთან „აღიგავა პირისაგან მიწისა“.

რუსეთს რა თქმა უნდა, აწყობს ისეთივე არადემოკრატიული, კორუმპირებული და ოლიგარქული ნომენკლატურის მქონე გარემოს აღირძინება, როგორიც თვით რუსეთშია; ამისათვის რუსეთს წინაპირობად საქართველოს გარე სამყაროდან იზოლირება ესაჭიროება, ამიტომ მათი სპეცსამსახურები ცდილობენ გლობალიზაციის „მავნე“ პროცესებისაგან ჩვენს ერთადერთ გადამრჩენლად წარმოგვიდგნენ. თუ ჩვენ ყველა ფხიზლად არ ვიქნებით, ისეთივე მდგმოარეობაში აღმოვჩნდებით როგორც XX საუკუნის პირველ ნახევარში დაგვემართა, როდესაც ერი და ქვეყანა ხელიდან გვეცლებოდა ქართველი სოციალისტები კი მსოფლიო რევოლუციის ბედზე ზრუნავდნენ.

მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოსთან ამჟამინდელი დაპირისპირება რუსეთისათვის წამგებიანია. ეს არ არის მხოლოდ დიდი და პატარა ქვეყნის კონფლიქტი. იგი სულ უფრო იღებს იმპერიული აზროვნების განხორციელების ხასიათს დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგომი ქვეყნის წინააღმდეგ. ასეთი პოზიცია საქართველოს განუზომლად დიდ მორალურ უპირატესობას ანიჭებს და მსოლიო თანამეგობრობის მხარდაჭერას ჰპოვებს.

რუსეთს არა იმდენად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შთანთქმა და სრული გაკონტროლება ესაჭიროება, არამედ საქართველოს მსოფლიო თვალში როგორც არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა, თუ არა დასავლეთის, პირველ რიგში შეერთებული შტატების დახმარება, თბილისი უკვე დიდი ხანია იქნებოდა რუსეთის გენერალიტეტის მსხვერპლი.

პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: გაკვირვების გარდა, არაფერს იწვევს ზოგიერთ ჩვენს ვითომ „პარტიულ“ წრეებში გავრცელებული გამოთქმა, რომ „ოსმანა და ალია, ორივე თათარია“ რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნულობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად, ორივემ რუსეთმაც და ამერიკამაც, თავი უნდა დაგვანებონ. თითქოს ამერიკაც რუსეთის მსგავსად შემოჭრილია ჩვენს

ქვეყანაში, მოწყობილი აქვს სამხედრო ბაზები, სადაც განლაგებული ჰყავს ფაქტობრივად საოკუპაციო ჯარი, ხოლო „ჩვენგანვე მიტაცებული რეგიონები“ დაცული აქვს ვითომდა თავისი „მშვილობისმყოფელებით“ და ამასთანავე ტოტალურ ძირგამომთხრელ საქმიანობით დღენიადაგ ჩვენს დაქცევას და ამოძირკვას ცდილობს თითქოს ჩვენ მათგან ორივესაგან (ოსმანასა და ალიასაგან) ჩვენი სამშობლო განთავისუფლებას უნდა ვესწრაფვოდეთ. რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს გამოთქმა თითქმის ყოველთვის მხოლოდ ამერიკელების მიმართ არის ნათქვამი, როგორც ჩანს „მთქმელები“ იმედოვნებენ რომ „ოსმანა“ (ანუ პირობითი ამერიკა) წავა „თავის სახლში“ ანუ საბოლოოდ ზურგს შეგვაქცევს და ალიას (ანუ პირობითად რუსეთი) დარჩება „ბურთი და მოედანი“.

ეს გაკვეთილი „ნეიტრალიტეტობანას“ თამაში უკვე ჩაგვიტარეს 1920 წელს, როდესაც ე.წ. ინგლისელი იმპერიალისტები განვდევნეთ და ამის შემდეგ მხოლოდ ნახევარი წელი გავძელით როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ამის შემდეგ საქართველოში სისხლის გუბეები დადგა.

როგორც ჩანს, რუსეთის მმართველ წრეებს ჯერ ისევ ეიმედებათ საქართველოში მომხრეების გამოჩენა, მაგრამ „ორჯონიკიძის სინდრომი“ ქვეყანაში არსებითად დაძლეულია. დღეს პუტინის რუსეთის რეიტინგი იმდენად დაბალია ჩვენში, რომ ძნელად თუ დავიჯერებდით რომელიმე მოღალატე გაბედავს მისი მიმდევრისა და ამდენად საკუთარი ქვეყნის აშკარა მოღალატის იარლიყით იაროს, თუმც-თითო-ოროლი ხელაღებული მაინც მოიძებნა, რომელიც მუდმივად ეწევა თვითლუსტრაციას რაც იმავე დროს, სამწუხაროდ ლუსტრაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

აქვე გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის წარმოთქმულ სიტყვას დამფუძნებელ კრებაზე, გამოქვეყნებულს 1921 წლის 17 თებერვალს ჟურნალ „სახალხო საქმეში“. 1921 წლის 25 თებერვალს კი, რაც მოხდა მკითხველმა თავად იცის.

„... დღეს უნდა ჩაიგოს ქარქაშში პარტიული ხმალი, ვინაიდან ამას გვაიძულებს მდგომარეობა.. ისე, როგორც წარსულში, როდესაც საქართველოს საფრთხე დაუდგებოდა - საქართველოში არ არსებობს პარტიული სხვადასხვაობა, არ არსებობს პარტიული ბრძოლა, არც ერთი მეორეზე ხმლით

მისვა, საქართველოში არსებობს ერთი - საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა პარტია... როდესაც დავინახავთ ამ მთლიანობის სურვილს, მაშინ მთელ ჩვენ ენერგიას, უნარს, ფიზიკურს და გონებრივს, მივიტანთ სამშობლოს სამსხვერპლოზე. და თუ საქართველოს ხსნა უწერია - და ამაში დარწმუნებული ვართ, - ეს არის მხოლოდ ამ ერთსულოვნების გზით და ასეც მოხდება... რევოლუცია დღემდე ყველას ესმოდა ისე, რომ ეს იყო შინაურ ძალთა ჭიდილი, აჯანყება, აფეთქება, მაგრამ რევოლუცია, რომელიც გარეშე მოსულს შემოაქვს, შემოტანილი რევოლუცია - არასოდეს რევოლუცია არ არის - ის არის ყველგან და ყოველთვის დაპყრობა... პირწავარდნილი დაპყრობა სოციალისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალიზმისა... გარედან შემოსული ძალა ჩვენ ჩაგვაგდებინებს ქარქაშში პარტიულ ხმალს და ამოგვაღებინებს ქარქაშიდან თავდაცვის ხმალს... ჩვენ არ მოვწონვართ ორჯონიკიძეს და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვრჩებით ძვირფას თვლად მთელ ამიერკავკასიაში...

ჩვენს ისტორიულ ბედს ვერავინ შეცვლის, ისე როგორც მზის ამოსავლას აღმოსავლეთით, ვერავინ გააუქმებს იმ გარემოებას, რომ იალბუზის ყინვით ნაკვეთი თავი მომავალშიც მზის სხივებს გაღიმებული შეეგებება და მისი ასხივოსნებული თავი, ჩვენი დიდების გვირგვინად გაშლილი არა ერთსა და ორს მოშურნე მტერს აუჭრელებს თვალს სიხარბით დამთვრალს, მის ფერდობზე და კალთებზე კი ქართველი ერი მომავალშიც განაგრძობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შემოქმედებას.“

**ლიტერატურა:**
**References**


1. S. nucubiZe - gardamavali sazogadoeba, Tb. 2002w.,
2. g. qavTaraZe - saqarTvelos saxelmwifoebriobis ganviTarebis sakiTxebi, Tb. 2006 w.
3. k. kutubiZe - gardamavali sazogadoeba, Tb.2002 w.
4. a. dugini - globalisturi sakiTxebi, Tb. 2999 w.,
5. i. lomTaZe - erovnuli problema qarTul sazogadoebriv politikur azrovnebaSi. Tb., 2006 w.,

**Tamaz Nutcubidze**

**GEORGIA ON THE CROSSROADS OF THE OLD TOTALITARIAN AND THE NEW DEMOCRATIC WORLDS**

**Summary**

Georgia is in the hardest period of its ill-fated history. On one hand, the cherished dream of the Georgian nation has been achieved – the independence of the country has been regained, on the other, this fact could not have managed to be carried out really. The territorial integrity is temporarily destroyed by the Russian occupational troops. The situation is more aggravated by a great number of the internally displaced people.

At present pro-Russian direction actually means to return to the old totalitarian world, to turn from the way of building of statehood and to be devoured finally by the appetite-whetted “jaws” of Russia which is a centennial dream of Russian political circles.

The revival of the same environment having the non-democratic, corrupted and oligarchic nomenclature as it is in Russia, of course, is the right thing for Russia; for this Russia needs the isolation of Georgia as a prerequisite, that is why its intelligence services are trying to pretend as the only saviour from “harmful” processes of globalization. If we are not sensible, we will appear in the same state as we were in the first half of the 20$^{th}$ century, when we were at the edge of losing the nation and the country, while the Georgian socialists were taking care of the fate of the world revolution.

Russia needs to reveal Georgia as a failed state in the eye of the world more than to swallow up Abkhazia and so-called South Ossetia and to control them fully.

If not the assistance of the West and especially the United States, Tbilisi would have been the victim of the Russian generals long time ago.

We cite the speech of Shalva Nutsubidze made at the incorporators meeting published on 17 February 1921 in the journal “Sakhalkho Sakme”, and what happened on 25 February 1921 the reader knows better.

“…Until nowadays everybody understood a revolution as it was a struggle, rebellion, burst of internal forces. But a revolution brought by a stranger is never a revolution – it is everywhere and always a conquest … the very conquest of the imperialism wrapped in the coat of socialism… An external force will help us to sheathe the party sword

and to unsheathe the defensive sword… Orjonikidze does not like us and the reason of which is that we remain as a precious stone in the Transcaucasia…
Nobody can change our historical fate as sunrise from the east cannot be changed, nobody can alter the circumstance that the icy top of the Ialbuzi will meet the sun rays with a smile even in future and its illuminated head as the crown of our fame will blind not only one or two jealous enemies, drunk with greed, and on its slopes the Georgian nation will continue economic and political creativity even in future".

**Keywords**: The crossroads of the New World, the totalitarian world, ill-fated history, pro-Russian orientation, a non-democratic state, globalization, transitive society, the Orjonikidze's syndrome, national independence.

**Reviewer:** Professor Edisher Gvenetadze, Georgian Technical University

**Нуцубидзе Тамаз Шалвович**

**Грузия - на перекрёстке старого тоталитарного и нового демократического мира**

**Резюме**

Грузия находится в тяжелейшем периоде своей горемычной истории. С одной стороны осуществилась заветная мечта грузинского народа – восстановлена независимость страны, а с другой стороны не удалось реальное осуществление этого факта. Временной российской оккупационной армией нарушена территориальная целостность.

Сегодня про-русское отклонение фактически обозначает возврат Грузии в старый тоталитарный мир, сход с пути строительства государственности и окончательное поглощение Россией, что и является вековым сновидением политических кругов России.

Россию, конечно же, устраивает возрождение среды имеющая коррумпированную и олигархическую номенклатуру, какая и есть в России. Для этого России нужно изолирование Грузии от внешнего мира, поэтому их спецслужбы стараются представиться нашими единственными спасителями от «вредных» процессов глобализации. Если мы все не будем чуткими, окажемся в таком же положении, в каком оказались в первой половине XX века,

когда мы теряли национальность и строну, а грузинские социалисты заботились о судьбе мировой революции.

России не так нужно поглощение Абхазии и так называемой Южной Осетии, как показать всему миру Грузию как несостоявшееся государство и как помечать государственному формированию.

Если не помощь Запада, в первую очередь Америки, Тбилиси уже давно был - бы жертвой российского генералитета.

Здесь же предлагаю произносившееся слово Нуцубидзе Шалвы на учредительском собрании, опубликованное в журнале «Народное дело» 17 февраля 1921 году, а в 25 февраля 1921 году читатель сам знает что произошло.

Революцию до сегодняшнего дня все понимали так, что это была борьбой, взрывом, бунтом, внутренних сил, но революция, которую вносит посторонний – внесенная революция – некогда не является революцией – она является везде и всегда завоеванием... Вылитое завоевание империализма, обмотанной в социалистической шкуре... Посторонняя сила заставит нас опустить партийный меч в ножны и достать из ножен меч для самозащиты... Мы не нравимся Орджоникидзе и это потому, что мы остаемся дорогим камнем Закавказья.

Нашу историческую судьбу никто не изменит, так как восход с востока, никто не аннулирует то обстоятельство, когда ледниковый Эльбрус, снова встретит лучи солнца с улыбкой и его светившаяся голова, корона нашего величия будет резать глаз не одному завистливому врагу, пьяному от жадности, а на склонах Эльбруса, грузинский народ и в будущем будет продолжать свое экономическое и политическое творчество.

**Ключевые слова:** Перекрёсток нового мира, тоталитарный мир, горемычная история, прорусская ориентация, недемократическое государство, глобализация, переходящее общество, синдром Орджоникидзе, национальная свобода.

**Рецензент:** Профессор Гвенетадзе Эдишер Александрович , Грузинский Технический Университет.

# პრაქტიკა

სულხან წულუკიძე

## N.L.P (ნეირო - ლინგვისტური - პროგრამირება) მეცნიერება კომუნიკაციის შესახებ

***არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც შეიძლება ურთიერთობა გსიამოვნებდეს,  
არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც არ შეიძლება ურთიერთობა გსიამოვნებდეს,  
არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც არ შეიძლება ურთიერთობა არ გსიამოვნებდეს...***

N.L.P არის მეცნიერება კომუნიკაციის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ადამიანს გახდეს სასიამოვნო მოსაუბრე, შეიძინოს მრავალი საკომუნიკაციო ხერხი და მათი საშუალებით მოახდინოს სასურველი მიზნების მიღწევა. აგრეთვე გათავისუფლდეს უამრავი იმ ფობიისგან რომელიც მას ხელს უშლის ცხოვრების ყოველ ფეხის ნაბიჯზე, და წარმატებისკენ გზას ულობავენ. N.L.P არის მეცნიერება რომელიც შეისწავლის ადამიანის ორიგინალურ არსებას და მისი ქმედებების, აზრების და ა.შ ცვალებადობასა თუ სიმყარეს. N.L.P არის ღრმა მეცნიერება რომელიც უშუალოდ ადამიანის ქვეცნობიერს შეისწავლის და მისგან გამომდინარე გვაძლევს უამრავ ხერხსა და საშუალებას რომელთა დახმარებითაც ჩვენ ვხდებით უკეთესი კომუნიკატორი, ვთავისუფლდებით ფობიებისგან თუ სხვადასხვა ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური პრობლემებისგან რასაც ყოველდღიური ცხოვრება გვიმზადებს.

### N.L.P - ის შექმნის ისტორია

N.L.P - ის შექმნა უკავშირდება სამი პროფესორის სახელსა და გვარს. 1) რიჩარდ ბენდლერი. 2) ჯონ გრინდერი. 3) მილტონ ერიქსონი.

XX-საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი, ნ.ლ.პ-ის დამაარსებელი რიჩარდ ბენდლერი იყო მათემატიკური და

შემდეგში ინფორმატიკული ფაკულტეტის სტუდენტი. იგი იყო აღფრთოვანებული ერთ-ერთ მისი ოჯახის მეგობართან საუბრებით, რომლისთვისაც ცნობილი იყო მრავალი თანამედროვე, ნოვატორული თერაპიული სკოლების ნაშრომები და იგი გადაწყვეტს შეისწავლოს ფსიქოლოგია. უკვე წამყვანი თერაპევტების მუშაობის მეთოდების გაცნობის შემდეგ ბენდლერმა დაასკვნა რომ თუ სრული სიზუსტით მოახერხებდა მათი სამუშაო ქმედებებისა და მეთოდების აღდგენას და დამუშავებას, მაშინ იგი მიაღწევდა იგივე შედეგს ხალხთან, უკვე საკუთარი მუშაობის მეთოდების შედეგად.

შემდგომში რიჩარდ ბენდლერი გაიცნობს ჯონ გრინდერს – ლინგვისტიკის კათედრის პროფესორს. მისი ძირითადი შესწავლის საგანი იყო ენათმეცნიერება, მისი გატაცება ფსიქოლოგიით კი პასუხობდა მისივე აზრით უკვე შემდგომში ლინგვისტიკის მთავარ მიზანს: **აზრებისა და ქმედებების ფარული გრამატიკის გახსნას**.

საბოლოო ჯამში მათ მიაღწიეს საერთო აზრს რომელიც მდგომარეობდა "**ცვალებადობის ენასა და ცვალებადობის არსში**". ამ ორი მეცნიერის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და ისინი უკვე უკავშირდებიან ე.წ "წონიან" ფსიქოლოგებს და თერაპევტებს. მათ შორის იყო მილტონ ერიქსონიც. მილტონ ერიქსონი იყო კლინიკური ჰიპნოზის დამაარსებელი. მან დაამთავრა სამედიცინო და ფსიქოლოგიური ფაკულტეტები. მედიცინის შესწავლის დროს დაინტერესდა ჰიპნოზით. მისი შემჩნევით: "როდესაც პაციენტის ცნობიერებიდან მომდინარეობენ აზრები და გრძნობები ის იწყებს ტრანსის მაგვარ მდგომარეობაში შესვლას, და ამ დროს ჩვენ შეგვიძლია პაციენტი მოვაქციოთ უკვე ჰიპნოზის ქვეშ".

შემდგომში ერიქსონი გახდა ცნობილი როგორც, ადამიანი რომელსაც შეეძლო პაციენტი შეეყვანა ღრმა ტრანსში, სხვადასხვა ისტორიების მოყოლით. და აი ბენდლერი და გრინდერი მივიდნენ ერიქსონთან იმისათვის რომ გაეზიარებინათ დიდი თერაპევტისათვის მათი უკუნასკნელი მიღწევები. საბოლოოდ კი მოხდა გენიალური ჰიპნოზიორის ხელოვნების, ოსტატი ლინგვისტისა და მათემატიკა – ინფორმატიკის პროფესორთა შესანიშნავი ტანდემი, რომლის შედეგადაც შეიქმნა დღეს დღეისობით ერთერთი ყველაზე ეფექტური და ახალი ნოვატორული

თერაპიული მეთოდების ახალ მეცნიერებაში თავმოყრა. ინფორმაცია ახალი პრაქტიკული ფსიქოლოგიის მიდგომების შესახებ გავრცელდა მთელს ამერიკაში. იმ დროს ცნობილმა თერაპევტმა სტივ ანდრეასმა გვერდზე გადადო შრომები რომლებიც ჰქონდა დაწყებული და შეუდგა ამ ახალი ტექნიკის შესწავლას. იგი მალევე მიხვდა რომ N.L.P არის გონებრივი რევოლუცია, ამიტომ მეუღლესთან ერთად გადაწყვიტა შეეგროვებინა ზემოთ ნახსენები ახალი მეცნიერული ნაშრომების შინაარსი, იმისათვის რომ გადაეტანა ისინი მის ახალ წიგნში, რომელსაც შემდეგში ეწოდა "ბაყაყიდან უფლისწულამდე", და გახდა N.L.P – ის ბესცელერი.

N.L.P ანუ ნეირო ლინგვისტური პროგრამირება. ეს ნიშნავს: ნეირო (ნერვიული სისტემა და ადამიანის ქვეცნობიერი), ლინგვისტური (აზროვნებისა და ქმედების ფარული გრამატიკის გახსნა), პროგრამირება (პროგრამირება). ანუ ხმებით, ჟესტიკულაციებით და სხვა ფსიქოლოგიური ხერხებით ადამიანის ქვეცნობიერში და ნერვიულ სისტემაში დაფარულ აზრებზე ზემოქმედება და მისი წარმართვა სასურველი მიმართულებით. მაგრამ პირველ რიგში ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ N.L.P – ის შესახებ არასაკმარისი ცოდნა შეიძლება აღმოჩნდეს ან ძალზე სახიფათო, ან საერთოდ გამოუსადეგარი.

## N.L.P - ის ძირითადი შესწავლის საგანი

პირველ რიგში ჩვენ უნდა გავახსოვდეს რომ ადამიანი არ არის ქანდაკება, ის არის მოძრაობათა მთელი პალიტრა, რაც ძირითადად მიმიკაში აისახება. მაგ: მთლიანად აწეული თავი მეტყველებს თვითდარწმუნებულ და სრულიად გახსნილ ადამიანზე.

მიმიკის ენა არის ძალიან მრავალფეროვანი, ასე მაგალითად: მთლიანად გახელილი თვალები ახასიათებენ მაღალი აღქმულობის მქონე ენერგიულ და ცოცხალ ადამიანს. ოდნავ დახუჭული თვალები კი მოწმობენ ან ინტერესზე, ან თუნდაც დაღლილობაზე. თუ ამ ოდნავ დახუჭულ თვალებს დავუმატებთ თავის გვერდზე გადახრას მაშინ მივიღებთ ეშმაკ და ვერაგ გამოხედვას. როგორც ვხედავთ ერთი მოძრაობა, ასე ვთქვათ ერთი სიტყვის

შეცვლა მთლიანად ცვლის წინადადებას (ადამიანის შინაგან მდგომარეობას).

თუ ჩვენ ვზივართ ლექციაზე და ხელი მიტანილი გვაქვს ნიკაპზე, ეს ნიშნავს იმას რომ ჩვენ მთლიანად ჩართულები ვართ ლექციაში და გვაინტერესებს ლექტორის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა, მაგრამ თუ ხელი ნიკაპთან კი არ გვაქვს მიტანილი, არამედ პირიქით, ნიკაპი გვაქვს დადებული ხელზე, მაშინ ეს მეტყველებს აბსოლუტურ უინტერესობასა და ლექციაზე ჩათვლემის დიდ სურვილზე. თუ პირის კუთხეები დაბლა არის დაწეული ნიშნავს ნეგატიურ დამოკიდებულებას, მაღლა აწეული კუთხეები კი პირიქით პოზიტიურ და მხიარულ დამოკიდებულებას. მკერდზე გადაჯვარედინებული ხელები დაცვით რეაქციას, ზურგს უკან წაღებული ხელები კი კონკრეტულ სიტუაციაში გართულებულ მდგომარეობას სიშნავს. მაღლა გახსნილი ხელის გულები არის დარწმუნების და გულახდილობის მანიშნებელი. ჯიბეში ჩალაგებული ერთი ან ორივე ხელი არის არადამარწმუნებლობა ან არადამარწმუნებლობის დამალვა. როდესაც ერთ ხელს მეორეზე ვიწმინდავთ, ან ერთი ხელის თითებს ვიწმინდავთ ერთმანეთზე, ე.ი ველოდებით რაიმე სასიამოვნო ინფორმაციას. საჩვენებელი თითი გაშვერილია და ეხება ტუჩს, ან ტუჩის კუთხეს, ნიშანი არათვითდამაჯერებლობისა და მიზეზის ძიების. როდესაც ხელები დალაგებული გვაქვს თეძოებზე, მაშინ ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ ჩვენი მტკიცე ხასიათი და უპირატესობა, გამოწვევის მიღება, ხშირად კი სისუსტის დამალვა. მხრების აჩეჩვა ძირითადად ნიშნავს გაკვირვებას. საჩვენებელი თითით თუ ოდნავ ვეხებით ცხვირის წვერს ე.ი ეჭვი გვეპარება, ან ვიტყუებით. წინ გამოწეული მკერდი ახასიათებს აქტიურ, ძლიერ, მოქმედებისათვის მზადმყოფ ადამიანებს. ადამიანები რომლებიც დადიან ჩქარი ნაბიჯებით და თან ხელებს რითმულად იქნევენ, გააჩნიათ გამოკვეთილი მიზანი და მზად არიან ეს მიზანი შეასრულონ. ასე რომ N.L.P არის მეცნიერება რომელის საფუძვლიანი ცოდნა, საშუალებას მოგვცემს ვიყოთ ძალზედ წარმატებულები მთელი ცხოვრების მანძილზე. რადგან შეგვეძლება ერთი შეხედვით მივხვდეთ, გავაკეთოთ ანალიზი და განვსაზღვროთ მომავალი შედეგები ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების აზრებსა და ქმედებებზე.

## N.L.P - ის მუშაობის მოკლე სქემა

მსოფლიოს მაშტაბით მომუშავე N.L.P - ის სპეციალისტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს იმ მოგებებზე თუ წარმატებებზე საუბარს რომელიც მოაქვს N.L.P - ის საფუძვლიან ცოდნას, იმავ დროულად მათ საერთოდ ავიწყდებათ იმ ხერხებზე თუ მოდელებზე მინიშნება რომლებითაც N.L.P აღწევს იმ ამოცანებს რომლებიც დგანან ადამიანის წინაშე. დაინტერესებული მკითხველი ყოველგვარი პრობლემის გარეშე იპოვნის ინტერნეტის ქსელში N.L.P - ის კვლევებისა თუ ახალ ახალი წარმატებული ნაბიჯების უამრავ ნიმუშს, რომლებზეც N.L.P - ის საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტები მუშაობენ, მაგრამ საფუძვლიანი განხილვა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს თავის თავში ნეირო - ლინგვისტური - პროგრამირება იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ სადმე. ზუსტად ამის გამო ქვეყნდება ხშირად N.L.P - ის მისამართით კრიტიკული განცხადებები თუ წერილები. თვით გამოცდილი N.L.P - ის სპეციალისტებიც კი პასიურობენ ამ მეცნიერების სტრუქტურის ახსნასთან დაკავშირებით რადგანაც ეს ამოცანა ითხოვს მკაფიო ცოდნას იმის შესახებ თუ რა არის ძიების საგანი და რა არის მისი გამომწვევი მიზეზი ან მიზეზები. ნეირო - ლინგვისტური - პროგრამირების საფუძველი ძირითადად არის აგებული **ადამიანების ორიგინალური ქმედებების კონცეფციაზე**. ადამიანების ქმედებების სიღრმისეულმა გაანალიზებამ ჩამოაყალიბა N.L.P აქცია ისეთად როგორიც ის არის.

**სქემა:**

**I დონე: დარწმუნება.**

პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენი ქცევები წარმოადგენენ ქვეცნობიერის ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელი მითითებების გარეგან გამოხატულებას. ე.ი ადამიანის ფსიქიკას გააჩნია საკმაოდ ძლიერი იარაღი რომელიც მართავს და ზღუდავს ჩვენს ქცევებს. ნეირო - ლინგვისტური - პროგრამირების ფარგლებში ქვეცნობიერის ამ ფუნქციას დაერქვა **დარწმუნება.** ითვლება რომ **დარწმუნება** ეს არის სხვადასხვა სიტუაციებში ჩვენი აზროვნების ნაყოფი, ან უფრო ხშირად სოციუმის მხრიდან

დარწმუნების შედეგად მიღებული ერთგვარი დასკვნა, რომელსაც ყოველთვის სხვადასხვა სახე გააჩნია. ზოგიერთი ზეგავლენას ახდენს პრაქტიკულად ჩვენი ცხოვრების ყველა სფეოზე, მათ უწოდებენ **მეტა - დარწმუნებებს**, სხვა სახის დარწმუნებები კი თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე გვხვდებიან იშვიათ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სიტუაციებში.პრაქტიკულად ყოველი მცირე **დარწმუნება** წერმოადგენს **მეტა - დარწმუნების** სპეციფიკურ ნაწილს, ეს ყოველთვის თვალში საცემი არ არის მაგრამ პრაქტიკულად ასეა. მაშასადამე არსებობს იერარქია და შეთანხმებულობა **დარწმუნებებს** შორის. ერთნი ექვემდებარებიან, მეორენი კი მართავენ.

მაგრამ პრაქტიკაში ეს ყოველთვის არ აისახება.
რატომ? შეეცადეთ თავად გასცეთ ამას პასუხი : რატომ ხდება რომ ხშირად ჩვენი დარწმუნებები (დასკვნები, თუ აზროვნების სხვა ნაყოფები) ერთმანეთთან იწყებენ გაუთავებელ ომს? უფრო ზუსტად კი **საიდან ჩნდება ჩვენში შინაგანი წინააღმდეგობები**?

მაგ: თქვენი ახლობელი გიყვებათ რომ არ იცის რა ქნას, ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს, ერთის მხრივ სურს რაღაცის გაკეთება მაგრამ მეორე მხრივ რაღაც აბრკოლებს...

ეს მხოლოდ მაშინ ხდება როდესაც სოციუმი ადამიანის **დარწმუნეისათვის** იყენებს **შთაგონებას**, უფრო ზუსტად რომ ავხსნათ სოციუმი **შთააგონებს** ადამიანს ურთიერთ გამომრიცხავ **დარწმუნებებს** რომლებიც ხშირ შემთხვევაში ხელის შემშლელი სერიოზული პრობლემები ხდებიან. **შთაგონება** ხასიათდება იმით რომ **დარწმუნება** ხდება ცნობიერების კონტროლს მიღმა, ე.ი მისი გაანალიზება არ ხდება უკვე დაგროვებული შინაგანი გამოცდილების მიხედვით (ეს ჩვენი ფსიქიკის ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია). ზოგადად ნებისმიერი მითითებების (ქმედებათა სახეების) წარმოშობა ხდება უკვე დაგროვილი შინაგანი გამოცდილებიდან გამომდინარე. ადამიანის **მეტა - დარწმუნებიდან** გამომდინარე იწყება ახალი მითითებების ადაპტაცია, ამავდროულად ეს პროცესი შეიძლება ხდებოდეს როგორც წარსულში გააზრებული **დარწმუნების** დეფორმაციის, ასევე ახლად გააზრებული მითითებების ცვლილებების მხრივ. ამ მოვლენის უფრო გასაგებად განვიხილოთ მაგალითი : იმის მიხედვით თუ რა

სახის არის **მეტა - დარწმუნება** ადამიანს შეუძლია გარკვეულ სიტუაციაში "კონკურენტი" ან დაჩაგროს და სრულიად გაანადგუროს, ან პირიქით თავი დააჩაგვრინოს და დამორჩილდეს. პირველ შემთხვევაში მოქმედებს **"საკუთარი ტყავის გადარჩენის ინტერესი"**, მეორეში კი **"კოლექტიური ინტერესი"**. პირველ შემთხვევაში მითითება : **"არ დაჩაგრო"** გააჩნია ადამიანს, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში ეს მითითება იწყებს მოდიფიცირებას იქამდე სანამ არ მიიღებს რადიკალურად განსხვავებულ შინაარსს... ეს იმიტომ ხდება რომ "დარწმუნების პირამიდის თავში" იმყოფება მითითება **"საკუთარი ტყავის გადარჩენის"** შესახებ. თუ ამ პირამიდის თავში აღმოჩნდებოდა **"საზოგადოებაზე ზრუნვის"** მითითება, **"საკუთარი ტყავის გადარჩენის"** ინტერესი დაიხევდა უკან და შეიცვლებოდა **"კოლექტიური ინტერესით"**.

**შთაგონებას** საინექციო ნემსისავით შეუძლია შეუშვას ადამიანის ცნბიერებაში ახალი მითითებები რომლებიც ადრე თუ გვიან ჩაერთვებიან საქმეში, დაიწყებენ ომს ცნობიერებაში უკვე არსებულ მითითებებთან და შთაგონებებთან. ამ გვარად N.L.P - ის თერაპიის პირველი მიმართულება არის: **დარწმუნებათა ურთიერთ შეთანხმება**, რაც მიიღწევა რამდენიმე გზით:

1. ყველაზე ადვილი მეთოდი, ეს არის უბრალოდ **დარწმუნებათა** გავლენის სფეროების განსაზღვრა და დეფინიცია. ზუსტად გაანალიზება იმისა თუ რომელი **დარწმუნება** რაზეა პასუხისმგებელი, ანუ ორმა მმართველმა ერთი ქვეშევრდომი ერთდროულად რომ არ მართონ...
2. დროებითი პრიორიტეტების განსაზღვრა, ანუ საკუთარ თავს უნდა მისცეს ადამიანმა მითითება თუ რა თანმიმდევრობით და რა სიტუაციაში უნდა ჩაერთვნენ საქმეში **დარწმუნებები**... ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება კონკრეტულ სიტუაციებში, მაგრამ არა ყოველთვის. არსით იგი წააგავს რთულ გზა-ჯვარედინზე მდგარ მარეგულირებელს რომელიც ჩნდება მაშინ როდესაც უკვე შექმნილია საცობი...
3. **დარწმუნებებთან** მუშაობის ყველაზე რული მაგრამ ეფექტური მეთოდი არის პერეფორმულირება. ამ შემთხვევაში **დარწმუნებები** სახეცვლილებებს განიცდიან მანამ სანამ არ გახდებიან თქვენი გამოცდილების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილები. ანუ ჩვენი ცნობიერების კიდევ

ერთი სასარგებლო და არა ხელის შემშლელი ელემენტი. ამ შემთხვევაში სახეცვლილი **დარწმუნება** მაქსიმალურად პროდუქტიული ხდება ჩვენთვის ჩვენივე გამოცდილების დახმარებით და მისი თვისებების მაქსიმალური გამოყენებითა და ერთობლივი მუშაობით...

4. და კიდევ ერთი მეთოდი, ეს არის **უტილიზაცია**, ანუ მარტივად **განადგურება**. მისი მიღწევა ხდება ადვილად. ბორბალში გაჩხერილ ჯოხს ვიღებთ, ვაგდებთ და ვაგრძელებთ გზას... აქ მთავარ როლს ასრულებს იმის გაანალიზება რომ მოცემული **დარწმუნება** არის წინ-სვლის მხოლოდ და მხოლოდ ხელის შემშლელი.

**დარწმუნება** არის ჩვენი ქმედებების შინაგანი შინაარსი, რომელიც გარეგნულად აისახება ჩვენს ქცევებში რომლებსაც ჩვადივართ გააზრებული მითითებებიდან გამომდინარე. მაგ : ახალგაზრდა ყმაწვილს აქვს შინაგანი მითითება : "იმისათვის რომ ფულს კარგად შოულობდე, საჭიროა გქონდეს უმაღლესი განათლება".

რას აკეთებს ის? მას შეუძლია ჩააბაროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, მისი დამთავრების შემდეგ გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში და ა.შ
მას აგრეთვე შეუძლია სწავლისა და ზედმეტი "წვალების" გარეშე გააყალბოს დიპლომი და მოეწყოს სამუშაოდ (თუ რათქმაუნდა ამის საშუალება მიეცება დღეს ჩვენ ქვეყანაში)

ერთი და იგივე მითითებამ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ორი რადიკალურად განსხვავებული ქმედება. როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა ამ ადამიანზე იმისათვის რომ არ შეექმნას მომავალში პრობლემები? ჩვენ უნდა მოვახდინოთ მისი **დარწმუნების** მოდიფიცირება ისე რომ მას გააჩნდეს რეალიზაციის ერთი გზა. მაგ : დავუსვათ მას ასეთი შეკითხვა : "შოულობს თუ არა ყველა უმაღლესი განათლების მქონსე ადამიანი ბევრ ფულს"? ის ალბად დაფიქრდება და გიპასუხებთ რომ ფულს შოულობენ მხოლოდ ისინი ვინც რეალურად კარგად ერკვევიან იმაში რასაც აკეთებენ...

ამ ხერხით ძველი **დარწმუნების** ადგილას ჩნდება ახალი : "იმისათვის რომ ბევრი ფული იშოვო უნდა კარგად ისწავლო"

ამ შემთხვევაში ჩვენ შევცვალეთ **დარწმუნება** და ამით საფუძველი დავუდეთ ადეკვატურ ქმედებას...

**II დონე: ტრიგერ-ქმედება.**

**დარწმუნების** გარდა რომელიც არის ერთგვარი კომპასი ადამიანს დამხმარე ქმედებებს შორის გარკვეული არჩევანის გაკეთებაში, არსებობს აგრეთვე ერთგვარი გამაღიზიანებელი, ის რაც "სტარტს" აძლევს ადამიანის ქმედების დაწყებას. ადამიანი არასდროს არ მოქმედებს სპონტანურად.

N.L.P - ში ჩვენი ჩვენი ქმედებები განიხილება როგორც რეაქცია გარეგან თუ შინაგან გამაღიზიანებელ ფაქტორებზე. იმისათვის რომ ადამიანმა დაიწყოს რეაგირება ამისათვის "რაღაც" აუცილებლად უნდა მოხდეს მის გარშემო. არ აქვს მნიშვნელობა იმას ეს "გარშემო" იმყოფება მის ტვინში თუ სხეულს მიღმა.

ამ გვარად ეს "ჩამრთველი ღილაკი" რომელიც გვაწყებინებს გარკვეულ ქმედებებს, სიტუაციიდან გამომდინარე იწოდება ან "ტრიგერი" (სპონტანურად შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე მიზეზი) ან "ღუზა" (ვინმესგან ან რაღაცისგან ხელოვნურად შექმნილი მიზეზი, დგომარეობიდან გამომდინარე).

N.L.P - ის თერაპიის მეორე მიმართულება არის უშუალოდ **ადამიანის ქმედებებზე მუშაობა**. მართლაც უფრო ადვილია ალტერნატიული ქმედებების შეთავაზება, ვიდრე **დარწმუნების** დონეზე მუშაობა. რადგანაც ხშირ შემთხვევაში **დარწმუნება** არის საკმაოდ კეთილშობილური და საჭიროც, ამ დროს კი ქმედებებს შეუძლიათ სერიოზული პრობლემები შეუქმნან ადამიანს. მაგ : არის სურვილი რომ კონკრეტულ სიტუაციაში ყველაფერი დამთავრდეს თქვენი ინტერენებიდან გამომდინარე.

ამ შემთხვევაში ზოგი პირდაპირ გადავა ძალადობასა და მუშტი-კრივზე, ზოგი კი ძლიერი ნებისა და კარგად მოფიქრებული არგუმენტაციების საშუალებით გადმოიბირებს თავის მხარეს "აგრესორს".

ამ შემთხვევაში მთავარი არის არა **დარწმუნების** შეცვლა, არამედ ალტერნატიული ქმედებების განხილვა ისე რომ ადამიანმა მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგს.

იმისათვის რომ შევცვალოთ არასწორი ქმედება უნდა მოვძებნოთ გამაღიზიანებელი, "ტრიგერი", თან რაც შეიძლება სწრაფად ანუ მანამ სანამ ადამიანი დაიწყებს რეაგირებას საკუთარი გზის საშუალებით. თუ დაგვიანდა

მაშინ უკვე გაცილებით რთული იქნება მუშაობა ამ დონეზე რადგან მოძრაობის გაგრძელება უფრო ადვილია ძველ რელსებზე, ვიდრე მათგან გადახვევა. მაშასადემე "გამაღიზიანებელის" და ალტერნატიული ქმედებების ძიება არის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება N.L.P - ის თერაპიაში.

### III დონე: ტრიგერ-მდგომარეობა.

დარწმუნებებისა და გამაღიზიანებელი ფაქტორების გარდა ადამიანის ცხოვრებაში არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ფსიქიკაზე დიდი ზეგავლენის მქონე რამ. ეს არის **შედეგი**. ჩვენი ქმედებების შედეგი არის ყოველთვის ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს როგორც გარკვეული გარეგანი ქმნედებებით (გატეხილი ვაზა, ან ჭურჭელი) ასევე რაიმე აკვიატებული შინაგანი მდგომარეობით ან თეორიული კონცეფციით (დეპრესია, ფობიები, ჰიპოტეზა, თეორია, წარმოდგენები და ა.შ). გასაგები ხდება რომ ხშირად გარკვეული ქმედებების საბოლოო წერტილი ადამიანისთვის არის სერიოზული პრობლემების მომტანი. ამ გვარად N.L.P - ის თერაპიის მესამე მიმართულება არის **ჩვენ საბოლოო მდგომარეობაზე მუშაობა**. ძალიან ხშირად სიტუაციას და მის შედეგს ვეღარ შეცვლი (ჩხუბი მოხდა, პროექტი ჩავარდა, საყვარელი ადამიანი წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან და ა.შ). ამ ყველაფერის შედეგია ერთგვარი დამანგრეველი ემოციური მდგომარეობა, მას კი აუცილებლად სჭირდება შეცვლა, ხვაგვარად ადამიანი შეიძლება კუთხეში მოექცეს და საბოლოო შედეგი აღმოჩნდეს სავალალო...

როგორია N.L.P - ის თერაპიის მუშაობის სქემა ამ დონეზე?

ამ შემთხვევაშიც გვაქვს რამდენიმე ვარიანტი:

1. **მიმართულების შეცვლა**. გამომდინარე იქიდან რომ ადამიანს არ შეუძლია მთელი 24 საათის განმავლობაში თავს გრძნობდეს საშინლად (პრობლემატურად) ის იძულებული ხდება ქვეცნობიერად კიდევ და კიდევ ხელ ახლა დაიწყოს ნერვიულობა და დაბრუნება იმ დეპრესიულ მდგომარეობაში რაშიც რამდენიმე წუთის თუ საათის წინ იყო. ე.ი ამ შემთხვევაშიც მის ფსიქიკაში არსებობენ რაღაც სახის გამაღიზიანებელი ფაქტორები რომლებიც აწყებინებენ

მას დაუბრუნდეს დეპრესიულ მდგომარეობას. თუ N.L.P - ის თერაპიის მეთოდების საშუალებით ამ "ტრიგერებს" (გამაღიზიანებლებს) უბრალოდ გავაქრობთ (რას სრულიად ძალუძს N.L.P - ის თერაპიას და არის მისი მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია) ადამიანის ნეგატიური მდგომარეობა ელემენტარულად აღარ განახლდება... პრობლემა მოგვარებულია

**2. უტილიზაცია**. ადამიანის შინაგან წარმოდგენებზე მუშაობის შედეგად ჩენ უნდა შევცვალოთ წარსულის უარყოფითი გამოცდილება ისე რომ ის გახდეს პოზიტიური და ზედმეტი პრობლემები უკან დარჩეს და ნელ-ნელა გაქრეს. ეს მიიღწევა სუბმოდელიზაციით და სინესთეზიით, კონკრეტულად კი "გრძნობათა შეზავებით" (თუ ტალახს დიდი ხნის განმავლობაში გავაზავებთ წყლით ის მალევე გადაიქცევა წყლად)

ამ ყველაფრიდან გამომდინარე N.L.P - ის მეცნიერება ადამიანების ქცევების სქემას ასე ასახავს: **დარწმუნება - ტრიგერ-ქმედება - ტრიგერ-მდგომარეობა.**

ე.ი: **დარწმუნება** მართავს ჩვენს მოქმედებებს რომლებსაც ჩვენ ჩავდივართ ამა თუ **ტრიგერის** (გამაღიზიანებელი ფაქტორის) ზემოქმედების ქვეშ, საბოლოოდ კი ყოველი საქმიანობა მთავრდება ჩვენი გარკვეული (ხშირ შემთხვევაში უარყოფითი) **შინაგანი და გარეგანი მდგომარეობით**, ეს უკანასკნელი კი ასახავს იმას თუ რამდენად არის მიღწეული სასურველი შედეგი. პრობლემატური და ნეგატიური სიტუაციები კი ყალიბდებიან შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც **დარწმუნებები** ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.
2. როდესაც მოქმედება არის ერთადერთი გზა, სიტუაციები კი თავიანთი შინაარსითა და მნიშვნელობით სხვადასხვა.
3. როდესაც ჩვენი მდგომარეობა შინაგანად გვანგრევს.

ამ შემთხვევაში N.L.P გვეხმარება (როგორც ქირურგი მეომარს სხეულიდან ტყვიის ამოღებაში) მოვაგვაროდ ჩვენი პრობლემები იმ მეთოდების მთელი არსენალის საშუალებებით რომელიც გააჩნია ამ უნიკალურ მეცნიერებას. მთავარია ეს მოდელები და მეთოდები გამოვიყენოთ სწორად, პროფესიონალი N.L.P - ის სპეციალისტების დახმარებით და შემდეგ უკვე თავად

გავხდეთ ამ მეცნიერების სპეციალისტები და გადავცეთ ჩვენი გამოცდილება სხვებს.

დღესდღეისობით თერაპიის კერძო მეთოდები ეფექტურნი არიან მხოლოდ გარკვეული წრის ადამიანებთან მათ გარკვეულ პრობლემებთან მუშაობის დროს, ამ მეთოდების უმრავლესობას უფრო მეტის დაპირება შეუძლიათ ვიდრე ისინი რეალურად აკეთებენ. თქვენ შეიძლება რთულად დაიჯეროთ რომ ფსიქიკის დარღვევების გამოსწორება შესაძლოა ერთ საათზე ნაკლებ დროში მაგრამ N.L.P - ის ეს რეალურად შეუძლია. N.L.P გვთავაზობს ცხოვრების გარკვეულ სიტუაციაში გამოვიყენოთ კომუნიკაციისა და ქცევების ის მოდელები რომლებიც მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს. ის უმკლავდება იგივე პრობლემებს რაც დგას ჩვეულებრივი ფსიქოლიგების (ჩვეულებრივი თერაპიული მეთოდებით) წინაშე გაცილებით ეფექტურად და გაცილებით მოკლე დროის განმავლობაში.

N.L.P არის ადამიანის შინაგანი გამოცდილებისა და კომუნიკაციის მკაფიო და ეფექტური მოდელი, მისი პრინციპების საშუალებით შესაძლოა ადამიანის აქტივობა და ქმედება აიხსნას დეტალურად.

N.L.P - ის საქართველოში დანერგვითა და მისი საფუძვლიანი სწავლით ადამიანებს შეეძლებათ:

1. აღმოფხვრან ნებისმიერი ფობია და არასასიამოვნო ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური შეგრძნება გაცილებით ნაკლებ დროში ვიდრე ნებისმიერი ფსიქო-თერაპიული მეთოდი.
2. დაეხმარონ სწავლის-მოძულე ბავშვს ან მოზრდილს გადალახოს ის ჩარჩოები რომელშიც არის მოქცეული.
3. გადაეჩვიონ მავნე ჩვევებს (სიგარეტი, სასმელ-დამოკიდებულება, უძილობა და ა.შ).
4. აღმოფხვრან კომფლიქტები (წყვილებს შორის, ოჯახებში, სოციალურ თუ ბიზნეს ინსტიტუტებში) და ხელი შეუწყონ პროდუქტიული მუშაობის და ურთიერთობის გაგრძელებას.
5. აღმოფხვრან სომატური დაავადებები (და არა მარტო ისინი რომლებიც ითვლებიან ფსიქოსომატურად).

მაშასადამე N.L.P - ის შეუძლია ბევრი პრობლემის ეფექტური მოგვარება მაგრამ არა ყველაფრის... ქართულ საზოგადოებას კი განსაკუთრებით სჭირდება ისეთი ხერხებით მიდგომა რომ მინიმალურ დროში მოხდეს ჩვენი

პრობლემების მაქსიმალურად მოგვარება, ჩვენ ნელ-ნელა ვკარგავთ ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილს, განწყობას და ვერც ვხვდებით იმას რომ ის პრობლემები რაც ჩვენს გარშემო ტრიალებენ და გვირთულებენ ცხოვრებას ჩვენივე შექმნილი არიან და ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ ისინი. სხვადასხვა სოციალური ფენები ვეღარ პოულობენ ერთმანეთთან საერთო ენას, რაც ხდება უამრავი კონფლიქტის მიზეზი. N.L.P კი გვაძლევს უმარტივეს და დროში გამოცდილ ეფექტურ მოდელებსა და ხერხებს რათა შევძლოთ ჩვენივე ცხოვრების გამოსწორება.

დღესდღეისობით N.L.P - ის შესაძლებლობები გაცილებით დიდ საზღვრებს მოიცავენ ვიდრე ჩვენ ავსახეთ ამ სტატიაში და ეს შესაძლებლობები დღითიდღე ვითარდებიან კვლევებისა და პრაქტიკული სამუშაოების წყალობით. N.L.P გამოცდილებისა და ადამიანის განუსაზღვრელი შესაძლებლობების სინთეზის გამოყენების საშუალებაა რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ვიცოდეთ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სიტუაციაში რა და როგორ გავაკეთოთ მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, N.L.P არის ადამიანის კომუნიკაციისა და ქმედებების ახალი, საკმაოდ ძვირი და პოპულარული მეცნიერება, მას საკმაოდ საფუძვლიანად იყენებენ დასავლური დაზვევრვის და სხვადასხვა სოციალურ თუ სამედიცინო ინსტიტუტებში. N.L.P იკვლევს ისტორიის განმავლობაში ყველაზე წარმატებული თერაპევტების საქმიანობას და მეთოდებს, რომლებსაც ისინი ინტუიციურად იყენებდნენ და ცდილობს ამ ხერხებისა და მეთოდების ფორმულირებას და ნებისმიერი მსურველისთვის გადმოცემას. რეკომენდებულია N.L.P - ის სწავლება სტაჟირება გავლილ სპეციალისტებთან რომლებიც საბედნიეროდ მოღვაწეობენ საქართველოში და პერიოდულად ხსნიან სასწავლო კურსებს N.L.P - ში. ჯერ ჯერობით ამ კურსების შესახებ ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოებისთვის მაგრამ ვიმედოვნებთ რომ ეს მეცნიერება მომავალში მოიცავს ცხოვრების იმ ყველა სფეროს სადაც ადამიანს იგი სჭირდება...

## დასკვნა

N.L.P არის მეცნიერება რომელიც ასწავლის ადამიანს თუ როგორ გახდეს ისეთი კომუნიკატორი რომელთანაც არ შეიძლება ურთიერთობა არ გსიამოვნებდეს...

ლიტერატურა:

**References**


1. R. Bendler I D. Grinder. Vvodnii kurs v NLP treninga. http://www.koob.ru/grinder_bendler/
2. Egor Buligin. Upravlenie sostoianiem. Novii kod NLP. http://nlping.ru/?id=F1DE9315-F42AB-8A44E905
3. Picard Bendler, Djon Grinder. Iz liagusek- v princi. http://www.koob.ru/grinder_bendler/
4. Piz. A. Iazik telodvizenii. M., 1995.
5. http://www.nlp.ru/andflash.php.
6. http://www.orator.ru/.
7. http://nlping.ru/


**Sulkhan Tsulukidze**

**N.L.P. (Neiro-linguistic-Program) Science about communication**

**Summary**


N.L.P is a science about communication, how a person can become a pleasant communicator, gain plenty of communicational ways and by means of them achieve desired aims, also get rid of those phobias that hinders him in everyday life. N.L.P is a science that studies human being and his deeds, opinions, his unsteadiness and changeable character. N.L.P is a deep science that studies directly human subconscious and offers great deal of ways and methods to become a better interlocutor, get rid of complexes, various physiological and psychological problems that we come across.

Base of Neiro-linguistic-Program is basically built on conception of human original deeds. Analysis of human deeds formed N.L.P in that way as it is now.

N.L.P can solve many problems effectively, but not all of them. Georgian society exceptionally needs the ways and methods that will solve our problems at minimum speed. Little by little we begin to lose any wish to communicate with one another and do not understand that those problems that surround us and complicate our lives are created by us and we should correqt them ourselves. N.L.P gives us the easiest and time-experienced efficient models in order to improve and correct our lives.

Nowadays N.L.P and its opportunities include much big limits that we have mentioned in this article and these opportunities develop daily by means of researches and practical uses.

N.L.P is an opportunity that gives us ways how to behave and what to do in different situations in order to achieve maximum results. N.L.P is a rather expensive and popular science of human communication and deeds, it is used through in secret services, in various social and medical institutes.

**Keywords**: N.L.P (Neiro-Linguistic-Program), science about communication, convince, inspiration, utilitarianism, trigger-action, trigger-state.
**Reviewer**: Professor David Amiredjibi, Director of the center of personal and communicative resources.

**Цулукидзе Сулхан Ростомович**
**N.L.P (Неиро-лингвистическое программирование)**
**Наука о коммуникации**

N.L.P, это наука о коммуникации, о том как человек может стать приятным собеседником, о том как приобрести многие коммуникативные способы и с их помощью дастичь желаемой цели. А также освободиться от многочисленных фобии, которые мешают на каждой степени жизни, и преграждают путь к успеху. N.L.P, наука, которая изучает оригинальную сущность человека, устойчивость или колебания его действия, мышление, и т.д.. N.L.P глубокая наука, которая изучает подсознательное человека, исходя из которого N.L.P находиn многие способы и средства с помощью которых мы становимся лучшими коммуникаторами, освобождаемся от фобии или от других психологических или физиологических проблем, которых готовит каждодневная жизнь.

Основа нейро-лингвистического программирования в основном строится на концепцию оригинальных действии человека. Основной анализ действии человека сложил N.L.P токовым, каковым является сейчас.

N.L.P может эффективно решить много проблем, но не всех. Грузинское общество особенно нуждается в таком способе подхода, с помощью которого в минимальный срок решится максимально много проблем. Мы постепенно теряем желание общения друг с другом, настроение и не замечаем что проблемы, которые усложняют нам жизнь создаем vs сами, и сами должны решить их. А N.L.P дает простые и испытанные во времени эффективные способы и модели, чтоб vs смогли исправить нашу жизнь.

Сегодня границы N.L.P гораздо широки, чем мы описали в этой статье, и его возможности день ото дня развиваются с помощью исследований и практических работ. N.L.P - способ применения синтеза неограниченных способностей человека, который дает возможность знать на разных этапах жизни в разных ситуациах что и как сделать для максимального результата. N.L.P - эта новая, довольно дорогая и популярная наука коммуникации и действии человека, его довольно широко применяют в разведке, в разных социальных и медицинских институтах.

**Ключевые слова:** N.L.P (Неиро-лингвистическое программирование), наука о коммуникации, коммуникативные способы, коммуникатор, подсознательное человека, концепция оригинального действия человека, убеждение, вдохновение, утилизация, триггер-действие, триггер-состояние.

**Рецензент:** Профессор Амиреджиби Давид Тенгизович. Директор центра личностных и коммуникативных ресурсов.

# ეკონომიკა

**Shalva (Lasha) Gogidze**

## The EU's ambivalent pipeline politics (Nabucco: a "win-set" or a sticking point?)

### Introduction

Due to rising global demand for hydrocarbon resources such as oil and natural gas and therefore steady increases in energy prices the issue of energy diversification has become one of the main priorities on the European agenda. This has escalated even more since January 2009 after a gas row between Russia (major energy supplier to the EU) and Ukraine (main transit country for delivering Russian energy resources to the EU) had cut off gas supplies to most of the EU member states (Central and Eastern European (CEE) countries hit the hardest). As a consequence, Russia's reliability as a stable long-term energy supplier has been gradually undermined among the EU policy-makers. It appears that Gazprom's (largest Russian gas company) monopolistic practices in the European natural gas market that have often manifested by means of gas cut-offs and increased prices is aimed at exerting considerable political and economic leverage upon the EU.

In order to avert this high dependency on Russian gas the alternative energy sources and supply routes have been actively debated among EU actors at multiple levels. One feasible alternative in this regard is the Nabucco gas pipeline project, which is named after a renowned opera "Nabucco" by Giuseppe Verdi. This project that has been proposed by the largest energy companies of CEE countries is to connect the Caspian, Middle East and Egyptian gas reserves with the Central and Western European gas markets through a new gas pipeline transiting Azerbaijan, Georgia Turkey, Bulgaria, Romania and Hungary.[1]

Despite the likely attractiveness of Nabucco, since its inception the ensuing negotiations within the EU as well as with the third parties concerned have been protracted and there is no certainty as to their successful completion any time soon. What are the reasons behind this? This paper analyzes the processes of negotiations over the Nabucco

---

[1] "Nabucco Gas Pipeline Project", *Nabucco Gas Pipeline International GmbH*, 2009, p.3

pipeline project, thus focusing on the strategic preferences, "win-sets" of the relevant constituents involved in the conduct of these negotiations within and across multiple levels of the EU. An in-depth look into these processes suggests the use of Robert Putnam's two-level game model as a basic theoretical framework for this study. By applying this model to illustrate the divergence between national and EU levels I argue that overall, Nabucco's "win-set" for the EU has turned out to be smaller than initially expected.

**Creating "the Great Pipeline Opera"**

Emerging in October 2002 as a result of the Cooperation Agreement between the five largest gas and oil companies of Austria, Hungary, Romania, Bulgaria and Turkey (OMV Gas & Power GmbH, MOL, TRANSGAZ, BULGARGAZ Holding and BOTAS respectively) the Nabucco project has gained new momentum in December 2003, when a grant agreement was signed between the aforementioned shareholders and the European Commission (EC). Under the agreement the EC issued a grant of 50% of the total estimated costs for the feasibility study phase that included technical, economic and financial aspects as well as a market analysis. After the successful completion of the feasibility study in the first half of 2005 the Nabucco partners have signed the Joint Venture Agreement on June 28, 2005, thus establishing the Nabucco Gas Pipeline International GmbH (NIC). Soon after, the project has been moved ahead into the development phase which is to last until the end of 2010. The actual beginning of the construction of the pipeline is scheduled for 2011with the start up of the transportation of gas foreseen in 2014. Meanwhile, in February 2008, German RWE AG (one of Europe's leading Electricity and Gas Public Utility Company) joined the Nabucco consortium as a sixth shareholder, which has further boosted the chances for the project to become a real success story.[2]

Undoubtedly, one of the most important milestones in the advancement of the Nabucco pipeline project has indeed been the signature of the "Nabucco Intergovernmental Agreement" in Ankara, on July 13, 2009, between the Nabucco transit countries, Turkey and the four EU member states (Bulgaria, Romania, Hungary and Austria). This is where the president of the EC, José Manuel Barroso has pompously stated that "this is an achievement of which we can all be proud, because Turkey and the European Union have tackled, together, a common

[2] Ibid, pp. 4-5

challenge, i.e. the security and diversification of their energy supplies".[3] This event has also been greatly welcomed by the European Parliament (EP), which "congratulates, in the context of becoming less dependent on Russian supplies, [all participants on the signing of the agreement] on legal framework for the Nabucco pipeline project, an important step towards realizing this EU priority project".[4]

Despite all these positive developments and EC's active support in this regard there still remain a number of considerable obstacles for the Nabucco project to come true.

**Diverging Strategies and Preferences**

Most importantly, the newly ratified Lisbon Treaty clearly stipulates that the energy policy is an area of shared competence between the Union and the member states wherein each member state retains the sovereign "right to determine the conditions for exploiting its energy resources, its choice between different energy sources and the general structure of its energy supplies".[5] Moreover, any energy measures that are "primarily of a fiscal nature" shall require the unanimous approval of the Council.[6] Therefore, EC's action in this domain is considerably confined by strategic interests of the member states, which makes it difficult for the Union to form a coherent and consistent energy policy.

As a consequence, Nabucco, which was initially meant to be a commercial project, has become overtly politicized. Furthermore, there is a lack of political will and commitment to the realization of this ambitious venture on the part of such influential EU member states as Germany and Italy, who have already secured profitable bilateral energy agreements with Russia.[7] Indeed, Russia's policy of international "side-payments" towards EU policy-makers across different levels has turned out to be quite successful. No wonder why Russian Prime Minister Vladimir Putin's close friend and ally, Gerhard Schröder, is a fervent

---

[3] José Manuel Durão Barroso President of the European Commission, "Signature of the Nabucco Intergovernmental Agreement", Speech, Ankara, 13 July, 2009

[4] European Parliament, "resolution on external aspects of energy security", RC-B7-0040/2009, Strasbourg,
17 September, 2009

[5] Lisbon Treaty, Art.194 (2)

[6] Id. Art.194 (3)

[7] Kash Burchett, "EU funding a shot in the arm for Nabucco pipeline", *European Energy Review*, 7April, 2009

supporter of Nabucco's rival and Gazprom-backed Nord Stream pipeline project. He argues that "[s]ourcing gas from Russia is of special importance to Germany for geographical reasons" [and conceives of the Nord Stream pipeline as a] "central European project".[8] On a similar note, Angela Merkel, stresses that "[t]he Nord Stream project is of paramount importance, and Germany, as well as the Russian Federation, will campaign for the necessary permits to be granted".[9] On the other hand, she remains quite skeptical about EU funding to be allocated for Nabucco: "There is no need for financial support for Nabucco as there is no shortage of private investors… The problem with Nabucco is where the gas will come from, not where the investment will come from".[10]

This may seem ironic but only recently, contrary to the aforementioned rhetoric of his colleagues, the former German Foreign Minister during Schroder's chancellorship, an influential figure in European politics, Joschka Fischer, has signed up for the Nabucco consortium.[11] It should be noted that even though Fischer did not criticize his former boss Schröder publicly at the time, more recently he has openly expressed his view in this regard. When asked by *Der Spiegel* "what he found "most objectionable" about Schröder's tenure, Fischer replied succinctly: "His position on Russia"".[12] One could conceive easily that concerning the relationship with Russia in the context of energy security there are divergent policy preferences among influential stakeholders within Germany, which therefore decreases the

---

[8] Gerhard Schröder, former German Chancellor, Chairman of the Shareholders Committee of Nord Stream AG, Energy Pact Conference, Opening Address, Geneva, Switzerland,16 March 2009

[9]Angela Merkel, Chancellor of the Federal Republic of Germany, 11th German-Russian intergovernmental consultations, Press conference, Munich, 16 July 2009

[10] Elitsa Vucheva, "Turkey wants clear European position on Nabucco", *EUobserver*, March 5, 2009,

[11] Fischer was appointed as political communications adviser by OMV Gas & Power and RWE Supply & Trading on 6 July, 2009

[12] Daniel Freifeld, "The Great Pipeline Opera: inside the European pipeline fantasy that became a real life gas war with Russia", *Foreign Policy*, Sept/Oct, 2009

size of Nabucco's "win-set" for this country but also considerably strengthens its bargaining position at the EU level.[13]

Another charismatic European leader and Putin's ally, Italy's Prime Minister Silvio Berlusconi, is also keen on maintaining strategic energy partnership with Moscow. This was clearly evident on June 23, 2007, when Italy's energy giant ENI signed a memorandum of understanding with Gazprom for the realization of Nabucco's another rival Russian-backed South Stream pipeline project.[14] "We ensured the realization of South Stream in Turkish waters and ensured Russia's presence as a partner in the pipelines. If this is not a great success, then I leave you to prove it", Berlusconi has told a news conference recently.[15] Hence, while acting as Italy's chief negotiator in energy talks Berlusconi "pursues his own conception of the national interest in the international context [thus trying to] increase his political resources [and] minimize potential losses".[16]

It appears that this reluctance from the German and Italian sides to commit to Nabucco is greatly conditioned by their concerns of antagonizing Russian leaders in case they import gas into the EU through the post-soviet countries like Azerbaijan and Georgia, thus by-passing Russian energy sources and transit routes. Besides, Nabucco's future gas supplies from Central Asia (Turkmenistan and possibly Kazakhstan) are not yet secured. This makes the project solely dependent on Azerbaijani gas reserves, which would only be sufficient to supply Nabucco's first, lower capacity phase.[17] There is no wonder why Germany and Italy, one of the largest net contributors to the EU budget, are so reluctant to allocate approximately 7.9 billion Euros for the estimated construction costs of the pipeline with uncertain gas sources.

---

[13] Robert D. Putnam, "Diplomacy and Domestic Politics: the logic of two-level games", *International Organization,* Vol. 42, No.3, Summer 1988, p. 440

[14] "Eni and Gazprom sign the agreement for the South Stream Project", Eni, 23 June, 2007

[15] Silvio Berlusconi, Italy's Prime Minister, news conference, Rome, 7 August, 2009

[16] Putnam, *op. cit.*, p.457

[17] Alexandros Petersen, "Nabucco and Trans-Caspian Relations", *Atlantic Council,* 18 September, 2009

## Conclusion

By and large, despite its quite lucrative offer the Nabucco project has turned out to be a highly complex venture for the EU. It has far transcended the commercial aspects of energy market, thus entangling the Union's domestic and international politics. In fact, the involvement of multiplicity of actors with rather diverging interests and preferences across various levels makes it difficult for the EU to elaborate a coherent and consistent strategy on Nabucco. This is largely due to the fact that energy policy is an area of shared competence between the Union and its member states with a high probability of discrepancy within their respective standpoints but also within the visions of individual member states.

An uneven energy diversification between Eastern and Western Europe has direct impact on policy preferences of respective countries. Hence, while the CEE countries together with the EC and the EP are striving towards eliminating dependence on Russian energy supplies Germany and Italy prefer maintaining the status quo, but also strengthening energy partnership with Moscow. It seems that the costs of "no-agreement" on Nabucco could be much lower for countries like Germany and Italy than for more dependent CEE countries.[18] Besides, as illustrated by the case of Germany, there are some domestic divisions between the powerful interests groups and political leaders which further complicate the picture.

All these entanglements decreases considerably the size of Nabucco's "win-set" for the EU as a whole thus putting question marks over the future viability of this attractive project.

---

[18] Putnam, *op. cit.*, p.442-443

**ლიტერატურა:**
**References**

1. Alexandros Petersen, “Nabucco and Trans-Caspian Relations”, *Atlantic Council*, 18 September, 2009 <http://www.acus.org/new_atlanticist/nabucco-and-trans-caspian-relations>, retrieved 10.11.2009
2. Daniel Freifeld, “The Great Pipeline Opera: inside the European pipeline fantasy that became a real life gas war with Russia”, *Foreign Policy*, Sept/Oct, 2009 <http://www.foreignpolicy.com/articles/2009/08/12/the_great_pipeline_opera>, retrieved 10.11.2009
3. Elitsa Vucheva, “Turkey wants clear European position on Nabucco”, *EUobserver*, March 5, 2009 <http://euobserver.com/9/27716>, retrieved 10.11.2009
4. ENERGIA website <http://www.energia.gr/article_en.asp?art_id=20670>, retrieved 10.11.2009
5. Eni website <http://www.eni.it/en_IT/media/pressreleases/2007/06/Eni_and_Gazprom_sign_the_agree_23.06.2007.shtml>, retrieved 10.11.2009
6. Ernest Wyciszkiewicz, “EU External Energy Policy – Between Market and Strategic Interests”, *the Polish Institute of International Affairs, Pism Strategic Files*, 1 January, 2008 <http://www.pism.pl/zalaczniki/1_Strategic_Files.pdf>, retrieved 10.11.2009
7. EUROPA, *Press Releases* <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=SPEECH/09/339>, retrieved 10.11.2009
8. EUROPA, *Treaty of Lisbon* < http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2008:115:0047:0199:EN:PDF >, retrieved 10.11.2009
9. European Parliament, *Resolutions* <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2009-0021+0+DOC+XML+V0//EN>, retrieved 10.11.2009
10. Kash Burchett, “EU funding a shot in the arm for Nabucco pipeline”, *European Energy Review*, 7April, 2009

<http://www.europeanenergyreview.eu/index.php?id=911>, retrieved 10.11.2009
11. Nabucco Gas Pipeline International GmbH website <http://www.nabucco-pipeline.com/cms/upload/press%20and%20public/presentations/Official%20Project%20Description_Q1_2009_v01.pdf >, retrieved 10.11.2009
12. Nord Stream website <http://www.nord-stream.com/en/>, retrieved 10.11.2009
13. Olimpia Orlandoni, "An Energy Policy for Europe: The Caspian and the Nabucco project", College of Europe Bruges Campus, *Department of International Relations and Diplomacy Studies,* Academic Year 2008-2009
14. Robert D. Putnam, "Diplomacy and Domestic Politics: the logic of two-level games", *International Organization,* Vol. 42, No.3, summer 1988
15. RWE Supply & Trading website <http://www.rwe.com/web/cms/en/239932/rwe-supply trading/press/press release/?pmid=4003647>, retrieved 10.11.2009

**შალვა (ლაშა) გოგიძე**

**ევროკავშირის გაზსადენის ორმაგი პოლიტიკა ("ნაბუქო": გამარჯვება თუ დაპირისპირება}**

## რეზიუმე

მსოფლიოში ენერგო-რესურსებზე (გაზი, ნავთობი) გაზრდილი მოთხოვნისა და მაშასადამე ფასების მდგრადი მატების შედეგად, ენერგო-დივერსიფიკაცია ევროკავშირის მთავარი პრიორიტეტი გახდა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის დავის შემდეგ გაზის სატრანზიტო ტარიფების თაობაზე, რომლის დროსაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობას რუსეთიდან გაზის მიწოდება შეუწყდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ევროკავშირისათვის გაზის მთავარი მიმწოდებელია, ხოლო რაც შეეხება უკრაინას, იგი რუსული გაზის მთავარი სატრანზიტო ქვეყანაა. რუსეთ-უკრაინის ზემოთხსენებულმა დავამ მნიშვნელოვნად შეარყია რუსეთის, როგორც საიმედო პარტნიორის რეპუტაცია ევროკავშირში და შედეგად ენერგო- დივერსიფიკაციაზე მსჯელობა უფრო და უფრო

გააქტიურდა ევროპელ პოლიტიკოსებს შორის. ამ კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ალტერნატივა “ნაბუქოს” გაზსადენის პროექტია, რომელმაც კასპიის ზღვის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგვიპტის გაზის რეზერვები უნდა დააკავშიროს ცენტრალური და დასავლეთ ევროპის გაზის ბაზრებთან. მიუხედავად ამ პროექტის მიმზიდველობისა ევროკავშირის მოლაპარაკებები გაზის მომწოდებელ ქვეყნებთან (ცენტრალური აზია) ძალიან გახანგრძლივდა და მათი წარმატებით დასრულება დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის მთავარი მიზეზი, ევროკავშირში არსებული შიდა განსხვავებებია. მაშინ როდესაც, ევროკომისია და ევროპარლამენტი, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, “ნაბუქოს” პროექტის აქტიური მხარდამჭერები არიან, გერმანია და იტალია, რუსული გაზის მთავარი მონოპოლის, “გაზპრომის”, მიერ შემოთავაზებულ “ჩრდილო-დინებისა” და “სამხრეთ-დინების” გაზსადენის პროექტებს ანიჭებენ უპირატესობას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, “ნაბუქოს” პროექტის წარმატებით დაგვირგვინება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**საკვანძო სიტყვები:** გაზი; ევროკავშირი; ნავთობი; გაზის სატრანზიტო ტარიფები; ენერგოდივერსიფიკაცია; რუსეთ-უკრაინის დავია; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა რუსეთი; “ გაზპრომი”; “ნაბუკო”; იტალია; გერმანია; შუა აზია: ეგვიპტე; ევროპარლამენტი; ევროკომისია.
რეცენზენტი: პროფესორი

**რეცენზენტი**: პროფესორი გიორგი ბაღათურია,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Гогидзе Шалва (Лаша) Темурович**

**Двойственная политика трубопровода ЕС («Набуко»: «набор победы» или точка преткновения?)**

**Резюме**

Из за увеличения потребностей в энергоресурсах (газ, нефть) стойкой тенденции повышения ценб енергодиверсификасия стала главным приоритетом Евросоюза, особенно после русско-украйнских споров о транзитных тарифах, входе хоторых болшинству стран центральной и восточной Европы прекратилось подача природного газа.

Следует отметить, что Россия главный поставшик голубого топлива странам Евросоюза. Что же касаетса Украйны, то она основная транзитная страна для русского природного газа в Европу. Вышеуказанный спор основательно подарвал репутасию России, как надежного партнёра в Евросоюзеб соотвектственно дискуссии по энергодиверсификасии стали актуальны среди ведущих политиков Европы. В етой связи самой выгодной альтернативой считаетса проэкт газопровода «Набуко»б который должен связать резервы природного газа ближнего востока и Египта с Европой. Несмотря на привлекательность этого проэкта, переговоры с основными поставшиками газа значительно затянулисьб и удачное их завершение под вопросом до сегодняшнего дня. Основной причиной этого положения является внутренные разногласия в Евросоюзе. Тогда как, Еврокомиссия и Европарламент, также как страны центральной и восточиой Европы активно поддерживают проэкт «Набуко», Германия и Италия приоритет предоставлияют проэктам «Северного-потока» и «Южного потока», выдвыгаемым главным монополистом – «Газпромом». Следовательно, успешное осуществление проэкта «Набуко» под бльшим вопросом.

**Ключевые слова:** «Набуко»; Восточная Европа; Центральная Европа; Россия; Украйна; Евросоюз; Еврокомиссия; Увропарламент; Природный газ; Восточная Азия; Египет; «Газпром»; Германия; Италия; Энергодиверсификация; «Северного-поток»; «Южный поток».

**Рецензент** – Профессор Георгий Шотаевич Багатурия, Грузинский технический университет

**სალომე ჩხიკვაძე**

# ბიუჯეტის მონიტორინგის და ფინანსური კონტროლის გაუმართავი მექანიზმებით გამოწვეული პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში

ფინანსური კონტროლის სუსტი და გაუმართავი მექანიზმების გამო ხშირად ხდება ფინანსური რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა, რაც განაპირობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს. ამით არის განპირობებული თვითმმართველობის ფინანსური კონტროლის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა, მითუმეტეს, რომ, ეს არის კანონით აღიარებული ვალდებულებაა.[1] საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და მას რატიფიცირებული აქვს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია,[2] აღიარებს ქარტიის პრინციპებს და რეფორმების გატარებისას ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას. ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური კონტროლის გამართული მექანიზმები აუცილებელია შემდეგი ამოცანების უზრუნველსაყოფად:

- მოხდეს ადგილობრივი ფინანსების სფეროში სამართალდარღვევათა გამოვლენა და პრევენცია;

- უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვა;

- მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ან/და აღმოფხვრილი კორუფცია ადგილობრივ თვითმმართველობებში;

- მიეცეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შესაბამისი მითითებები დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

- მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საჯარო ფინანსების სფეროში ჩადენილი დარღვევების თაობაზე.

აქ ჩამოთვლილი ამოცანების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამართლებრივი ბაზის შექმნა, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და მაკონტროლებელი

ორგანოს/ორგანოების არსებობა. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებს ცენტრალური ხელისუფლება გააკონტროლებს, ამით მნიშვნელოვნად შემცირდება ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი და თვითმმართველობა გახდება ცენტრალური ხელისუფლების დანამატი, რაც ეწინააღმდეგება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის პრინციპებს. თუ ცენტრიდან გადმოცემული უფლებამოსილებები და შესაბამისი ფინანსები ცენტრის მიერ არ გაკონტროლდება, ამ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ფინანსური რესურსების არარაციონალური ხარჯვა. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ყველაზე მეტად მისაღებია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ფინანსების მხოლოდ იმ ნაწილის კონტროლი, რომელიც მათ გადაეცათ ე.წ. დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანოებმა თვითონვე უნდა აკონტროლონ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებები საკუთარი ფინანსების მართვის თვალსაზრისით.

ადგილობრივ თვითმმართველობაში გატარებული რეფორმის შემდგომ საქართველომ სწორედ ეს მოდელი აირჩია. ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი ფინანსები წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უნდა აკონტროლონ, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად გადაცემული ფინანსური რესურსები – საქართველოს კონტროლის პალატამ. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ პრაქტიკაში მთელი რიგი უზუსტობები და გაურკვეველი საკითხები არსებობს. მათგან უმნიშვნელოვანესია ის, რომ არ არსებობს მკაფიოდ გავლებული ზღვარი, რომლის ერთ მხარესაც დგას ადგილობრივი თვითმმართველობის გასაკონროლებელი ფინანსები, ხოლო მეორე მხარეს – კონტროლის პალატის მიერ გასაკონტროლებელი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ქმედითი კონტროლი ჯერ არ დაწყებულა. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების კონტროლთან დაკავშირებული პრობლემატიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ჯერჯერობით არ არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოცემული შიდა აუდიტის პროცედურები;

- საკანონმდებლო დონეზე არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული კონტროლის მექანიზმები და არსებული საკანონმდებლო ჩანაწერები გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებენ;

- მწირია ადგილობრივი თვითმმართველობების ის საჯარო ფინანსები, რაც მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა აკონტროლონ.

მართალია 2009 წლის კონტროლის პალატის რეგლამენტში საუბარია, კონტროლის პალატის სტრუქტურულ ერთეულებზე, მათ შორის შიდა აუდიტის დეპარტამენტზე, მაგრამ იქ გაწერილია მხოლოდ დეპარტამენტის კომპეტენციები და არ არის სრულყოფილი ჩანაწერი.

2007 წელს ადგილობრივ თვითმმართველობებზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერის ფაქტიურმა საერთო მოცულობამ შეადგინა 32,9 მლნ. ლარი, მათ შორის მიზნობრივმა ტრანსფერმა – 1,63 მლნ. ლარი. 2008 წელს ტრანსფერების საპროგნოზო მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 346,1 მლნ. ლარით და შეადგენს 548,26 მლნ. ლარს, მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი გაიზარდა 9,7 მლნ. ლარით. შესაბამისად, მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მოუცულობა შეადგენს 11,29 მლნ. ლარს (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). 2007 წლის საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს კონტროლის პალატის კონტროლს დაქვემდებარებული თანხების წილი მხოლოდ 0,26% - ს შეადგენს. 2008 წელს ადგილობრივი თვითმმართველობებმა მთლიანი შემოსავლების თითქმის ნახევარი (49,5%) ფინანსური დახმარების სახით მიიღეს, მაგრამ საქართველოს კონტროლის პალატის კონტროლს დაქვემდებარებული სახსრები მაინც მწირი იყო და მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 1,02% შეადგინა.

**არსებული ხარვეზები (საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ დონეზე)**

საბიუჯეტო კოდექსში არსებული 19-ე მუხლში არსებული ჩანაწერი საკმაოდ ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას. კერძოდ საუბარია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებას და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას. ამავე ლოგიკით კონტროლის პალატას აქვს უფლება აკონტროლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებების სფეროში ფინანსების ხარჯვა, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას".

საკრებულოს საფინანსო კომისიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო შემოწმების ობიექტები "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში საკმაოდ კარგად არის ფორმულირებული.[3] საფინანსო შემოწმებას ახორციელებს საკრებულოს საფინანსო კომისია სახსრების გამოყენების შემდეგ, მათი მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით. საფინანსო შემოწმება მოიცავს გაწეული ხარჯების დოკუმენტირების, საფინანსო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონთან, უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შესაბამის გადაწყვეტილებასთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საფინანსო სტანდარტებთან შესაბამისობის და სახსრების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენას. აუცილებელია, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანულ კანონში გაკეთდეს ასეთივე დეტალური ფორმულირება კონტროლის პალატის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის შემოწმების საკითხებზე.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მათ გააცნობს საკრებულოს. ანგარიში და დასკვნა აუდიტორის მიერ ეგზავნება

კონტროლის პალატას. ეს დასკვნა ქვეყნდება საჯაროდ. კანონში არ არის მითითებული, თუ ვის აქვს დასკვნის გამოქვეყნების აუცილებლობა (დამოუკიდებელ აუდიტორს, ადგილობრივ თვითმმართველობას თუ კონტროლის პალატას) ან კიდევ რაში სჭირდება საქართველოს კონტროლის პალატას დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის ფორმულირების გამართვა და დაზუსტება.

"კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონი გვაძლევს ცნების – ეფექტიანობის აუდიტის დეფინიციას, მაგრამ ცალსახად არაა გაცემული პასუხი კითხვებზე – რას მოიცავს ამ ტერმინის შინაარსი საფუძვლიანად, რას წარმოადგენს იგი – ფინანსური კონტროლის განსაკუთრებულ ფორმას , ახალ სახეს თუ ახალ მეთოდს. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რითი განსხვავდება იგი ჩვეულებრივი ფინანსური აუდიტისგან. ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით კანონში გაცემული არ არის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ კანონის მე-3 მუხლში საუბარია, რომ ზედამხედველობას ამ კანონით დადგენილი ფორმით და პირობებით, როგორც წესი, ახორციელებენ სახემწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მე-9 მუხლი ადგენს, რომ თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯვაში დარღვევებს ექნება ადგილი, კანონმდებლობა არ მიუთითებს იმის თაობაზე, უნდა აგოს თუ არა პაუხი გუბერნატორმა (როგორც ზედამხედველმა) და აქვს თუ არა საქართველოს კონტროლის პალატას მისი მხილების უფლებამოსილება.

**საკითხის პრეისტორია**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებიდან დღემდე განვლილი პერიოდის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ აუდიტორული საქმიანობის დამკვიდრება-განვითარება მიმდინარეობდა ცალმხრივად,

ზედაპირულად სათანადოდ გამართული და სრულყოფილი თეორიულ-მეთოდოლოგიური და გამართული სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს მიღებული კანონი “აუდიტორული საქმიანობის შესახებ” სრულად არ პასუხობს დროის მოთხოვნებს და საჭიროებს გამართვას.

გეგმიანი ეკონომიკის პირობებში გამოყენებული საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ფორმები და მეთოდები არაეფექტური აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. გამომდინარე აქედან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ურთიერთობაზე ეკონომიკის გადაყვანის საწყის ეტაპზე აუცილებელი გახდა საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ახლებურ ფორმებზე და მიდგომებზე გადასვლის პროცესის დაწყება. მართალია ამ მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯები, მაგრამ მან სასურველ შედეგებამდე მაინც ვერ მიგვიყვანა. უპირველესად შემუშავდა საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გარკვეულ დადებით ძვრებს სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, თუმცა დღემდე მთელი რიგი ხარვეზები არსებობს ამ მიმართულებით. მათი მოგვარება კი აუცილებელია და არ შეიძლება მისი გადადება, რადგან საფინანსო-ეკონომიკური წესრიგის დამყარების გარეშე ქვეყნის წინაშე არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რამაც გამოწვია ბიუჯეტის აღსრულების პროცესის შემოწმებაში ახალი მიდგომების და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. სრულყოფილი სახაზინო სისტემის არსებობის პირობებში, შესაძლებელია საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენების აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე აქტუალური ხდება სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის ამოცანა იმ მიმართულებით, რომ მაკონტროლებელმა ორგანოებმა საქმიანობა წარმართონ არა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების ან კანონიერების დასადგენად, არამედ

სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის შესწავლის მიმართულებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატა უფლებამოსილია, სხვა სახელმწიფოების უმაღლეს აუდიტორულ, მაკონტროლებელ და სხვა შესაბამის ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადოს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ, ის აღიარებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელსაც 1999 წლის 3 სექტემბრიდან არის მიერთებული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტის საბჭოს კოლეგიის №6 დადგენილებით.

საბიუჯეტო პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიუჯეტის მონიტორინგს, რადგან ბიუჯეტი არ არის უბრალო ფინანსური გეგმა და ის ატარებს ნორმატიული აქტის ხასიათს. ბიუჯეტის მონიტორინგი შესაძლებელია რამდენიმე კუთხით ჩატარდეს:

- ფინანსური მონიტორინგი (ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შეფასება. რამდენი შემოვიდა და როგორ დაიხარჯა;
- კანონიერების მონიტორინგი (რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი წარმოადგენს ნორმატიულ აქტს);
- ეფექტურობის მონიტორინგი (რამდენად ეფექტურად იხარჯება ფინანსები);
- გამჭვირვალობის მონიტორინგი (რამდენად ღიად ხდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა და საზოგადოებას თუ მიუწვდება ხელი ამ ინფორმაციაზე);
- მმართველობითი მონიტორინგი (თუ ხორციელდება გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა საბიუჯეტო პროცესში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურების მმართველობითი რგოლების მიერ);
- პოლიტიკური მონიტორინგი (სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ზეგავლენა პროცესზე)

საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა. ის მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებას და კონტროლს. მონიტორინგი შეიძლება ჩატარდეს საბიუჯეტო პროცესის

ყველა ჩამოთვლილ ეტაპზე. ის ხორციელდება როგორც საშემოსავლო ის ხარჯვით ნაწილზე.

მონიტორინგის სახეობებს შორის ყველაზე გავრცელებულია ფინანსური მონიტორინგი. ფინანსური მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიუჯეტის შემოსულობებზე და გადასახდელებზე საბიუჯეტო პროცესის მიხედვით.

როგორც წესი, ბიუჯეტის მონიტორინგის შესაძლებლობა აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ორგანიზაციებს და ნებისმიერ პირს ვისაც დააინტერესებს ეს საკითხი.

**ლიტერატურა:**
**References**

1 saqarTvelos kanoni “kontrolis palatis Sesaxeb” . gverdi-3; me-6 muxlis me-2 punqti Tbilisi 2008 wlis 26 dekemberi www.control.ge
2. evropuli qartia “adgilobrivi TviTmmarTvelobis Sesaxeb”. muxli me-4
3. “adgilobrivi TviTmmarTvelobis Sesaxeb” saqarTvelos organuli kanonis muxlis 57-e me-4 punqti. Tbilisi 2005 wlis 16 dekemberi; www.parliament.ge
4. fondi “Ria sazogadoeba – saqarTvelo” saqarTvelos sabiujeto sistema – gzamkvlevi sabiujeto procesis monitronigi. Tbilisi 2007 weli. 40-e gverdi;
5. statia – efeqtianobis auditi rogorc finansuri kontrolis axali forma. me-2;3 gverdi Tbilisi 2009 weli; iakob mesxia kaxa gabelaSvili;
6. “adgilobrivi TviTmmarTvelobis organoebis saqmianobis saxelmwifo zedamxedvelobis Sesaxeb” saqarTvelos kanonis me-9 muxlis me-4;5 punqti, me-5 gverdi. Tbilisi 2007 wlis 8 ivnisi www.parliament.ge

**Salome Chkhikvadze**
**Problems in local self-government caused by incontrollable mechanisms of budget monitoring and financial control**

**Summary**

The present work considers mechanisms of budget monitoring in Georgia, effectiveness of the existing system, gaps existing at legislative and institutional levels as well as problems that we face in case of disregard of these matters. It considers whether the situation has

changed after reform in local self-government in the framework of these aspects and the type (model) chosen for conduction of financial control.

The weak and uncontrollable mechanism of financial control causes ineffective spending of financial resources that from its side, conditions low quality of independence of local self-government. We tried to reveal in the present work the problems caused by weak and uncontrollable mechanisms of budget and financial control in self-government.

The problem consists in the following: Georgia as the EU member country has ratified the European Charter "On local self-government", recognizes principles of this Charter and is guided by international experience in the course of conduction reforms. However we firstly do not have a clearly established mechanism of audit and secondly complete control of Control Chamber (increased authorities) at performance of exclusive authorities and contradicts principles of the European Charter at conduction of financing. In the frameworks of this work there is considered legislative base that regulates this field in case of audit. There are certain gaps in legislation because of the fact that there are no established mechanisms of obligations and periodicity of control and so on.

The analyze of the period passed from the moment of transfer to market economy up to now in Georgia has clearly shown that supervision and development of audit activities was conducted unilaterally, superficially without complete and correct theoretical, methodological and legislative basis.

Introduction of treasury system in budget process conditioned necessity to use new methods and approaches during control of budget execution process. In terms of existence of perfected treasure system is possible to exclude unreasonable use of budget sources. Starting from the above-mentioned, very actual is perfection of state financial control so that control bodies could carry out their activities not only for establishment of reasonable or legal use of budget sources, but also for studying of efficiency of decisions made by state structures.

**Key words**: Local self-government; international experience, budget of local self-government unit, audit, financial audit, auditor, state supervision, budget monitoring, control chamber, legal basis, budget system.
**Reviewer**: Professor David Narmania, Executive Director of the Institute of Caucasian Economy and Social Researches.

**Чхиквадзе Саломэ Шалвовна**

**Проблемы в местном самоуправлении, вызванные неотлажнностью механизмов мониторинга бюджета и финансового контроля**

## РЕЗЮМЕ

В работе рассмотрены используемые в Грузии механизмы мониторинга бюджета и эффективность существующей системы, пробелы на законодательном и институциональном уровнях, а также проблемы, которые могут возникнуть в условиях игнорирования данных вопросов. Изучены изменения в данном направлении, последовавшие за реформой местного самоуправления, выбранные типы (модели) финансового контроля.

Слабый и не отлаженный механизм финансового контроля вызывает неэффективность расходования финансовых ресурсов, что, в свою очередь, обусловливает низкий уровень самостоятельности местного самоуправления. В работе предпринята попытка по мере возможности выявить проблемы, вызванные слабостью и неотлаженностью механизмов бюджетного и финансового контроля в органах местного самоуправления.

А проблема состоит в следующем: Грузией, как членом Совета Европы, ратифицирована Европейская хартия «О местном самоуправлении»; Грузия признает принципы хартии и приведении реформ опирается на международный опыт. Но у нас, во-первых, отсутствует четко сформированный механизм аудита; во-вторых, полный контроль (увеличенные полномочия) Палаты контроля при осуществлении эксклюзивных полномочий и финансирования противоречит принципам Европейской хартии. В рамках работы рассмотрена законодательная база по регулированию данной сферы в случае проведения аудита. Показано, что в законодательстве существуют пробелы, поскольку не расписан механизм обязательности, не установлена периодичность проведения аудита и пр.

Анализ периода со дня перехода Грузии на рыночную экономику вплоть до сегодняшнего дня со всей очевидностью свидетельствует о том, что укоренение и развитие аудиторской деятельности протекало односторонне, поверхностно, без надлежащим образом отлаженной и полноценной теоретико-методологической правовой базы.

Внедрение казначейской системы в бюджетный процесс обусловило необходимость использования новых подходов и методов проверки в процессе исполнения бюджета. Наличие совершенной казначейской системы позволяет искоренить нецелевое использование бюджетных средств. Исходя из этого, актуальна задача совершенствования государственного финансового контроля с тем, чтобы деятельность органов контроля была направлена не только на установление целевого использования бюджетных средств или законности их расходования, но и на изучение эффективности принимаемых властными структурами решений.

**Ключевые слова**: Местное самоуправление; международный опыт; бюджет единицы местного самоуправления; аудит; финансовый аудит; аудитор; государственный надзор; мониторинг бюджета; Палата контроля; правовая база; бюджетная система.

**Рецензент**: Профессор Нармaниа Давид Константинович, исполнительный директор Кавказского института экономических и социальных исследований.

# ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ეკა ცხადაძე, ბადრი ცხადაძე

## ჩინეთი და ჩინელები ქართულ ლინგვოკულტუროლოგიურ განასერში (არეალში)

ძირძველი კულტურის მქონე ჩინეთი (და ჩინელები) ყოველთვის გამოირჩეოდა და დიდ ინტერესს იწვევდა ეროვნული თავისებურებითა და თვითმყობადი ტრადიციებით. დღესაც ეს ქვეყანა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და ინოვაციური ძიებებით მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მისი მდიდარი და თვითმყობადი ისტორია, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, სოციალური წინააღმდეგობანი და ბობოქარი პოლიტიკური მოვლენები მსოფლიო საზოგადოებრიობაში ცხოველი ინტერესის აღმძვრელია. ღირსსაცნობია, რომ დღევანდელი მსოფლიოს სწრაფვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩინელთა სულიერი ცხოვრების თავისებურებათა შესაცნობად. საქართველოში, რამდენიმე წელია, ჩინური დიასპორა ფეხს იკიდებს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე, ეს არცაა გასაკვირი. აქედან გამომდინარე, დაისმის კითხვა: ჰქონდა თუ არა ამ ორ ძირძველ ქვეყანას (ჩინეთსა და საქართველოს) ისტორიულად კულტურულ-სახელმწიფოებრივი კონტაქტები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „ცალსახად“, როგორც იტყვიან, არ შეიძლება. ეს არცთუ ისე ადვილი კითხვაა. ფაქტების გაანალიზებისა მეცნიერული შესწავლის გარეშე ყოვლად შეუძლებელია რაიმეს გამოკვეთით თქმა. ზოგი მკვლევარი ამ საკითხით თუმცა სპეციალურად არ დაინტერესებულა, მაგრამ შორსმიმავალი დასკვნები მაინც გამოუტანია. სანიმუშოდ დავასახელებთ, ერთი შეხედვით, ადვილად შესამჩნევ „სარწმუნო“, მაგრამ კურიოზულ ტოპოფაქტს:

აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულად, ცნობილი იყო ციხე-ქალაქი და მხარე **ხუნანი.** ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „და არს საერისთო ხუნანისა: ...გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი“... [1]. როგორც ცნობილია, **ხუნანი** მრავლობითობის

უძველესი –**ნ** სუფიქსით ნაწარმოები ფორმა ჩანს. **ხუნა-ნ-ი** (ზედმიწევნით: **ხუნ-ებ-ი**) [2, 40, შენ. 1], შდრ. **ხუნევი** (სოფელი იმერეთში, ხარაგაულის რაიონში, მდ. ძირულას ხეობაში), სადაც ა. შანიძის აზრით, გამოიყოფა **-ევ** სუფიქსი. იგი –**ებ** მრავლობითობის გამომხატველი ბოლოსართის ვარიაციული ფორმაა [3, 761-768]. ეს **ხუნა** სახელური ძირი შემონახული გვაქვს ქართულ გვარსახელ **ხუნაშვილ**ში (<– ხუნას შვილი)“. ბ. ჯორბენაძის აზრით, გურიაში (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ჩიბათი) უბნის სახელწოდებად გვაქვს მიკროტოპონიმი **ჭიჭახუნა,** რომელიც იმავე ფუძეს შეიცავს, რაც „ხუნან“ ტოპონიმი. **ჭიჭახუნა**’სეული **ჭიჭა** (=ჭიჭე) მეგრული სიტყვაა („პატარას“ ნიშნავს) [2, 40, შენ. 1]. მისივე შენიშვნით, „ასეთი ისტორიისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სრული ანალოგების მქონე გეოგრაფიული სახელწოდება ზოგმა მოყვარულმა ტოპონიმისტმა დაუკავშირა ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციას, რომელსაც **ხუნან** ეწოდება და საკმაოდ შორსმიმავალი დასკვნაც გააკეთა ჩინელებისა და ქართველების უშუალო ისტორიული კონტაქტების შესახებ“. რა თქმა უნდა, მისივე თქმით, ამგვარ ვარაუდებს არც სინამდვილესთან და არც ჭეშმარიტ მეცნიერულ კვლევასთან საერთო არაფერი აქვს [2, 40, შენ. 1]. მართებული დასკვნაა. სპეციალისტს ჯერ საქართველოში **ხუნან, ხუნევ, ჭიჭახუნა** და მისთ. ტოპონიმთა შეჯერება (აგრეთვე გვარსახელ ***ხუნაშვილისა და საკუთარი სახელის ხუნა, ხუნაია*** (სამეგრელოში გვხვდება!) [4, 246]) და ეტიმოლოგიური ძიება უნდა ეწარმოებინა და შემდგომ ეფიქრა ჩინეთისაკენ „შორსმიმავალ დასკვნებზე“.

ცხადია, თუ ასეთ „ძიებებს“ გავყვებით, მაშინ არაერთ „ტოპოდამთხვევას“ დავძებნიდით ჩინეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთიობის თვალსაზრისით. მაგ., „ქართლის ცხოვრებაში“ (ქართლ. ცხ. I. გვ. 56) მოხსენიებული ადამიანის საკუთარი სახელი **ხუანხუა** ჩინეთის უდიდესი მდინარის „სეხნია“ სახელი აღმოჩნდებოდა (როგორც ცნობილია, ჩინური მითების თანახმად, ძველად ჩინეთში იყო ქაოსი, შემდეგ გაჩნდა ციური სული ***ცზიუჯლინი***. თავდაპირველად იგი მდინარის სული იყო. სწორედ მას უკავშირდება მითი ***მდინარე ხუანხეს*** წარმოშობის შესახებ [4, 35]: ხუანხეს ეღობებოდა კლდე ხუაშანი. **ცზიუჯლინმა** გააპო კლდე და მდინარეს

გზა მისცა) და ა. შ. და კიდევ ერთი: ქართველურ ანთროპონიმიაში საკუთარ სახელებად გვხვდება; **ჩინა** (შდრ. გვარსახელი ჩინაშვილი), **ჩინელი** (საქ. სიძვ. II. 339), **ჩინთხე** (ხიზაბავრა, ასპინძის რ.), **ჩინიგ** (თუშეთი, სოფლ ჯოყოლო, ახმეტის რ.), **ჩინო** (მეტსახელად!), **ჩინჩალა** (შდრ. გვარსახელი ჩინჩალაძე), **ჩინჩალაკა** (შდრ. გვარსახელი ჩინჩალაკაშვილი), **ჩინჩო**...[5, 225]. ან თუნდაც ისეთი სიტყვები და სახელდებები, როგორიცაა: **ჩიჩინი** (<– *ჩინჩინი), **ჩინი (ნიშნავს ღია ფერის მწვანეს ქართული ენის ქართლურ დიალექტში [6, 475])**, მამაკაცის საკუთარი სახელი **საჩინო** (ასევე ტოპონიმიც...), ვაზის ჯიშის სახელდება (და ღვინისაც აგრეთვე) **ჩინური** // **ჩინურა**. ნუთუ ეს ლექსემები მაინც არაა **ჩინეთ** სიტყვასთან მჭიდრო კავშირში?

**ჩინური** // **ჩინურა** საქართველოში ძალიან ცნობილი ვაზის ჯიშია. ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, „ჩინურის ზრდა საშუალოა, რქაც საშუალო სიგრძისა, წვრილი და მწვანე აქვს. ფოთოლი საშუალო სიდიდის, მორგვალო, ხუთყურიანია, მორგვალებით დაკბილული, ღია მწვანე ფერისა ჰმოსია. **მტევანი** გრძელი, ოდნავ წოწოლაა, მაგრამ ძალიან კუმსი არ არის. მარცვალი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო, თხელკანიანი, მომწვანო-ქარვის ფერი ასხია და **ძალიან წვენიანი და ტკბილია**. მისი **შაქრიანობა 20,2%, სიმჟავე კი 7,8% უდრის. ოქტომბრის დამდეგს მწიფდება. მეტად მოსავლიანი და ავადმყოფობისადმი გამძლე ყურძნის ჯიშია და საუკეთესო სადვინე ყურძნად ითვლება**. მეტადრე **ს. ატენში, ხიდისთავსა და მეჯვრისხევშია გავრცელებული**“ [7, 424] (გამუქება ანუ ხაზი ყველგან ავტორისაა). ამავე ნაშრომის 490-ე გვერდზე პატივცემული მეცნიერი ამ სიტყვის მეცნიერულ ახსნას გვთავაზობს: მისი თქმით, „**ჩინური’ს** სახელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიში, რა თქმა უნდა, სადაურობის აღმნიშვნელი არ უნდა იყოს და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნითგან, ჩინეთითგან, არ იქმნება მოტანილი. მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს. **ჩინი** ძველ ქართულში, საბას განმარტებით, „ზეთისხილის ფოთლის ფერი“-ს აღმნიშვნელია. ამ ახსნის სისწორე ლექსიკოგრაფს 2 სჯულის წიგნით აქვს დამოწმებული, მაგრამ თავისა და მუხლის დასახელება დაჰვიწყებია. ჩინური ამ ყურძნის ჯიშის სწორედ მარცვლების ფერის გამომხატველი უნდა

იყოს. **ჩინური** ისევეა ნაწარმოები, როგორც **მწითური** და ზეთისხილის ფოთლის ფერსა ჰნიშნავს"... [6, 490]. ჩინურის ქართულ წარმომავლობას იზიარებს ცნობილი ეთნოგრაფი ა. ლეკიაშვილი [8, 44]. ივ. ჯავახიშვილის ზემოთქმული რომ შევაჯამოთ და დავაზუსტოთ, საბოლოოდ ასეთ დასკვნას მივიღებთ: ჩინურ'ში –**ურ** წარმომავლობის გამომხატველი სუფიქსი კი არაა, არამედ ზედსართავი სახელის –**ურ** (ნიშან-თვისების აღმნიშვნელი) მაწარმოებილი: **ჩინური – ჩინის** („ზეთისხილის ფოთლის ფერის მსგავსი"). რაც შეეხება ***მწითურ*** სიტყვას, მართალია, სემანტიკურად მსგავსია, მაგრამ ლინგვისტურ-სიტყვაწარმოებით – განსხვავებული: თუ **ჩინურ** სიტყვაში –**ურ** სუფიქსია, **მწითურ** ლექსემაში **მ- – -ურ** ცირკუმფიქსია (თავსართ-ბოლოსართოვანი წარმოებაა!). რაც შეეხება სულხან-საბასეულ **ჩინ** სიტყვის დამოწმებას ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში"[მასალებში] ეს სიტყვა (**ჩინი**) არ ჩანს [9], [10].

სულხან საბას „სიტყვის კონაში" **ჩინ** სიტყვა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული (სავსებით სამართლიანად), ცალკეა გატანილი. ავტორის განმარტებით, **ჩინი** ფრინველია, სხვათა ენაა, ქართულად აკაური „ჰქვიან კარაპსა"[11, 319]. ჩვენი აზრით, **ჩინ** ძირი, რომლისგანაც ნაწარმოები ***ჩინურ*** ლექსემა (ვაზის ჯიშის მნიშვნელობით) უშუალო კავშირშია **ჩინ, თვალის ჩინ**, **ჩინებულ**, **საჩინო** სიტყვებთან, რომლებიც წარმოშობით ნაზმნარი სახელია და მომდინარეობს აბლაუტური გზით მიღებული ზმნის ფუძისაგან: ***აჩენს– აჩინა –ჩინი, ჩინება'საგან. ეს ისეთივე პროცესია, როგორც: ალხენს – ალხინა – ლხინი; ალენს – ავლინა – ვლინება; უსტვენს – უსტვინა – სტვინი //სტვირი, უგუმერს – უგუმირა – უგმირა, გმირი...*** [12,195-196] [13,127-29], [14, 17-24].

და კიდევ ერთი „სომხური" ფაქტის შესახებ. ვახტანგ გორგასლის ეპოქის, V საუკუნის მეორე ნახევარში, ქვემო ქართლის (გუგარენის) მმართველის, ვარსქენ პიტიახშის მეუღლე წმიდა შუშანიკ დედოფალი და მისი წინაპარნი მამიკონიანთა გვარიდან იყვნენ. ისინი სომხეთში უწარჩინებულეს გვარს ეკუთვნოდნენ, მემკვიდრეობით სპასპეტები (მხედართმთავრები) იყვნენ. სომეხი

ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობით, მამიკონიანები **ჭენთა** (ჩინეთის) მეფეების შთამამოვლები არიან, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, **ჭენ** აქ **ჭანს** ეთნონიმს უდრის (ერთ-ერთი ქართველური ტომი), **ჭენ** ანუ **ჩინეთი** არაფერ შუაშია [15, 55-56-59]. სპეციალურ ლიტერატურაშიც სწორედ ეს უკანასკნელი ახსნაა მიღებული და გაზიარებილი [16,18].

**შენიშვნა 1**: **ოჩინეთი** ტოპონიმია გურიაში: ***ოჩინეთი*** „ადგილი (საძოვარი) სოფელ გოგოლესუბანში და ქართულ ***საჩინო, ჩინურ*** ლექსემების ფუძის იდენტურია. ეს ტოპონიმი წარმოშობით ქართველურია, წარმოებით – ჰიბრიდული (**ო-** თავსართი ზანურია, **-ეთ** – ქართული) [17, 215], [18, 162-163]. **ჩინ, ჩინეთ** ლექსემათა არსებობა დადასტურდა ჩვენ მიერ მოძიებულ XII საუკუნის ორ ქართულ წერილობითი ძეგლში „**CineT~** da **`CinTa queyanaÁ**“ს- სახით.. პირველი მათგანი „ვისრამიანში“, მეორე – აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ ასტროლოგიურ თხზულებაში „ეტლთა და შდდთა მნათობთათდს“: <u>CineTs</u> qvazeda sweria (visr. 346,6), Sdr. qalaqTagan eTiopiaj da hindoeTi da sindeTi, da <u>CinTa queyana¡</u> (etlTa. 30, 16-17). საქართველოს „ოქროს ხანად“ წოდებულ საერო მწერლობის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ძეგლში, შოთა რუსთველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ სინონიმური ნაირსახეობით რამდენიმეგზისაა ნახმარი **ჩინი** =ჩინელი, ჩინური (ეთნონიმი) მნიშვნელობით: პოემაში ვკითხულობთ:

**„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:**
**„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია**“ (სტროფი 863).

ამ ტაეპში „ჩინს ქვასა ზედა“ სწორედ „ჩინეთის კედელს“ გულისხმობს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის განმმარტებელნი ამ ადგილს სავსებით სამართლიანად „ჩინეთად“ განმარტავენ [19]. დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში **ხატაეთ**ად ანუ ***ჩინ***, ***ჩინეთ***ად დასახელებულია აგრეთვე **ჩინმაჩინ**'იც [20, 1578], [21, 431]. მართლაც, **ჩინმაჩინი**, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეული) მიხედვით ჩინეთს ეწოდებოდა. საილუსტრაციოდ დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ნაწერები: „აგრე იცის მაგ ჯოხმა, არ უნდა ჩიჩინიო! ვერ გაუძლებს ჩხუბში, გინდ მოსდგეს ჩინ-მაჩინიო“ (აკაკი); „წაკიდა იგი კაცი ჩინ-მაჩინს“ (საბა) [21, 507]. შდრ. ***უჩინმაჩინი*** (=უჩინარი).

პოემა „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედ პირებად არაერთხელ იხენიებიან და გვევლინებიან ხატაელები, ხატაეთის მეფე (მეფე რამაზი), ხატაელი ძმანი. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის (ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი) მიხედვით, ფუძე **ხატა** პოემის ტექსტში ასეა წარმოდგენილი: **ხატა** (=ხატაელი): **ხატათ** 1594,3; **ხატაეთს** 199,4; 377,3; 387,1; 400,1; 420,3; 459,1; **ხატაეთის** 421,2; **ხატაეთისა** 465,1; **ხატაეთით** 464,1; **ხატაელი** 467,4; **ხატაელმან** 472,2; **ხატაელსა** 469,4; **ხატაელნი** 997,2; **ხატაელთა** (მოთხრ.) 463,2; **ხატაელთა** (მიც.) 379,2; 414,1; 415,4; 440,4; **ხატაელთასა** 479,1; **ხატაური** 417,2; **ხატაურსა** 730,2 [22, 158].

**ხატაეთი**, ერთი შეხედვით, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს, შესაძლოა პოეტის მიერ გამოგონილ-შეთხზულ ქვეყნად, ქვეყნის სახელად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში, ძველადვე, **ხატაეთი** იგივე ჩინეთი იყო, უკეთ, ამჟამინდელი ჩინეთის ერთ-ერთი პროვინცია, ისტორიული სახანო ჩრდილო ჩინეთში.

აღსანიშნავია, რომ თვით **ხატა** ფუძიდან უნდა იყოს ქართულ ენაში დაკვიდრებული სიტყვა **ხატაური** (ძვ. ხატაეთისა, ჩრდილოეთ ჩინეთისა; ჩინური (ქსოვილი...). **ხატულა, ხატაურა** (შდრ. იმერ. **ხატაველი**) [23, 1354].

**შენიშვნა 2: ხატაელ, ხატაეთ** სიტყვების სახელურ ძირთან არაფერი აქვს საერთო ძველ ქართულშივე დამკვიდრებულ არაბულ სიტყვას **ხატ**ს (არაბ. **xätt** „ხაზი“, „ნაწერი“). იგი უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებშია დაფიქსირებული („შუშანიკის წამება“ და სხვ...). როგორც ჩანს, ეს სიტყვა ძველ ქართულ ენაში არაბების მიერ საქართველოს დაპყრობა-ბატონობამდეა (XVII-XXI) შემოსული და დამკვიდრებული.

**შენიშვნა 3.** გილიომ რუბრუკვისის „მოგზაურობაში“ ჩრდილოეთ ჩინეთი, როგორც პროვინცია, **შავ ხატაეთად** იწოდება [24, 52], პლანო კარპინის „მონღოლების ისტორიაში“ კი ჩრდილო ჩინეთიდან გამოსულ ლტოლვილთაგან დაარსებული სახელმწიფო „**შავ ჩინეთად**“ მოიხსენიება, ხოლო ამავე სახელმწიფოს მოსახლეობა „**შავ ჩინელებად**“ [25, 21., 37]. როგორც ფიქრობენ, ეს ტერმინები „ჩრდილოეთ ჩინეთს“ და „ჩრდილოეთის ჩინელებს“ უნდა ნიშნავდეს [26, 114-115]. ქართულ სინამდვილეში **ჩინეთის** ასეთი დეფინიცია არ გვაქვს – ჩვენთან მხოლოდ **ხატაეთი**

იხმარება **ჩინეთის** ( // ჩინეთის ჩრდილო პროვინციის) მნიშვნელობით.

დაისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც რუსთველის პოემით და ამ ეპოქიდან გავეცანით ქართველები ჩინეთსა და ჩინურ კულტურას? რას მიგვანიშნებს ყოველივე ეს?

ჩვენი აზრით, ჩინეთის გაცნობა ძველ საქართველოს მოუხდა არა უშუალოდ ჩინეთთან თანამშრომლობითა და ურთიერთობით, არამედ გაშუალებული გზით. (რაშიც დიდი წვლილი ვაჭრობას მიუძღვოდა – ჩინური ნაწარმი-ნაკეთობებით) აბრეშუმის გზა (გასაყარი) ჩინეთსა და საქართველოს შორის „შუამავლად" სპარსეთი მოგვევლინა, „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით ხორეზმი. ამის შესახებ სპეციალურად მსჯელობს აკად. შ. ნუცუბიძე [27, 298-300]. როგორც ცნობილია, ეს ის ეპოქაა (XII-XIII სს), როცა სპარსული კულტურის ცენტრმა ბუხარიდან (შუა აზია) შირვანში (აზერბაიჯანი, კავკასია) გადაინაცვლა. ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის ეპოქა, კულტურული პროცესების თვალსაზრისით, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, ირანისტის, პროფ. ნომადი ბართაიას თქმით, ასე წარმოიდგინება:




სწორედ ასეთმა კულტურულმა სიახლოვემ წარმოშვა შესანიშნავი სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტები **ხაკანი შირვანელი,** ***შეიხ ნიზამ-ად-დინ აბუ მუჰამედ ილიას იბნ იუსუფ ზაქი,*** რომელსაც მკითხველი **ნიზამით** იცნობს და სხვ. შირვანთან (სპარსეთ-აზერბაიჯანთან) საქართველოს – ქუთაის-თბილისის (მაშინდელი ეპოქის დედაქალაქები)

კულტურულმა სიახლოვემ და ძველ ტრადიციებთან შერწყმით შექმნა ეს შესანიშნავი ეპოქა, რომელიც საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანადაა სახელდებული.

ამრიგად, ქართველი საზოგადოებისათვის აღმოსავლური კულტურისა და, კერძოდ, იმდროინდელი, რვა საუკუნის წინანდელი ჩინეთის კულტურულ-სახელმწიფოებრივი მიღწევების გაცნობა (საფიქრებელია მანამდეც...), ქართულ-კავკასიურ თვალსაწიერში მოხვედრა-გააზრება, სწორედ მაშინდელი ხორეზმის (იხ. ამის შესახებ [28] ანუ ირანის (სპარსეთის) გზით უნდა მომხდარიყო.

**შენიშვნა 4.** ჩინურ კულტურაში რენესანსის ეპოქის დადგომას IV-V საუკუნეებზე ადრეც კი მიიჩნევენ [29, 176. შენ. 1]. ღირსსაცნობია, რომ ნ. კონრადი ქართველების (ისე როგორც სომხების) რენესანსს განიხილავს ერანთან და შუა აზიასთან კავშირში [30, 241]. გამორიცხული არაა, რომ ჩვენს წინაპრებს უფრო ადრეც, წინარექრისტიანულ ხანაში შუა აზიასთან, ირანთან და ჩინეთთან უფრო მეტი და მჭიდრო კულტურული კონტაქტი ჰქონოდათ...

**შენიშვნა 5.** და მაინც ბოლომდე არ ვიქნებით გულწრფელი და მართალი, თუ ამ ეპოქის შემდეგდროინდელ ხანასაც არ შევეხებით. მხედველობაში გვაქვს მონღოლების მიერ საქართველოში ბატონობის პერიოდი. სწორედ ამ დროს, XIV საუკუნის უსახელო ისტორიკოსის ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში" [31] ***ჩინეთი***, ***ჩინმაჩინი*** და ***ხატაეთი*** გვერდიგვერდ იხმარება. მაგ., „ხოლო იქმნა რა ყაენად და მივიდა რა ***ხატაეთს***, და სევიდა რა ხილვად ეკლესიისა, იხილა ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, და მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „ „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩ***ინეთისასა*** ვიხილე" (29, 48); „მერმე ებრძოლა ***ხატაეთის*** ჩძელმწიფესა არსლან-ხანსა" (იქვე); „...ესე ოთხნი განაჩინა ***ხატაეთს*** მყოფმან" (29, 29); „იყო... ***ხატაეთი, ჩინმაჩინი*** და ყოველი აღმოსავლეთი" (29, 58); „მესამესა შვილსა ოქოთასა მისცა თDთ მისი ტახტი საჯდომად და ყარაყურუმი, ***ჩინ-მაჩინი***, ემელისა და ყუბაყისა ქუეყანა, ***ხატაეთი***" (29, 65); „ესე წარავლინა... ყოველსა საბრძანებელსა აღმოსავლით ვიდრე ***ჩინეთამდე*** და ***ხატაეთამდე***" (29, 116); როგორც ცნობილია, რომ **ჩინი** ცენტრალურ ჩინეთს ნიშნავდა, **მაჩინი** (მანზი) სამხრეთ ჩინეთს. სპარსულ-არაბულ წყაროებში **ჩინი** და **მაჩინი**

ჩრდილოეთ ჩინეთს, ანუ **ხათაის** აღსანიშნავად იხმარებოდა. ჟამთააღმწერლისეული შესაბამისი კონტექსტებიდან ჩანს, რომ ავტორი **ჩინ-მაჩინში** საკუთრივ მონღოლეთის ტერიტორიას გულისხმობს. ამრიგად, ამ სახელდებათაგან საკუთრივ **ჩინისა** და **ხათაის** პროვინციები გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ქართული **–ეთ** სუფიქსითაა გაფორმებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენს წინაპრებს საკმაო წარმოდგენა ჰქონიათ აზიის ამ ძირძველი და უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნის შესახებ.

**ლიტერატურა:**
**References**


1. **batoniSvili vaxuSti**, aRwera samefosa saqarTvelosa, s. yauxcisvilis redaqciiT, 1. Tb., 1955 (Georgian)
2. **jorbenaZe b**., ena da kultura, g. gogolaSvilis redaqciiT. Tb., 1997 (Georgian)
3. **SaniZe a., -ev** kilos kvali saqarTvelos geografiul saxelebSi, saqarTvelos ssr mecnierebaTa akademiis moambe. t. 2. #8, 1941 (Georgian)
4. **iuan ke**, mifi drevnego kitaia, moskva., 1965 (Russian)
5. **Rlonti al**. qarTveluri sakuTari saxelebi (anTroponimTa leqsikoni), meore Sevsebuli gamocema. Tb., 1986 (Georgian)
6. qarTluri dialeqtis leqsikoni (masalebi). Seadgines **T. berozaSvilma, m. mesxiSvilma, l. nozaZem. m. WabaSvili**s redaqciiT, Tb., 1981. (Georgian)
7. **javaxiSvili iv.** saqarTvelos ekonomiuri istoria. wigni meore (meore, axlad dawerili gamocema suraTebiT), tfilisi, 1934 (Georgian)
8. **lekiaSvili a.,** `Sen xar venaxi~. Tb., 1972 (Georgian)
**9. abulaZe i**., Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1973 (Georgian)
10. **sarjvelaZe z.,** Zveli qarTuli enis leqsikoni (masalebi), Tb., 1995 (Georgian)
11. **orbeliani s. s**., leqsikoni qarTuli. Txzulebani, t. IV. avtografuli nusxebis mixedviT gamosacemad moamzada i. abulaZem, Tb., 1966 (Georgian)
12. **cxadaZe b.,** aoristisa da nazmnari saxelis urTierTmimarTebisaTvis Zvel qarTulSi. smam. 124, #1, 1986 (Georgian)
13.**cxadaZe b.,** kimeriel da gmir leqsemaTa warmomavloba-urTierTmimarTebisaTvis. Jurn. kavkasiis macne, #6, Tb., 2002 (Georgian)

14. **cxadaZe b**., **kimeriel, gmir, qim, qimera** leqsemebis urTierTmimarTebisaTvis. istoriul-eTnografiuli Studiebi, VIII. Tb., 2004 (Georgian)

15. **janaSia n.,** `SuSanikis wameba~. I. (istoriul-wyaroTmcodneobiTi gamokvleva), Tb., 1980 (Georgian)

16. **cxadaZe b**., testebi _ iakob xucesis `Susanikis wameba~ (damoukidebeli unar-Cvevebis gamomusavebisaTvis qarTul literturaSi), nakveTi pirveli, Tb., 2005 (Georgian)

17. **cxadaZe b**., kolxuris anu megrul-Wanuris erTi plasti dasavleT saqarTvelos (guria-aWaris) toponimiaSi. dabeWd. guria. mxaris kvleva-Ziebis Sedegebi, II. Tb., 1977 (Georgian)

18. **cxadaZe b., o- _ -eT** cirkumfiqsiani **ozurgeT, omfareT** tipis toponimebi Zveli kolxeTis (guria-aWaris, qvemo imereTis teritoriaze). dabeWd. guria. mxaris kvleva-Ziebis Sedgebi. v. sadraZis redaqciiT. III. Tb., 2001 (Georgian)

19. **rusTaveli SoTa.,** vefxistyaosani, mesame saskolo gamocema. teqsti gamosacemad moamzada, Sesavali, ganmartebani, komentari da bolosityva daurTo **n. naTaZem**, **al. WinWaraulis** redaqciiT, Tb., 1986 (Georgian)

20. **CubinaSvili d**., qarTul-rusuli leqsikoni. meore gamocema, aRdgenili ofsetis wesiT. sastambod moamzada da winasityvaoba daurTo **a. SaniZem**, Tb., 1984 (Georgian)

21. **CubinaSvili n.**, qarTuli leqsikoni rusuli TargmaniTurT. **al. Rlontis** redaqciiTa da gamokvleviT, Tb., 1961

22. `vefxistyaosnis~ simfonia (fuZeTa da sityva-formaTa indeqsi), Tb., 1973 (Georgian)

23. qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni (rvatomeuli), **arn. Ciqobavas** saerTo redaqciiT. Tb., 1950-1964 (Georgian)

24. **rubrukvisi g**., mogzauroba aRmosavleTis qveynebSi. g. qiqoZis redaqciiT. ix. masalebi saqarTvelosa da kavkasiis istoriisaTvis, nakv. V, Tb., 1942 (Georgian)

25. **karpini p**. istoria monRolebisa, romelTac Cven TaTrebs vuwodebT. ix. masalebi saqarTvelosa da kavkasiis istoriisaTvis, nakv. II, Tb., 1942 (Georgian)

26. **iToniSvili v.,** aRmosavleT saqarTvelos mTianeTis istoriidan. g. gasitaSvilis redaqciiT. Tb., 1992 (Georgian)

27. **nucubidze s.,** tvorcecstvo rustaveli., tb., 1958 (Russian)

28. **tolstov., c. p.** drevnii xorezm. opit istoriko-apxeologiceskogo issledovania. moskva, 1948 (Russian)

29. **yoranaSvili g.,** saqarTvelos istoriis sakiTxebi. nawili I, tb., 1994 (Georgian)

30. **konrad n. i.,** zapad I vostok., m., 1972 (Russian)
31. JamTaaRmwereli, aswlovani matiane. teqsti gamosacemad moamzada, gamokvleva, SeniSvnebi da leqsikoni daurTo r. kiknaZem, z. sarjvelaZis redaqciiT. Tb., 1987

**Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze**
**China and the Chinese in the Georgian lingvoculturological area**

### S u m m a r y

China (and Chinese) with its ancient culture always stood out and expressed great interest for its national peculiarities and original traditions. Even today this country is in the centre of attention of the whole world thanks to introduction of new technologies and innovational investigations. Its rich and original history, contemporary scientific and technical revolution, social contradictions and impetuous political events are incentives of great interest in the world community. It is noteworthy that aspiration of modern society is especially important for perception of peculiarities of Chinese' spiritual life. This is at least several years since Chinese Diaspora takes roots in Georgia. It is not strange at all in the conditions of modern globalization, against the background of global cataclysms. Proceeding from this fact one question arises: were or not historically any cultural and state contacts between our countries?

Though existence of lexems **Chineti** (China) and **Chineli** (Chinese) in the ancient Georgian monuments of written literature is not confirmed, but in the one of the most meaningful monuments of national written literature of so-called "Georgian Golden era", in the immortal creature of Shota Rustaveli "The Knight in the Panther's Skin" the word **chini = c**hineli (Chinese) is used several times as synonymous variety, with its Chinese meaning (ethnicon).

We read in the poem:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (სტროფი 863).

“” (strophe 683)

In this strophe "Chinese wall" is the one which is implied under "chins kvasa zeda".

In the David and Niko Chubinashvili dictionary the word chinmachini is used in the capacity of **Khataeti** (country of Khataians), or else **Chin, Chineti** (China).

Actually China, according to defining dictionary of Georgian language (eight volumes) has been called **Chinmachini**. Compare with **uchinmachini** (imperceptible, invisible).

In “The Knight in the Panther’s Skin” **Khataians**, Tsar of Khataeti (Tsar Ramaz), brothers-Khataians are repeatedly mentioned and appeared as the personages. **Khataeti,** in old time **Khataeti** was the same as China was, moreover it is one of the provinces of modern China, and historical khanate in the Northern China.

It is necessary to note that proceeding from the base **Khata** the word **Khatauri** (anc. from Khataeti, from Northern China; Chinese (about fabric…), as well as **Khatula, Khataura** (comp. Imeretian **Khataveli)** took roots in the Georgian language.

**Note:** Arabian word **Khat** has nothing common with the nominal stem of words **Khataeli, Khataeti** (Arab. **xätt** “line”, “written”)**,** which is also took roots in the ancient Georgian language. The question arises: why Georgians became acquainted with China and Chinese culture only thanks to Rustaveli poem and beginning with this epoch? What does it all mean?

In our opinion, acquaintance of ancient Georgia with China has occurred not directly because of collaboration and relationships with this country, but by mediate way. In this case our old neighbour Persia, with its rich culture, or in other words Khoresm (according to “The Knight in the Panther’s Skin”) should be the “mediator”.

As is known, it is the epoch (XII-XII centuries), when the centre of Persian culture shifted from Bukhoro (Middle Asia) to Shirvan (Azerbaijan, Caucasus). The epoch of Nezāmi-ye Ganjavi and Shota Rustaveli, according to famous orientalist, Iranist prof. Nomadi Bartaya is represented like this.



**Keywords:** the Georgian lingvoculturological area, national peculiarities and original traditions, Chinese Diaspora, modern globalization, historically-cultural and state contacts, the ancient Georgian monuments of written literature, Shota Rustaveli “The Knight in the Panther’, David and Niko Chubinashvili, **Khataeti** (country of Khataians), **Chin, Chineti** (China). word chinmachini, Arabian word **Khat,** Georgian language, old Persia, Khoresm, Bukhoro (Middle Asia) , Shirvan (Azerbaijan, Caucasus). Nezāmi-ye Ganjavi, Iranist prof. Nomadi Bartaya.

**Reviewer:** Professor Givi Inanisvili, Georgian Technical University

**Цхададзе Ека Гурамовна, Цхададзе Бадри Андреевич**

**Китай и китайцы в грузинском лингвокультурологическом ареале**

**Резюме**

Китай (и китайцы) с его древнейшей культурой всегда выделялся и вызывал огромный интерес своими национальными особенностями и самобытными традициями. И сегодня эта страна за счет внедрения новых технологий и инновационных изысканий находится в центре внимания всего мира. Ее богатая и самобытная история, современная научно-техническая революция, социальные противоречия и бурные политические события являются побудителями живого интереса в мировом сообществе. Достойно внимания то, что устремление современного общества особенно важно для познания особенностей духовной жизни китайцев. Вот уже несколько лет как китайская диаспора пускает корни в Грузии. Это вовсе неудивительно в условиях современной глобализации, на фоне мировых катаклизмов. Исходя из этого, возникает вопрос: были или нет у наших двух стран исторически какие-либо культурно-государственные контакты?

Хотя существование лексем **Чинети** (Китай) и **Чинели** (китаец) в древних грузинских памятниках письменности не подтверждается, однако в одном из самых значительных памятников народной письменности т.н. «Золотой эпохи» Грузии, в бессмертном творении Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» несколько раз в качестве синонимической разновидности используется **чини** = чинели, с китайским его значением (этноним). В поэме мы читаем:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (სტროფი 863).

«Есть в Китае некий камень с мудрой надписью такою:

«Кто друзей себе не ищет, тот враждует сам с собою» (Строфа 863).

В этой строфе под «чинс кваса зеда» подразумевается именно «китайская стена».

В словаре Давида и Нико Чубинашвили в качестве **Хатаэти** (страна хатайцев), т.е. **Чин**, **Чинети** названо также слово **чинмачини**. И действительно, Китай, согласно толковому словарю грузинского языка (восьмитомник), называли **Чинмачини**. Ср. **учинмачини** (незаметный, невидимый).

В «Витязе в тигровой шкуре» в качестве действующих лиц неоднократно упоминаются и появляются **Хатайцы,** царь Хатаэти (царь Рамаз), братья-хатайцы. **Хатаэти**, в древности **Хатаэти** было тоже самое, что и Китай, более того, это одна из провинций современного Китая, историческое ханство в Северном Китае.

Необходимо отметить, что исходя из самого корня **Хата** в грузинском языке укорененилось слово **Хатаури** (др. из Хатаэти, из северного Китая; китайский (о ткани...). **Хатула, Хатаура** (ср. имер. **Хатавели**).

**Примечание**: с именной основой слов **Хатаэли, Хатаэти** ничего общего не имеет арабское слово **Хат (**араб. **xätt** «линия», «написанное»), также укоренившееся в древнегрузинском**.** Возникает вопрос: почему все же именно благодаря поэме Руставели и начиная с этой эпохи грузины познакомились с Китаем и китайской культурой? На что указывает все это?

По нашему мнению, знакомство древней Грузии с Китаем произошло не непосредственно за счет сотрудничества и отношений с этой страной, а опосредствованным путем. «Посредником» же в этом случае должен был стать наш древний сосед Персия, с его богатой культурой, или Хорезм согласно «Витязю в тигровой шкуре».

Как известно, это та эпоха (XII-XIII вв.), когда центр персидской культуры переместился из Бухары (Средняя Азия) в Ширван (Азербайджан, Кавказ). Эпоха Низами Гянджеви и Шота Руставели, по словам известного востоковеда, ираниста проф. Номади Бартаиа представляется в таком виде.




**Ключевые слова:** грузинский лингвокультурологический ареал**,** древнейшая культура Китай (и китайцы), современная научно-техническая революция, китайская диаспора, современная глобализация, исторические и культурно-государственные контакты, **Чинети** (Китай) и **Чинели** (китаец) в древних грузинских памятниках письменности, Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», **Хатайцы,** царь Хатаэти (царь Рамаз), братья-хатайцы, **Хатаэти**, современный Китай, Северный Китай, Бухара (Средняя Азия) , Ширван (Азербайджан), Кавказ, Эпоха Низами Гянджеви и Шота Руставели, иранист проф. Номади Бартаиа.

**Рецензент:** Профессор Инанишвили Гиви Вахтангович, Грузинский технический университет

## CONTENTS

### THEORY

**Maya Amirgulashvili**
Cultural Basis of the Georgian Nationalism in the Aspect of the Modern Theory------------------------------------------------------------------4

**Tengiz Grigolia**
Anti-Globalization movement basic course----------------------------13

**Lia Nebieridze**
Structures and Functions of the State Governance--------------------22

**Otar Kochoradze**
Management of Human Resources in Japan
(The conceptual scheme) ----------------------------------------------38

### HISTORY

**Tamaz Nutcubidze**
Georgia on the Crossroads of the Old Totalitarian and the New Democratic Worlds ----------------------------------------------------59

### PRACTICE

**Sulkhan Tsulukidze**
N.L.P (Neiro-linguistic-Program) Science about Communication----66

### ECONOMICS

**Shalva (Lasha) Gogidze**

The EU's ambivalent pipeline politics
(Nabucco: a "win-set" or a sticking point?)-----------82

**Salome Chkhikvadze**
Problems in local self-government caused by incontrollable mechanisms of budget monitoring and financial control---------------------------92

### SOCIETY

**Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze**
China and the Chinese in the Georgian lingvoculturological Area---103

# СОДЕРЖАНИЕ

## ТЕОРИЯ

**Амиргулашвили Майя Ушангиевна**
Культурные основы Грузинского национализма в разрезе теории модернизма------------ ---------------------------------------------------4

**Григолия Теигиз Бондоевич**
Антиглобалистское движение и его особенности-------------------13

**Небиеридзе Лия Геннадиевна**
Структуры и функции государственного правления----------------22

**Кочорадзе Отар Георгиевич**
Управление человеческими ресурсами в Японии
(Концептуальная схема) ----------------------------------------------38

## ИСТОРИЯ

**Нуцубидзе Тамаз Шалвович**
Грузия - на перекрёстке старого тоталитарного и нового демократического мира ----------------------------------------------59

## ПРАКТИКА

**Цулукидзе Сулхан Ростомович**
N.L.P (Неиро-лингвистическое программирование)
Наука о коммуникации-----------------------------------------------66

## ЭКОНОМИКА

**Гогидзе Шалва (Лаша) Темурович**
Двойственная политика трубопровода ЕС («Набуко»: «набор победы» или точка преткновения?)-----------------------------------82

**Чхиквадзе Саломэ Шалвовна**

Проблемы в местном самоуправлении, вызванные неотлажнностью механизмов мониторинга бюджета и финансового контроля-----92

## ОБЩЕСТВО

**Цхададзе Ека Гурамовна, Цхададзе Бадри Андреевич**
Китай и китайцы в грузинском лингвокультурологическом ареале------------------------------------------------------------------103

# ავტორები

| | |
|---|---|
| მაია ამირგულაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| თენგიზ გრიგოლია | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| თამაზ ნუცუბიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| ლია ნებიერიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| ოთარ ქოჩორაძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| ბადრი ცხადაძე | შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი |
| ეკა ცხადაძე | შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი |
| სულხან წულუკიძე | შ.პ.ს ტელე იმედის ანონსებისა და პრომოუშენის განყოფილების ანონსების რედაქტორი, პოლიტოლოგ-ჟურნალისტი |
| სალომე ჩხიკვაძე | ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მმართველობის სკოლის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი |
| შალვა (ლაშა) გოგიძე | ევროპის კოლეჯის მაგისტრანტი, ევროკავშირის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის დეპარტამენტი |

# Authors


| | |
|---|---|
| **Maia Amirgulashvili** | Professor of Georgian Technical University |
| **Tengiz Grigolia** | Professor of Georgian Technical University |
| **Tamaz Nucubidze** | Professor of Georgian Technical University |
| **Lia Nebieridze** | Doctoral Candidate of Georgian Technical University |
| **Otar Kochoradze** | Professor of Georgian Technical University |
| **Badri Tskhadadze** | Professor of Shota Rustaveli University of Theatre and Cinema |
| **Eka Tskhadadze** | Professor of Shota Rustaveli University of Theatre and Cinema |
| **Sulkhan Tsulukidze** | The journalist-political scientist, the editor of a department of announcements and promotion "TeleImedi" |
| **Salome Chkhikvadze** | Master of MA program of Local Self-Government of the State Management School of Georgian Zurab Zhvania Institute of Social Affairs |
| **Shalva (Lasha) Gogidze** | Student of the College of Europe, Department of EU International Relations and Diplomacy |

## Авторы

| | |
|---|---|
| **Амиргулашвили М.У.** | Профессор Грузинского технического университета |
| **Григолиа Т.Б.** | Профессор Грузинского технического университета |
| **Нуцубидзе Т.Ш.** | Профессор Грузинского технического университета |
| **Небиеридзе Л.Г** | Докторант Грузинского технического университета |
| **Кочорадзе О.Г.** | Профессор Грузинского технического университета |
| **Цхададзе Б.А.** | Профессор университета театра и кино им. Шота Руставели |
| **Цхададзе Е.Г.** | Профессор университета театра и кино им. Шота Руставели |
| **Цулукидзе С. Р.** | Журналист-политолог, редактор отдела анонсов и промоушен «ТелеИмеди» |
| **Чхиквадзе С.Ш.** | Магистрант магистерской программы Школы государственного управления Института общественных дел Грузии им. Зураба Жвания |
| **Гогидзе Шалва (Лаша) Темурович** | Магистрант Европейскиого Колледжа Дераптамента Международных Отношений и Дипломатии |

ჟურნალის რედკოლეგია

**რუდიგერ ანდრესენი -** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

**ნანა ავალიანი -** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**მეუფე აბრაამი (გარმელია)** დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი

**ევგენი ბარათაშვილი -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**გიორგი ბაღათურია -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ოთარ ბაღათურია -** პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ვახტანგ გურული -** ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**შოთა დოლონაძე -** მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი

**ჰარალდ ვერტცი -** სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში.

**გენადი იაშვილი -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**სერგო ლომინაძე -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**როინ მეტრეველი -** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ქეთი ქოქრაშვილი -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

**ოთარ ქოჩორაძე -** მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**რუსუდან ქუთათელაძე -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი

**მაია ჩხეიძე -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უცხო ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**ია ხუბაშვილი -** ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## EDITORIAL BOARD

| | |
|---|---|
| **RUDIGER ANDRESEN** | – Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University |
| **NANA AVALIANI** | – Ambassador at large MFA of Georgia, PhD of History |
| His Eminence **ABRAHAM (GARMELIA)** | – Metropolitan of Western Europe |
| **EVGENI BARATASHVILI** | – Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Managemnt |
| **GIORGI BAGATURIA** | – Professor of Georgian Technical University |
| **OTAR BAGATURIA** | – Responsible Editor, Doctoral Candidate of Georgian Technical University |
| **MAIA CHKHEIDZE** | - Professor of Georgian Technical University , Head of the Department of Foreign Languages and Communication |
| **SHOTA DOGONADZE** | - Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Admimstration Department |
| **VAKHTANG GURULI** | - Professor of Ivane .Javakhishvili Tbilisi State University |
| **GENADI IASHVILI** | - Professor of Georgian Technical University |
| **IA KHUBASHVILI** | - Professor of Ivane .Javakhishvili Tbilisi State University |
| **KETI KOKRASHVILI** | - Professor of Georgian Technical University, Head of the Administration |
| **OTAR KOCHORADZE** | - Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University |
| **RUSUDAN KUTATELADZE** | - Professor of Georgian Technical University, Dean of Humanitarian-Social faculty |
| **SERGO LOMINADZE** | - Professor of Georgian Technical University |
| **ROIN METREVELI** | - Academy of Science of Georgia, Academician |
| **HARALD WERTZ** | - Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8" |

## РЕДКОЛЛЕГИЯ


| | |
|---|---|
| **НАНА АВАЛИАНИ** | - Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук |
| **Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)** | -Митрополит Западной Европы |
| **РУДИГЕР АНДРЕСЕН** | - профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета |
| **ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ** | - профессор Грузинского технического университета |
| **ОТАР БАГАТУРИЯ** | - ответственный секретарь, докторант Грузинского технического университета |
| **ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ** | - профессор Грузинского технического университета, руководитель департаменгта экономики и управления бизнесом |
| **ХАРАЛЬД ВЕРТЦ** | - профессор информатики Сорбонского университетета «Пари-8» |
| **ВАХТАНГ ГУРУЛИ** | - профессор Тбилисского государственного унивесритета им. Ив.Джавахишвили |
| **ШОТА ДОГОНАДЗЕ** | - главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления |
| **КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ** | - профессор Грузинского технического университета, глава администрации университета |
| **ОТАР КОЧОРАДЗЕ** | - заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета |
| **РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ** | - профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета |
| **СЕРГО ЛОМИНАДЗЕ** | - профессор Грузинского технического университета |
| **РОИН МЕТРЕВЕЛИ** | - академик АН Грузии |
| **МАЙА ЧХЕИДЗЕ** | - профессор Грузинского технического университета, руководитель департамента иностранных языков и коммуникации |
| **ИЯ ХУБАШВИЛИ** | - профессор Тбилисского государственного унивесритета им. Ив.Джавахишвили |
| **ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ** | - профессор Грузинского технического университета |